მიტინგები, როგორც "ვარდების რევოლუციის" დროს A2

რა შეღავათებს განიჭებთ კანონმდებლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისას A8

ბიძინა გუჯაბიძის დღიურები B1 B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 12 ნოემბერი, 2004 წელი. №269 (818)

ფასი 50 თეთრი

ხალთაში დამალული შიდაუთანხმოების ამბავი

სახელისუფლებო გუნდში ფარული ბრძოლა მიმდინარეობს - ასე აფასებს დავით ბერძენიშვილი უმრავლესობაში მიმდინარე პროცესებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ხშირად იმეორებენ, რომ ერთიან გუნდს წარმოადგენენ და ამ გუნდის შიგნით არანაირი დაჯგუფებები არ არსებობს. რეალობა კი სხვაგვარია. "მონოლითურ" უმრავლესობას, რაც დრო გადის, სულ უფრო უჭირს "კოლექტიური" გადაწყვეტილებების მიღება. სახელისუფლებო ფრაქციის შიგნით აზრთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით მაშინ არის თვალშისაცემი, როდესაც უმრავლესობის რომელიმე ფრთის ინტერესები ილახება.

გიორგი ასანიშვილი

უმრავლესობაში წყალქვეშა დინებების არსებობა გუშინდელ პლენარულ სხდომაზეც არაერთხელ დადასტურდა. თუნდაც მაშინ, როდესაც **"ფინანსურ ამნისტიასთან დაკავშირებით პოზიციების შეჯერება ვერ მოხერხდა და ამ საკითხზე კენჭისყრა სამომავლოდ გადაიდო,"** (ციტატა ნინო ბურჯანაძის გამოსვლიდან).

გაგრძელება A2 გვერდზე

"მრავალპარტიული იწილო-ბიწილო" დასრულდა?

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები პირველი მოსმენით განიხილა. საპარლამენტო უმრავლესობამ არ გაითვალისწინა ოპოზიციონერთა თხოვნა და ამ საკითხის განხილვის გადადებაზე უარი განაცხადა. მომავალ კვირას იურიდიული კომიტეტი კანონპროექტს მუხლობრივად განიხილავს და მომდევნო სასესიო კვირას უკვე მესამე მოსმენით მიიღებს. საბოლოო ჯამში, პირველი დეკემბრიდან (ანუ იმ დღიდან, როდესაც დღეს მოქმედ ცესკო-ს უფლებამოსილება შეუწყდება), საქართველოს სრულიად სხვა ტიპის - არაპარტიული საარჩევნო ადმინისტრაციები ეყოლება.

აქვე დავძენთ, რომ პარლამენტის უმრავლესობის მიერ მიღებული მოდელი სულაც არ ნიშნავს, რომ მომავალ საარჩევნო ადმინისტრაციებში ისეთი ადამიანები იმუშავებენ, რომლებიც ამ სფეროში აღიარებული პროფესიონალები არიან. თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერა და ვერ მოახერხა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის მოგვარება, როგორიც არის საარჩევნო ადმინისტრაციებში მომუშავე ადამიანების სერტიფიცირება.

შესაბამისად, არ არსებობს კრიტერიუმი, რომელიც ახალი ტიპის

გაგრძელება A3 გვერდზე

შემოდგომის და ზამთრის ბათუმი

ლევან ვარშალომიძე: "იქმნება ექვს კილომეტრ-ნახევრიანი სანაპირო ზოლი და ბულვარი მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ადგილი გახდება."

სეირან ბაროიანის ფოტო

თამილა თედორაძე
„24 საათი-აჭარა"

ბათუმი ახალი საკურორტო სეზონისთვის ემზადება. გრძელვადიანი პროექტი, რომელიც აჭარის მთავრობის ინიციატივით ხორციელდება, შემოდგომა-ზამთრის ტურისტული სეზონისთვის სასტუმროებსა და რესტორნებში მნიშვნელოვან ფასდაკლებებს გვთავაზობს.

ამავე პროექტის ფარგლებში ყველა მსურველს შესაძლებლობა ექნება, დაათვალიეროს ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მონაწილეობა მიიღოს საზღვაო ტურში და ბუნებრივ გარემოში ნახოს დელფინები, რომლებიც შემოდგომა-ზამთრის პერიოდში შავ ზღვაში ნაპირთან ახლოს შემოდიან.

გაგრძელება A2 გვერდზე

იდეალიზმი, რეალიზმი და საქართველო

სწორედ საქართველოს ჰქონდა და აქვს შანსი, რომ დღევანდელ მსოფლიოს სოციალური განვითარების ახალი მოდელი შესთავაზოს - ფიქრობენ ამერიკელი ანალიტიკოსები.

ირაკლი კაკაბაძე
ვაშინგტონიდან

მე-20 საუკუნის თანამდევი პოლიტიკური დაპირისპირება ეგრეთწოდებულ იდეალისტებსა და რეალისტებს შორის არსებული უთანხმოება იყო. იდეალისტების აზრით, ადამიანის ბუნება აუცილებლად ცუდი არ იყო და თუ მას კარგ პირობებს შევუქმნიდით, ადამიანიც არ იმოქმედებდა აუცილებლად ბოროტი ინსტინქტების

გაგრძელება A3 გვერდზე

ეკონომიკა

საბაჟო ბანკებს სერვის-ცენტრების გახსნას სთავაზობს

მომავალი წლიდან, იმპორტიორები განბაჟების თანხებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე არსებულ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე, საბანკო სერვის-ცენტრებში გადაიხდიან.

A4

უცხოეთი

„ნარინჯისფერთა" პირველი გამარჯვება

ოპოზიციის ლიდერმა ვიქტორ იუშენკომ პირველ ტურში გაიმარჯვა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინის მომავალი პრეზიდენტის ვინაობის გასარკვევად მეორე ტურის ჩატარება გახდება აუცილებელი.

A5

საზოგადოება

„სტუდენტებმა გვაჩვენეს, როგორ უნდა იქცეოდეს ქეშმარიტი ქრისტიანი"

გუშინ თავისუფლების ინსტიტუტში სასულიერო პირები შეიკრიბნენ.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

ამინდი

	12/11	13/11
თბილისი	18	19
ქუთაისი	23	23
ბათუმი	24	25
სოხუმი	21	21
ფოთი	23	24
თელავი	17	17
ზუგდიდი	23	23
გორი	16	16
ახმეტა	17	17
ჭიათურა	19	20
გაგრა	20	19
სამტრედია	23	23

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8000
ევრო	2.3211
გირვანქა სტერლ.	3.3226
რუბლი	0.0627

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმოწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 დღიურები B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

ვერიკო თევზაძის სვეტი

თემური და მისი რაზმი - უკვდავები

თემურ მღებრიშვილი ისევ გამოჩნდა ტელეეკრანებზე. სხვათა შორის, სატელევიზიო სიუჟეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არაფერი შეშლია. არც უცენზუროდ ქილიკობდა, მაგრამ...

გახსოვთ, ალბათ, ახალი ხელისუფლების მოსვლიდან სულ ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, მერიის წინ აქცია საგანგებოდ რომ დაარბიეს. მოსახლეობა დარბევის სისასტიკეზე არანაკლებ თემურ მღებრიშვილის გამოჩენით იყო შოკირებული. მაშინ ერთ-ერთ ბრიფინგზე პრეზიდენტმა მოიბოდიშა, თუ რაღაც მობოდიშების მაგვარი თქვა: მეც კი არ ვიცოდი, თემურ მღებრიშვილი კიდევ თუ არსებობდაო. რა თქმა უნდა, მის თანამდებობაზე ყოფნას გულისხმობდა.

ახალ დროებაში თემურ მღებრიშვილის პირველი სატელევიზიო დებიუტი სულაც არ აღმოჩნდა საბედისწერო. პრეზიდენტმა, თავისი მოსახლეობის დარად, ტელევიზიით შეიტყო მღებრიშვილის არსებობა და იმასაც ჩვენსავით, უბრალოდ, გაუკვირდა...

ამის შემდეგ პოლიციაში დიდი ძვრები დაიწყო, განხორციელდა საკადრო რევოლუცია, ახალი ევროპული სტანდარტების შესაბამისი პატრული მოგვევლინა. ის კი არადა, რა დამავიწყებს, ერთ მშვენიერ დღეს საპატრულო პოლიციის წევრად გახდომის მსურველებს გასაუბრება თავად საქართველოს პრეზიდენტმა ჩაუტარა. პატიოსნება, ქვეყნის ერთგულება, პირადი მისწრაფებების საზოგადოებრივზე უფრო მაღლა დაყენება (ინგლისურის ცოდნა აქაც არ კარგავს აქტუალობას) – აი, რა მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე პოლიციას ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი პრეზიდენტი.

ყველაფერ ამის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება ტელევიზორი ჩართო და ეკრანზე თემურ მღებრიშვილი დაინახო... გინდა თუ არა, პირველ რიგში ის გახსენდება, ე.წ. ზვიადისტების აქციის მონაწილეებს რომ ეკითხებოდა: **"ქალებო, პამპერსები გიკეთიათ, თუ რა გჭირთ, მთელი დღე ადგილიდან ფეხს რომ არ იცვლითო..."** ხოლო ჟურნალისტის შეკითხვაზე, მართლა სცემეთ ბატონო თემურ? - სატელევიზიო ეთერში ამგვარ პასუხს იძლეოდა: **"არა, ცოტა შევუღიტინე!"** რაც მღებრიშვილმა და მისმა რაზმელებმა "კმარელებს" და დღევანდელი ხელისუფლების მაშინდელ აქტიურ გულშემატკივრებს უბაგუნეს, ეს კიდევ სხვა საქმეა...

დაბოლოს კითხვა: ხელისუფლება, რომელიც საკადრო საკითხებში ზოგჯერ რადიკალიზმს და სუბიექტურობას იჩენს, თემურ მღებრიშვილის, როგორც შევარდნაძის რეჟიმის უერთგულესი დამცველის (მეთოდოლოგია – დარბევა და ცემა-ტყეპა) გაუკვდავყოფებით თავს უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ იგდებს? მით უფრო, მას შემდეგ, როცა უკვე პრეზიდენტმა ტელევიზიით შეიტყო მისი არსებობა...

მიტინგები, როგორც "ვარდების რევოლუციის" დროს

"2004 წლის 3 ოქტომბერს აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნები ორგანიზებულად ჩატარდა. შედეგები ყველასათვის ცნობილია. ჩვენი საზოგადოება, რომელსაც პირველად მიეცა უფლება და საშუალება, აერჩია პრეზიდენტი ალტერნატიულ საფუძველზე, გახლეჩილი აღმოჩნდა," – ნათქვამია თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პროკურატურის 73 თანამშრომლის მიმართვაში მოსახლეობისადმი.

თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პროკურატურის თანამშრომლები მოსახლეობას მოუწოდებენ, უარი თქვან ქუჩის აქციებზე, ძალადობაზე და კანონის ფარგლებს დაუბრუნდნენ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ოპოზიციონერი სერგეი ბაგაფში და არც რაულ ხაჯიმბა პოზიციის დათმობას არ აპირებენ. დღეს სოხუმში ორი მიტინგი გაიმართება, ერთი – ხაჯიმბას მომხრეების და მეორე – ბაგაფშის.

დამარცხებული, მაგრამ ბედს ვერშეგუებული რაულ ხაჯიმბას შტაბის მონაცემებით, მიტინგზე, რომელიც მთავრობის შენობის წინ გაიმართება, რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და კონსტიტუციური წყობის დაცვის საკითხები განიხილება.

სერგეი ბაგაფშის შტაბის ხელმძღვანელის სოკრატ ჯინჯოლიას თქმით კი, "თავისუფლების მოედანზე გამართულ მიტინგზე, ბაგაფშის მომხრეები აპირებენ, განიხილონ შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და შიდაპოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზები".

მიტინგის ჩატარების გადაწყვეტილება გაერთიანებული აფხაზური ოპოზიციის პოლიტსაბჭომ 9 ნოემბერს გამართულ სხდომაზე მიიღო. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, მათ სურთ, დაუმტკიცონ თავის ოპონენტებს, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ სერგეი ბაგაფშს და არა ამჟამინდელ ხელისუფლებას და არჩევნებში დამარცხებულ რაულ ხაჯიმბას უჭერს მხარს.

ხაჯიმბას მომხრეთა მიტინგი 12 საათზე დაიწყება, ბაგაფშის – 13 საათზე.

ნინო გორისელი

გარიცხულების შეწყალება

ქუთაისელი "ნაციონალების" კონფერენცია

გუშინ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ორგანიზაციის მეორე კონფერენცია ჩატარდა, სადაც პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და 22 ნოემბრის ყრილობაზე წარსაგზავნი 78 დელეგატი აირჩიეს. კონფერენციის მონაწილეები, ერთობ შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ და როგორც პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ასევე 78-ივე დეპუტატი ერთხმად აირჩიეს. ალბათ ამიტომაც, კონფერენციის ერთსაათიანი რეგლამენტი დაახლოებით ნახევარ საათში ამოიწურა.

თუმცა, კონფერენციას ხმამაღალი საუბრის გარეშე არ ჩაუვლია. მართალია პარტიის მანდატი არავის დაუხევია, მაგრამ რამდენიმე ქალბატონი ხმამაღლა გამოთქვამდა უკმაყოფილებას დელეგატთა სიაში ვერმოხვედრის გამო. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ აღნიშნული პირები თავიანთ პროტესტს მას შემდეგ აფიქსირებდნენ, რაც დელეგატთა სიას ერთხმად დაუჭირეს მხარი(?!). **"სირცხვილი არ არის? გამოგვიყენეს და მერე არავის გავახსენდით! გვითხრან, სიები ვინ შეადგინა!.. პარტიის ძველი წევრები არავის გავახსენდით! ჩვენ თავს არავის გამოვაყენებინებთ..."** - აცხადებდა ერთ-ერთი ქალბატონი, თუმცა, როდესაც მას პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირება ვთხოვეთ, პარტიის თავმჯდომარისკენ გაიქცა **"აგერ არის გია უკლება, მასთან გავარკვევ და მერე დაგელაპარაკებით,"** - დაგვიბარა მან. თუმცა იმ მომენტისთვის გია უკლებამ განაწყენებულ ქალბატონებთან გასაუბრება არ ისურვა.

კონფერენციაზე კიდევ ერთი უცნაური ფაქტი დაფიქსირდა. რამდენიმე თვის წინ "ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ორგანიზაციის ერთმა ნაწილმა, მაშინდელი რწმუნებულის დათო მუმლაძის გადადგომა მოითხოვა და პარტიის ოფიციალურ პოზიციას დაუპირისპირდა. მაშინ, სწორედ გია უკლებამ, აღნიშნული პირები, პარტიული დისციპლინის დარღვევის გამო, "ნაციონალური მოძრაობიდან" გარიცხა. გუშინ კი, უკლებამ ყველა მათგანს აპატია, პარტიაში დააბრუნა და ზოგიერთი ყრილობის დელეგატთა სიაშიც ჩასვა. პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ეს ნაბიჯი შემდეგნაირად ახსნა: **"ჩემთვის მთავარია, ყველაფერი თავიდან დავიწყო და პარტიაში არ იყოს არანაირი დაპირისპირება."** ჩვენს შეკითხვაზე, გააკეთებდა თუ არა იგივეს, მუმლაძე რომ რწუნებული ყოფილიყო, უკლებამ განმარტა: **"დათო მუმლაძეს მათ გადაყენებაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. მართალია, ისინი მუმლაძის მიმართ, პარტიის პოზიციას არ იზიარებდნენ, მაგრამ ეს ხალხი ჩვენი ძველი თანამებრძოლები იყვნენ..."** თავად გარიცხული წევრები თავს დამნაშავედ არ მიიჩნევენ და განმარტავენ, რომ მუდამ პარტიის და პრეზიდენტის კურსის მხარდამჭერები იყვნენ. ამიტომაც პარტიის ზოგიერთი წევრისთვის გაუგებარი დარჩა, რა აპატიეს აღნიშნულ პირებს.

"გარიცხულად თავი არასოდეს მიგრძვნია. თავის დროზე გაუგებრობა მოხდა, ახლა კი ყველაფერი გაირკვა. მე პრეზიდენტის გუნდის წევრი ვარ და ასეთად დავრჩები ბოლომდე, ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მართალი ვიყავი... მე ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ პარტიიდან გავერიცხეთ. მუმლაძის მიმართ მაშინ სიმართლეს ვამბოდი და ვიტყვი მანამ, სანამ ენას არ ამომაცლიან," - აცხადებს პარტიის აწ უკვე აღდგენილი წევრი ბესო გიორგბელიძე. რაც შეეხება სახელისუფლებო პარტიის ადგილობრივ ხელმძღვანელს გია უკლებას, იგი ამჟამად პარლამენტის წევრია. **"წავიდა ის დრო, როდესაც ვიტალი ხაზარაძე ჩამოვიდოდა, გაწერდა უბნებს, სადაც ბიულეტენები უნდა ჩაყრილიყო და არჩევნებიც ამით მთავრდებოდა. ძველი სტერეოტიპი დაიმსხვრა და ამომრჩევლებთან გულრწფელი უნდა ვიყოთ... ამიერიდან ქალაქში არსებულ პრობლემებს კონტროლზე ავიყვანთ, რითაც ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებას მოდუნების საშუალებას არ მივცემთ,"** - განაცხადა გია უკლებამ.

"ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ორგანიზაცია რამდენიმე დღეში საკუთარი ოფისის პრეზენტაციას აპირებს. ახალ ოფისთან ერთად, პრესას პარტიული თანამდებობის ახალ პირებსაც წარუდგენენ.

ბექა სისაური ქუთაისიდან

პოლიტიკური რევანშიზმის იარაღი - განათლება

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბელა წიფურიას ბრიფინგი.

გუშინ, საღამოს ცხრა საათზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბრიფინგი გამართა. მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ განაცხადა, რომ ბოლო ხანებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ გაღვივებული ვნებათაღელვა ახალგაზრდებს შორის სისხლიან ინციდენტში გადაიზარდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიაჩნია, რომ ეს შედეგია პოლიტიკურად დისკრედიტებული, რევანშისტული წრეების მიერ ორგანიზებული ანტირეფორმისტული კამპანიისა. სწორედ ამ კამპანიის ნაწილებია სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შეხვედრის ჩაშლის წარუმატებელი მცდელობა; სამინისტროს წინააღმდეგ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ შეკვეთილი ფსევდოპატრიოტული სტატიების ნიაღვარი; 10 ნოემბერს ძალადობრივი შეჭრა სამინისტროში, როცა პროვოკატორებმა ძალა გამოიყენეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დაცვის თანამშრომლებს.

სამინისტრო გუშინ მომხდარ ფაქტზე პასუხისმგებლობას აკისრებს იმ ადამიანებს, ვინც ბოლო თვეების განმავლობაში შეგნებულად ახდენდა ვნებათაღელვის ესკალაციას და ცდილობდა, ახალგაზრდათა ენერგია საკუთარი პოლიტიკური ინტერესების ან ანგარებიანი მიზნების სასარგებლოდ წარემართა. განათლების და მეცნიერების სამინისტრო კვლავაც ღიაა საქმიანი დიალოგისთვის და აცხადებს, რომ მონინააღმდეგეთა კრიტიკის პოპულისტურმა და არაარგუმენტირებულმა მეთოდებმა საკუთარი თავი უკვე ამოწურა.

"აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ამ დანაშაულებრივი ქმედების ორგანიზატორები და წამქეზებლები კანონის მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს," - განაცხადა მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ გუშინდელ ბრიფინგზე.

"24 საათი"

ზემოდგომის და ზამთრის ბათუმი

პირველი გვერდიდან

ბათუმის სიმბოლოს - ქოლგიანი დელფინის - ლოგოს ქვეშ ბათუმში არსებული ათობით სასტუმრო და რესტორანი გაერთიანდა, რომლებიც სტუმრებს შაბათ-კვირას 25–დან 50-პროცენტიანი ფასდაკლებით მოემსახურება.

შეხვედრა ბათუმის ბულვარში მოეწყო, სადაც ყველა დასახელებული რესტორნისა და სასტუმროს მფლობელები იმყოფებოდნენ. იქ მყოფ ჟურნალისტებს ახალი პროექტის შესახებ მთავრობის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე ესაუბრა.

ლევან ვარშალომიძე: "ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია იმით, რომ ტურიზმის განვითარებას ეხება. პროექტს "შემოდგომა–ზამთრის ბათუში" ჰქვია. ამ პროექტის მიხედვით, ყველა რესტორანი სასტუმრო და კაფე ეპატიჟება ტურისტებს და 25 პროცენტიან ფასდაკლებას სთავაზობს შაბათ-კვირას. ზამთარში – 35 პროცენტიანს, საახალწლოდ კი 50 პროცენტიანს. ამ პროგრამაში გაერთიანებულია 24 ბიზნესმენი - 13 სასტუმრო და 11 რესტორანი. ასე რომ, ქალაქი ბათუმი შაბათ-კვირის უიქენდზე გეპატიჟებათ. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ბიზნესმენს, რომელიც ჩართულია ამ პროგრამაში, რათა მხარი დაუჭიროს მთავრობის ინიციატივას და ვფიქრობ, ეს ტრადიცია მუდმივი იქნება. მიმდინარეობს ბულვარის განვითარება, ანუ იქმნება ექვს კილომეტრ ნახევრიანი სანაპირო ზოლი და ბულვარი მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ადგილი იქნება. დეკემბერში ბათუმელებს ელით დიდი სიურპრიზი, რადგან გაიხსნება პირველი კინოთეატრი ბოლო 15 წლის განმავლობაში. პრივატიზებული შენობების პირველი სართული ბიზნესმენებისთვის იძლევა წინაპირობას, რომ გაიხსნას კაფე-ბარები, კლუბები და ა.შ. ჩვენს პროგრამაში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით 11 რესტორანი მონაწილეობს. მათი რიცხვი, ვიმედოვნებთ, გაიზრდება.

ბიზნესმენების დაინტერესების მიზეზი მარტივია. ეს ფართოდ აპრობირებული თემაა, როდესაც შაბათ-კვირას ხდება ფასდაკლებები და არა მარტო შაბათ-კვირას, არამედ სეზონურადაც, რისი საშუალებითაც მრავალ ტურისტს იზიდავენ. ჩვენი ძირითადი მიზანია, რომ მთავრობა მხარში ამოუდგეს ბიზნესმენს და პირიქით.

ჩვენ გვაქვს პროექტი ბათუმის ბოტანიკური ბაღის განახლებისა. მოგვარდება გზებისა და განათების პრობლემაც. კონცეფცია, რომელსაც მთავრობა წარმოადგენს, ტურიზმის პროგრამას ისახავს მიზნად."

შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდნენ კომპანია "გერმანული სახლის" გიდის კორპუსი, რომელიც ბიზნესმენთა ინიციატივით შეიქმნა. მათი საშუალებით, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები ინგლისური, გერმანული და რუსულენოვანი თარჯიმნების საშუალებით გაეცნობიან ბათუმს.

ნათია სურგულაძე (ბათუმის ვიცე-მერი): "ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ბათუმისთვის, რადგან ადრე მთელი აქცენტი ზაფხულის სეზონზე იყო გადატანილი და ითვლებოდა, რომ აჭარაში დასასვენებლად ზაფხულში უნდა ჩამოსულიყვნენ, რაც, ალბათ, სამომავლოდ გამოსწორდება. ვფიქრობ, ბათუმში საკმარისი რესურსია იმისათვის, რომ შემოდგომა და ზამთარი საკურორტო სეზონად გამოცხადდეს. ამჟამად აქცენტს შაბათ-კვირის დასვენებაზე ვაკეთებთ. ამისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გრანდიოზული ფასდაკლებებია."

საშემოდგომო ტურიზმი აჭარისათვის საკმაოდ მომგებიანი უნდა იყოს. ბიზნესმენების თქმით, პროექტი მომგებიანი იქნება და ფასდაკლება ტურისტების მოზიდვას განაპირობებს.

ხალთაში დამალული შიდაუთანხმოების ამბავი

პირველი გვერდიდან

როდესაც სპიკერი "პოზიციების ვერშეჯერებაზე" საუბრობს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია რაღაცაზე ვერ თანხმდებიან, - ოპოზიცია ძალიან სუსტია საიმისოდ, რომ მას ანგარიში გაუწიონ. ოპოზიციის პროტესტის გამო კენჭისყრის გადადება აზრადაც არავის მოუვა. ნინო ბურჯანაძის ნათქვამი უფრო იმის არაპირდაპირი დადასტურებაა, რომ წინააღმდეგობები არსებობს, ერთი მხრივ, სახელისუფლებო ფრაქციის შიგნით და, მეორე მხრივ - უმრავლესობასა და მთავრობას შორის.

ასეთი ორმხრივი წინააღმდეგობა "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის კენჭისყრის დროსაც წარმოჩინდა.

სახელისუფლებო ჯგუფებს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც გაირკვა, რომ მთავრობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების ყველა ის ვარიანტი, რომელიც მას, საპარლამენტო უმრავლესობის სახელით, გიგა ბოკერიამ შესთავაზა. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ითხოვეს, რომ კანონპროექტისთვის იმ მუხლების გარეშე ეყარათ პირველი მოსმენით კენჭი, რომლებიც აღნიშნულ საკითხს (საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების ფორმა) შეეხებოდა. როდესაც გიგა ბოკერიამ, როგორც კანონპროექტის ავტორმა, მთავრობის წინადადება უარყო და კენჭისყრის გადადებასაც არ დათანხმდა, ინიციატივის აღებას ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი შეეცადა. ზურაბ ჟვანიას საპარლამენტო გუნდის წარმომადგენლის თქმით, **"პარლამენტის მხრიდან მთავრობის წინაშე ძალის დემონსტრირების აუცილებლობა არ არსებობს".** მაჭავარიანი ცდილობდა, დეპუტატები დაერწმუნებინა, რომ გიგა ბოკერიას წინადადების გაზიარების შემთხვევაში, შეიქმნებოდა ცუდი პრეცედენტი, რადგან სხვა უწყებებიც მოინდომებდნენ, საზოგადოებრივი ტელევიზიის მსგავსად, დაცული მუხლების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში დაფინანსების მყარი გარანტიები მიეღოთ.

ვიცე-სპიკერის არგუმენტებმა არ გაჭრა და პარლამენტმა, 104 ხმით (კვორუმი 79), 9-ის წინააღმდეგ, კანონპროექტი "მაუწყებლობის შესახებ" პირველი მოსმენით მაინც მიიღო.

სხდომათა დარბაზში მიმდინარე ამ ფარულ ომში პარლამენტის თავმჯდომარე "ანტისამთავრობო ბანაკში" აღმოჩნდა. როდესაც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლექსო ალექსიშვილმა პირობა დადო, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის დაცული მუხლით იქნებოდა გარანტირებული (ოღონდ, რომელიმე კრიტერიუმზე მიბმის გარეშე), ამას სპიკერის რეპლიკა მოჰყვა: **"დიდი გამოცდილება გვაქვს იმისა, თუ როგორ ექცევა მთავრობა დაცულ მუხლებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე პარლამენტის დაფინანსებას ეხება."**

"ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" ფრაქციაში შიდა, ფარული ბრძოლები მიმდინარეობს. მიხეილ მაჭავარიანის დღევანდელი გამოსვლა უმნიშვნელო ნამდვილად არ იყო. ვიცე-სპიკერი არ არის რიგითი დეპუტატი, მის უკან გარკვეული ჯგუფი დგას. მეორე მხრივ, "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტი არის ლაკმუსის ქაღალდი გიგა ბოკერიასა და მისი წრისთვის, რომელსაც უნდა, საზოგადოებას და საკუთარ თავს დაუმტკიცოს, რომ ხელისუფლებაში ლიბერალური ღირებულების კანონპროექტების შესაქმნელად მოვიდნენ," - ასე აფასებს გუშინ განვითარებულ მოვლენებსა და სახელისუფლებო ბანაკში შექმნილ მდგომარეობას რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი.

დღევანდელ მთავრობას ერთნაირი შემართებით უტევენ როგორც "შიგნიდან", ისე "გარედან". თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ყოფილი სოციალისტი ბეჟან ბუცხრიკიძე აღმასრულებელ ხელისუფლებას ოქროს თემით დაეტაკა.

"მიმდინარეობს ოქროს ნივთებით მოსახლეობის ტოტალური მოტყუება. ხალხს ბრჭყვიალა ნივთებს აჩეჩებენ და მას ოქროდ ასაღებენ. ერთ მშვენიერ დღეს ადამიანები გაარკვევენ, რომ სპილენძის ნაწარმი შეუძენიათ და არა ოქროსი, რასაც ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება მოჰყვება. სახელმწიფო არაფერს აკეთებს ამ უმსგავსობის აღსაკვეთად. პირიქით, უკან დგამს ნაბიჯებს, როდესაც რეგულირების მექანიზმებს ხსნის," - აცხადებს ბეჟან ბუცხრიკიძე.

მისთვის ისიც გაუგებარია, რატომ ამბობს მთავრობა უარს ოქროს ნაწარმის დაბეგვრაზე: **"გლეხმა მეზობელს 20 ლიტრი ღვინო რომ გაუგზავნოს, სახელმწიფო მას აქციზით დაბეგრავს. საოცარია, რომ საგადასახადო სამსახურები ოციოდე ლიტრი ალკოჰოლური სასმელის ადმინისტრირებას ახერხებენ, ოქროს ნაწარმისას – ვერა."**

ის შიდაუთანხმოებები, რისი აღიარებაც სახელისუფლებო გუნდს არ სურს, კიდევ უფრო მკაფიოდ, ალბათ, მაშინ გამოაშკარავდება, როდესაც პარლამენტში 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო კოდექსის კანონპროექტების განხილვა დაიწყება.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, დეპუტატ გიორგი არველაძის ხელმძღვანელობით, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე ვენეციაში გუშინ გაემგზავრა. საპარლამენტო დელეგაციის წარმომადგენლის ნიკა რურუას განცხადებით, სხდომა, რომელზეც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმაციის საკითხსა და ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის სტრუქტურების მუშაობას განიხილავენ, 17 ნოემბერს დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ცხინვალი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დემილიტარიზაციასთან და ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის მსვლელობის პარალელურად, ცხინვალის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან მთელი ღამის განმავლობაში ისროდნენ დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების მიმართულებით. სროლა წუხელ, ზუსტად ღამის 01.00 საათზე დაიწყო და დაახლოებით 4 საათის განმავლობაში წარმოებდა ტყვიამფრქვევებიდან, ნაღმმტყორცნებიდან და მძიმე საბრძოლო ტექნიკიდან, კერძოდ კი ფეხოსანთა ბრონირებული მანქანიდან - "ბმპ-2"-დან. ყუმბარები ქართულ სოფელ თამარაშენში ჩამოვარდა. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, დაღუპულები და დაშავებულები არ არიან. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის, ალექსანდრე სუხიტაშვილის განცხადებით, წუხანდელი სროლა დემილიტარიზაციისა და ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებებს ჩიხში აყენებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ცხინვალის რეგიონში საქართველოს სამშვიდობო ძალების უფროს სამხედრო მეთაურად პოლკოვნიკი პეტრე გოგუაძე დაინიშნა. მანამდე, გოგუაძე სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის უფროსი იყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ყოფითი და სხვა სახის პრობლემების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, თავდაცვის სამხედრო ნაწილებში ე.წ. "ნდობის ყუთები" განთავსდება. გიორგი ბარამიძის თქმით, ყუთები ყოველ ორ კვირაში, სრული კონფიდენციალურობის დაცვით გაიხსნება. წერილებს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია განიხილავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანია გუშინ ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კულტურის სახლში იმერეთის 12-ვე რაიონში თავშეფარებული დევნილების წარმომადგენლებს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ოფისში, გუშინ, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ნატო კირკველიამ პარტიის დატოვების შესახებ ოფიციალურად განაცხადა და საკუთარი მანდატი დემონსტრაციულად დახია. "ნაციონალურ მოძრაობაში" საქართველოს გაბრწყინების იმედით გავწევრიანდი, მაგრამ უკუეფექტი მივიღე. სწორედ ამან გადამაწყვეტინა დამეტოვებინა პარტია", - განაცხადა მან სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე და "ნაციონალური მოძრაობის" ყველა წევრს ანალოგიური გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდა. კირკველიას განცხადებით, მან ერთი წლის განმავლობაში "ნაციონალურ მოძრაობაში" 300-მდე ადამიანი გააწევრიანა, რომლებიც ასევე მზად არიან, დატოვონ პარტია და მანდატები დახიონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 12 ნოემბერს ფოთში, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების ბაზაზე საზეიმოდ დაიხურება სწავლების ერთთვიანი კურსი, რომელსაც ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები უძღვებოდნენ. სწავლება ქართველ მესაზღვრეებს სააბორდაჟო ოპერაციების სრულყოფის თემაზე ჩაუტარდათ. სულ ამ პროგრამით 24 ოფიცერი მომზადდა. სწავლების დასრულების საზეიმო ცერემონიას დაესწრება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, რომელიც ქართველ მესაზღვრეებს შესაბამის სერტიფიკატებს გადასცემს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტმა გუშინ 119 ხმით მიიღო კანონი "ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ". როგორც კანონპროექტის ინიციატორებმა პლენარულ სხდომაზე აღნიშნეს, "ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" კანონშროექტის მომზადება საბჭოს საქმიანობის ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად გახდა აუცილებელი. კანონის მიხედვით, პრემიერ-მინისტრი ეროვნული უშიშროების საბჭოს სრულფასოვანი წევრი გახდა. პარლამენტის თავმჯდომარე ეროვნული უშიშროების საბჭოში მიწვეული სტუმრის სტატუსით ისარგებლებს. კანონპროექტის მიხედვით, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომები დახურული იქნება. სხდომის გახსნის შესახებ გადაწყვეტილებას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე - საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებას, რომ „სააკაშვილის წამოსვლის შემდეგ მერია მოქალაქეებისთვის ჩაიკეტა. შიგნით არიან მხოლოდ პოლიციელები და უშიშროების თანამშრომლები", თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი გაზვიადებულად მიიჩნევს. მისი თქმით, მერია სულაც არ არის ჩაკეტილი. მოქალაქეებისთვის იქ მოქმედებს მისაღები, საკრებულოს სხდომებზე დასწრება კი ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მოქალაქეები უპრობლემოდ ხვდებიან მათთვის საჭირო თანამდებობის პირებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

"მრავალპარტიული იწილო-ბიწილო" დასრულდა?

პირველი გვერდიდან

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სახელისუფლებო ფრაქცია და ოპოზიცია სხვადასხვაგვარად ხედავენ საარჩევნო ადმინისტრაციებს.

საარჩევნო ადმინისტრაციებში დანიშნული ადამიანების პროფესიონალიზმს განსაზღვრავს. კანდიდატურების შერჩევისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი ასაკობრივი ცენზი, უმაღლესი განათლება, უპარტიობა და საარჩევნო პროცესებში გარკვეული გამოცდილების ქონა.

უკვე მოგვიანებით, იმ ადამიანებს, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტი კონკურსის წესით შეარჩევს და პარლამენტი დაამტკიცებს, აუცილებელი ტრენინგები ჩაუტარდებათ.

შესაბამისად, კანდიდატთა პროფესიონალიზმზე ამ ეტაპზე ვერავინ ვერაფერს იტყვის. აქედან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობის პრინციპულობისა და მიუკერძოებლობის ხარისხზე პასუხისმგებელი, ავტომატურად, საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტის უმრავლესობა ხდება.

ეს კი ოპოზიციონერებში საკმაოდ ბევრ შეკითხვას ბადებს. ასე, მაგალითად, კობა დავითაშვილისთვის გაუგებარია, რატომ არ არის მითითებული კანონპროექტში კონკურსის პირობები. მისი აზრით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუკი ცესკო-ს წევრობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანები გარკვეულ ტესტირებას გაივლიდნენ.

"რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილის აზრით კი, კანდიდატები არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ უნდა შეარჩიოს. მისი თქმით, სწორედ არასამთავრობო სექტორმა უნდა შეასრულოს ერთგვარი ფილტრის როლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული პრეზიდენტისათვის მხოლოდ ისეთი კანდიდატების წარდგენა, რომელიც დღევანდელი მმართველი პოლიტიკური ელიტისათვის იქნება მისაღები.

თუმცა, საბოლოო ჯამში, კობა დავითაშვილი და დავით ბერძენიშვილი, ისევე, როგორც მემარჯვენე ოპოზიციონერები, დარწმუნებულები არიან, რომ საქართველოს პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა ქვეყანაში ერთპარტიულ საარჩევნო ადმინისტრაციებს აფუძნებენ. **"თქვენი პოზიცია ასეთია - უნდა დამთავრდეს მრავალპარტიული იწილო-ბიწილოები და საარჩევნო ადმინისტრაციებში ერთპარტიული დიქტატურა დამყარდეს,"** - ასე მიმართა "მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძემ საპარლამენტო უმრავლესობას.

ბუნებრივია, საპარლამენტო უმრავლესობისათვის ოპოზიციონერთა პოზიცია სავსებით მიუღებელია. თუმცა, კანონპროექტის ავტორი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟუაშვილი აცხადებს, რომ იგი მზად არის, კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის დროს, **"გაითვალისწინოს ყველა ის რაციონალური შენიშვნა და წინადადება, რომელიც ოპოზიციის მხრიდან იქნება გამოთქმული".**

შეგახსენებთ, რომ ახალი პროექტის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციები შემდეგი პრინციპით კომპლექტდება: ცენტრალური საარჩევნო კომისია შვიდწევრიანი იქნება, საოლქო საარჩევნო კომისიები - ხუთწევრიანი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიები - ცხრაწევრიანი. ცესკო-ს თავმჯდომარეს პრეზიდენტი დანიშნავს, ხოლო დანარჩენ ექვს ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდება. მოგვიანებით, საგულდაგულო შერჩევის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს 12-დან 18 კანდიდატს წარუდგენს. თავის მხრივ, პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ექვსს დაამტკიცებს.

საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს ცესკო-ს თავმჯდომარე დანიშნავს, დანარჩენ ოთხ წევრს კი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, კომისია დაამტკიცებს. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა კანდიდატურების წარდგენის უფლება ექნება ცესკო-ს სამწევრიან ჯგუფს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ამომრჩეველთა 50-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიებს. იქ წევრთა დანიშვნის უფლება პარტიებსაც ექნებათ. ანუ, ქვედა დონის კომისიები ნახევრად პარტიული, ნახევრად პროფესიული იქნება, რადგან საარჩევნო კომიიის თავმჯდომარეებს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დანიშნავს, ორ წევრს საოლქო საარჩევნო კომისია აირჩევს, ორ-ორ წევრს - საპარლამენტო არჩევნებში სამი საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტია ან ბლოკი.

იდეალიზმი, რეალიზმი და საქართველო

პირველი გვერდიდან

კარნახით. რეალისტები კი პირიქით, თვლიდნენ, რომ ადამიანი ნებისმიერ შემთხვევაში ძალაუფლებას დახარბებული სოციალური ცხოველია, რომლის სიხარბესა და დაუნდობლობას საზღვარი არა აქვს. რეალისტების აზრით, ამ ადამიანური თვისებების მოთოკვისათვის აუცილებელია შემაკავებელი მექანიზმების არსებობა, შინ კანონის სიმკაცრე და სამხედრო ძალა საგარეო ურთიერთობებში. იდეალისტური დოქტრინა რელიგიური მოძღვრებებიდან და ჰეგელის, კანტის, ვოლტერის ფილოსოფიური სწავლებიდან იღებს დასაბამს. რეალიზმი კი ნიკოლო მაკიაველის და მის თანმიმდევართა, მათ შორის ჯორჯ კენანის, ჰენრი კისინჯერის და სხვათა ნააზრევს ეყრდნობა. ამერიკის ერთ-ერთმა იდეალისტმა პრეზიდენტმა, ვუდრო უილსონმა ერთა ლიგის დაარსებისას თქვა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ "ძლიერი იყოს სამართლიანი და სუსტი იყოს დაცული". რონალდ რეიგანმა კი საკუთარ მორალურ ვალდებულებად მიიჩნია "ბოროტების იმპერიის" დანგრევა. რეალისტმა რიჩარდ ნიქსონმა "ეროვნული ინტერესის" ცნება ყველა კატეგორიაზე ზემოთ დააყენა, ისევე როგორც ლინდონ ჯონსონმა მანამდე. ვიეტნამის ომი მათ მიერ განიხილებოდა, როგორც ახალი სტიმული ამერიკის ეკონომიკისათვის და ისინი პირველ რიგში საკუთარი ქვეყნის სამხედრო და ნავთობის კორპორაციების ინტერესებს ემსახურებოდნენ. იდეალისტები და რეალისტები ამერიკის ორივე დიდ პარტიაში არიან, როგორც რესპუბლიკელებში, ასევე დემოკრატებში. აქ პარტიულ კუთვნილებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მთავარია, რისი სწამს ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწეს – ადამიანის ბუნების სიკეთის თუ ბოროტებისა. რა თქმა უნდა, ამ საკითხებზე ბევრი მსჯელობა შეიძლება და ამ კითხვას მარტივი პასუხი არ გააჩნია. ადამიანის ბუნება მეტად რთული დასახასიათებელია და არ შეიძლება, ვილაპარაკოთ ცალსახად ან მის სრულ სიკეთეზე, ან სრულ ბოროტებაზე. ძირითადად აქ ლაპარაკია იმაზე, თუ საითკენ მიისწაფვის ჩვენი სული – სიკეთისკენ თუ ბოროტებისკენ.

ქრისტიანული რელიგიური დოქტრინის თანახმად, ღმერთმა ადამიანი შექმნა საკუთარი სახის მიხედვით – თუმცა თანადროულ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის ეს დოქტრინა ყველაზე მეტად მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს შემონახული, რომელიც ამბობს, რომ სული წმიდა მოდის მამისაგან. დასავლეთის ეკლესიებმა ქრისტეს ჯერ კიდევ 10 საუკუნის წინ დაუკარგეს ადამიანური სახე, რაც უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა. მაშინდელი კათოლიკური ეკლესიის აზრით, ადამიანის სულის ბოროტების გამოცხადება აუცილებელი იყო და ამისათვის ქრისტეს ადამიანური მხარე საბოლოოდ უნდა ჩამოეცილებინათ დოქტრინისათვის. ეს თავის მხრივ გაზრდიდა ეკლესიის შემოსავლებს და ჯვაროსნული ომების გამართლებაც იქნებოდა. მას მერე ადამიანის სულის ბოროტების დოქტრინა კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანა პროტესტანტულმა ეკლესიამ, განსაკუთრებით მისმა კალვინისტურმა ფრთამ. მან განაცხადა, რომ ადამიანი ყველა შემთხვევაში ბოროტების მონაა და ერთადერთი გადარჩენის გზა მათ რიტუალებში მონაწილეობის მიღებაა. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა იმის გარდა, რომ ბინძური გზებით ფული გვეკეთებინა და მერე ამ ფულის ნაწილი მიგვეტანა გარკვეული დენომინაციის ეკლესიაში. ინდულგენციების გაყიდვამ და ეკლესიების მიერ ბიზნესის ფუნქციის აღებამ თავის დროზე დიდი პროტესტი გამოიწვია დასავლეთის მორწმუნეთა შორის. თუმცა, საქმე ისე მიდიოდა, როგორც ეს ბიზნესს სჭირდებოდა.

რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება, ჩაითვალოს კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების სრულ უარყოფად. მათ წიაღში ბევრი გამორჩეული ჰუმანისტი ადამიანი ყოფილა. დღევანდელი რომის პაპის, იოანე პავლე მეორის მოღვაწეობა ამის ნათელი დასტურია, ისევე როგორც ბევრი პროტესტანტი მოღვაწისა. აქ, უბრალოდ, ლაპარაკია დოქტრინის საკითხებზე.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ერთ-ერთი იმ იშვიათ ეკლესიათაგანია, სადაც ამ მერკანტილურმა მხარემ საფუძვლიანად ვერ შეაღწია და ვერ დაამკვიდრა საკუთარი წესები, რომელიც გამოიწვევდა ქალების დაწვას, ანტისემიტიზმს, სიძულვილზე დაფუძნებულ თეორიებს. ქართულ ეკლესიაში სიძულვილის რიტორიკამ ვერ მოიკიდა ფეხი. თუმცა, ჩვენს ერთმორწმუნე რუსეთში მდგომარეობა ფრიად განსხვავებული იყო და არის კიდევაც. იქ დასავლური ლოჟებისა და დენომინაციების გავლენა გაცილებით დიდი იყო და ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში ვანდალიზმს ჰქონდა ადგილი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ, ქართველები, სხვებზე უკეთესნი ვართ – უბრალოდ, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა ხელს გვიწყობდა პირველადი რწმენის შენარჩუნებაში და გარკვეულწილად, ბედიც გვქონდა. ჩვენთან ეკლესია და ერი ყოველთვის ერთად იყვნენ და ისინი პრაქტიკულად არასდროს გადასულან აგრესიაზე. ცუდი რამ ბევრი მომხდარა ჩვენთან, მაგრამ ეს არა. ამიტომაც, საქართველო იდეალისტური პოლიტიკის წარმოებისათვის დღეს ყველაზე შესაფერი ადგილია. ვარდების რევოლუციაც იმიტომ დამთავრდა ასეთი წარმატებით, რომ მან ძალადობაზე უარი თქვა. საქართველოს ძალა სწორედ არაძალადობაში გამოჩნდა. რაც უფრო შორს წავა ეს არაძალადური მოქმედება, მით უფრო დიდ ადგილს დაიკავებს საქართველო მსოფლიოში.

დოქტორი გრეგ ედვარდსი ამერიკის სტრატეგიულ კვლევათა აკადემიის დირექტორია. მის აკადემიას ბევრი მასალა აქვს მომზადებული ამერიკის წამყვანი კორპორაციებისათვის და მთავრობისათვის. მისი ორგანიზაცია ერთ-ერთი წამყვანი "Think Tank"-ია ვაშინგტონში. 80-იანი წლების ამერიკის კორპორატიული პოლიტიკის დივერსიფიკაციის პროექტში მათ თავის დროზე სერიოზული მონაწილეობა მიიღეს, ისევე როგორ 90-იან წლებში წამყვანი საინფორმაციო ფირმების გლობალური კონკურენციის პირობებისათვის მომზადებაში. ამ აკადემიას მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ მეტად საინტერესო პროექტში. დეივიდ სნაიდერი და ბილ როუ კიდევ ორი გამოჩენილი წარმომადგენელია ამ ორგანიზაციისა. 1996 წელს სტრატეგიული კვლევების აკადემიამ წამოიწყო ინიციატივა საქართველოს განვითარებასთან დაკავშირებით, რომელსაც უწოდა "Kart Valey" (ქართული მდელო). ამ ინიციატივის ძირითადი მიზანი იყო, რომ საქართველოში დაემკვიდრებინათ ინოვაციური ტიპის აზროვნება და ქართული ცივილიზაციის მიღწევები უფრო ხელმისაწვდომი გაეხადათ მსოფლიო საზოგადოებისათვის. მათი აზრით, სწორედ საქართველოს ჰქონდა და აქვს შანსი, რომ დღევანდელ მსოფლიოს სოციალური განვითარების ახალი მოდელი შესთავაზოს. თუმცა, ეს არ არის ადვილი, და ამას უთუოდ დიდი დრო და მეცადინეობა დასჭირდება. აკადემიის წევრების აზრით, პოლიტიკური იდეალიზმის ახალი ცენტრის წარმოქმნა საქართველომ უკვე შეძლო და თუ ამას მთავრობის წევრების დიდი შეცდომები არ მოჰყვა, წინსვლის დიდი პერსპექტივაც გაიჩინა.

აკადემიის წევრების აზრით, საქართველოს დღეს ხელეწიფება, რომ გამოზომილი და ამავე დროს ჭკვიანურად იდეალისტური პოლიტიკის წყალობით მსოფლიო პოლიტიკაში ახალი ტენდენცია შემოიტანოს. ამისათვის საჭიროა ქართული კულტურული და რელიგიური გამოცდილების გამოყენება და არაძალდობრივი ქმედებების საშუალებით "ახალი ხედვის" დასახვა. ახალ ხედვაში შედის ინოვაციური მიდგომა სოციალური პოლიტიკის საკითხებისადმი, კონფლიქტების მოგვარება სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის გზებით და ადამიანის ბუნებაში მართლმადიდებლური მრწამსის განმტკიცებით. დღეს მსოფლიომ, ისე როგორც არასდროს, უნდა დაინახოს, რომ ადამიანი არ არის მხოლოდ ბოროტებით სავსე სოციალური ცხოველი, რომ მასაც ძალუძს სიკეთის ქმნა. რეალპოლიტიკის ვაჭრობის ენაზე შეუძლებელია ფანატიკოსების გადმობირება, ამიტომაც მრწამსზე დაყრდნობილ პოლიტიკას უფრო მეტი შანსი აქვს. ისეთ მრწამსზე, რომელიც სოციალურად შეჭირვებული ფენების ხარჯზე კი არ ეცდება ერთეულების გამდიდრებას, არამედ თანაგრძნობისა და სიყვარულის პრინციპებიდან იმოქმედებს. ისეთ მრწამსზე, რომელიც ელიტური სექსუალური პერვერსიების მაგივრად ილაპარაკებს სიცოცხლის მარადიულ ღირებულებებზე. თანამედროვე დასავლეთის ლიბერალური სამყარო დღეს მწვავე კრიზისშია, სწორედ მორალური ორიენტირების დაკარგვის გამო. საქართველოს და პრეზიდენტ სააკაშვილს დღეს უდიდესი შესაძლებლობა ეძლევათ – დაანახონ მთელს მსოფლიოს სიყვარულზე დამყარებული პოლიტიკის ძალა.

აკადემიის წარმომადგენლები საუბრობენ დიდი საერთაშორისო სატრანსპორტო ცენტრის შექმნის შესაძლებლობაზე, რომელიც სამხრეთ კავკასიის ცენტრში იქნება განლაგებული და რომელიც მსოფლიოს დაპირისპირებულ კულტურათა წარმომადგენლებს დიალოგისა და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების საშუალებას მისცემს. ასეთი ცენტრი, აკადემიის წევრების აზრით, დიდ როლს შეასრულებდა ინტელექტუალური კაპიტალის მოზიდვის თვალსაზრისით. საჭიროა, ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ინტელექტუალური ბიზნესების წარმომადგენლებს, რომელთაც შეეძლებათ ქართული აზროვნებისა და კულტურის საუკეთესო ნაწილის მთელს მსოფლიოში გატანა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ირგვლივ ბევრი უზნეო რამ ხდება, ადამიანებში მაინც დიდია იდეალისაკენ სწრაფვა. სწორედ ამ იდეალისაკენ სწრაფვის საქმეში საქართველომ ვარდების რევოლუციით დიდი წვლილი შეიტანა ჰუმანისტური სამყაროს განვითარებაში. მაგრამ ამაზე გაჩერება არ შეიძლება. სამუშაო კიდევ ბევრია.

დოქტორი გრეგ ედვარდსის თქმით, საქართველო, როგორც ინოვაციისა და იდეალიზმის ცენტრი - ეს მომავლის კონცეფციაა, რომელიც დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვს ჩვენგან. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის თამადობით, დღევანდელ მსოფლიოში ბევრია ჩვენი კიდევ ერთი დამარცხების მსურველი. ამიტომაც, ყოველ ნაბიჯზე კარგად გამოზომილი მოქმედება გვმართებს.

თამარ ხორბალაძის სვეტი

ვინ რატომ დუმს საქართველოში

რამდენიმე დღის წინ ლევან ბერძენიშვილი იყო ტელეეთერში. ბევრი რამ თქვა.

ისე, ცოტა განაწყენებულიც ჩანდა, ცოტა - იმედგაცრუებულიც, ცოტა - უკან დასახევსაც თუ წინ, პრეზიდენტამდე მისასვლელსაც იტოვებდა, მის მიერვე შექმნილ ხატებასაც ვერ ელეოდა... მაგრამ ამბობდა.

შეიძლება სხვისი ინტელექტის შეფასებისას (თუ დაკნინებისას) ცოტა ზედმეტიც (ანუ მას რომ არ ეკადრებოდა) მოუვიდა, შეიძლება საკუთარი ძმის შესაძლებლობებიც ზუსტად ვერ აწონა, შეიძლება არა მხოლოდ ამაში ცდებოდა და, შესაძლოა, ყველაფერს და ბევრ რამეს არც ამბობდა, მაგრამ... ნაწილობრივ ხომ თქვა.

დღეს ძალიან ბევრი დუმს საქართველოში და ძალიან ცოტა ამბობს, მათ შორის, კიდევ უფრო ცოტა - ღირსეული, გაუნაწყენებელი, ობიექტური.

ვინც არ ამბობს, არც ცდება.

ლევან ბერძენიშვილი იმ დღეს, ძირითადად, მართალი იყო.

შესაძლოა, რაღაც რაღაცებში სხვაც იყოს მართალი, მაგრამ დღეს რომ სხვის თვალში ბენვს ამჩნევს და გუშინ რომ შევარდნაძის მთავრობაში ნაკლს ვერ ხედავდა, ის რომ იტყვის, სიმართლეს თავისი ხიბლი ეკარგება და გაზიარების სურვილიც გიკვდება.

ხანდახან ამიტომაც დუმხარ. ამ ადამიანებთან ასოცირებას გაურბიხარ.

არადა, როგორი საჭიროა, რომ ითქვას...

ითქვას, რომ "სიტყვა" საქართველოში დღეს სულაც არ არის "თავისუფალი";

რომ შეგიძლია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ უნდა იკადრო;

რომ ხანდახან განსაკუთრებული ძალით დაგვრევს ხოლმე ხელს პროვინციალიზმი და ეს განსაკუთრებით კარგად ტელეეკრანზე ჩანს;

რომ დიდი ბიზნესი დღეს ისევ დიდი ჩინოვნიკური ინტერესების ქვეშ არის მოქცეული;

რომ კონტრაბანდა იგივე სამხრეთ ოსეთში სულაც არ არის აღმოფხვრილი;

რომ ზოგიერთი რევოლუციონერი ძველ ხაზარაძეზე მეტად ხაზარაძეა;

რომ ზოგი, ვინც შენთვის გუშინ ავტორიტეტი იყო და ვისაც დღესაც დიდ პატივს სცემ, თანამდებობას, უბრალოდ, ვერ ეყო;

რომ არ შეიძლება უნივერსიტეტის რადიკალებად და რეტროგრადებად გაყოფა და მათი ერთმანეთისთვის "შეტოვება";

რომ იმ ადამიანთა დიდი ნაწილი, ვის წინააღმდეგ ბრძოლის დროშითაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, დღეს "მილებული ხალხია";

რომ "კაგებეშნიკური" მიდრეკილებები საქართველოში დღეს ისევ ცოცხლობს;

რომ ჯერ კიდევ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება, მაგრამ დანახვაა საჭირო;

რომ... დღეს არა იმდენად სათქმელის, რამდენაც - ღირსეული მთქმელის დეფიციტია და ეს დეფიციტი არანაკლებ, შესაძლოა მეტადაც, საშიშია ქვეყნისთვის, ვიდრე თავისდროინდელი საბიუჯეტო დეფიციტები, რომელმაც, საბოლოოდ, შევარდნაძე იმსხვერპლა.

იმათი დიდი ნაწილი, ვინც გუშინ "ამბობდა" (და არა ხმაურობდა - მოხმაურე- რევოლუციონერები ცალკე თემაა), დღეს ხელისუფლებას წარმოადგენს, ან შეცდომებს უშვებს, ან სხვის შეცდომებს ასწორებს და... იმას ვერ თუ არ ამბობს, რის გაგონებასაც მისგან, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ელი.

"თუ გინდა, მოვლენებზე ზემოქმედების საშუალება არ დაკარგო, ანუ, თუ რეალური საქმის გაკეთება გსურს, ოპოზიციური გამოსვლები და ხმაური არ გარგებს. ეს არის მსხვერპლი, რომელიც უნდა გაიღო..." - პირად საუბრებში განგიმარტავენ ისინი, ვინც იცი, რომ გუშინ და, იმედია, დღესაც ფიქრობს, აანალიზებს, თეთრს თეთრად ხედავს, შავს - შავად, მაგრამ დუმს. ან უარესი - რატომღაც მგონია, რომ იმას იცავს, რისიც არ სჯერა, თუმცა ამბობს, რომ - არა.

სხვებიც დუმან - იმ ადამიანთა ნაწილი, ვინც დღევანდელი ხელისუფლების ზეობისთვის მოამზადა საზოგადოებრივი აზრი და, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში ყოფნას არასდროს ნატრობდა, თვლის, რომ დროა საჭირო.

იმედგაცრუებულებიც დუმან - ნიჰილიზმი საშიში სენია.

დისკრედიტირებულებიც დუმან - თუ ჭკუა ყოფნით.

კომუნისტური ეპოქანანახნიც დუმან - ხელისუფლებისადმი შიში უბედური რამაა, სისხლში იცის გაჯდომა.

თანამდებობის მაძიებლებიც დუმან - კარიერიზმი ჩვეულებრივი მოვლენაა.

"ასაკსმიღწეულნიც" დუმან - ძნელია 18, თუნდაც 28 ლარიანი პენსიის იმედად ცხოვრება.

არადა საჭიროა, რომ დღეს ითქვას...

ამასთან, მთავარი არა მხოლოდ ისაა, თუ რას ამბობ, არამედ ისიც - თუ ვინ ამბობს და ისიც - რამდენად ხმამაღლა.

"საბაჟოზე რევოლუცია არ მომხდარა..."

გუშინ ფინანსურმა პოლიციამ წითელი ხიდის საბაჟოს ოთხი თანამშრომელი დააკავა. ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსმა დავით ქარსელაძემ განაცხადა, რომ ეს ოპერაცია წინასწარ იყო დაგეგმილი. წითელ ხიდზე მებაჟეები ოთხ ცვლაში მუშაობენ. კონტრაბანდული სამრეწველო და სასურსათო საქონლით დატვირთული მანქანა საქართველოს ტერიტორიაზე კანონდარღვევით ღამით არ შემოსულა. ეს დილის ცვლაში მისულმა მებაჟეებმა გააკეთეს და განუბაჟებლად გამოატარეს ტვირთი. ეს ფაქტი იქვე ჩასაფრებულმა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ვიდეოკამერით დააფიქსირეს. ქარსელაძის თქმით, დაკავებულმა ტვირთმა გაიარა ექსპერტიზა და მისმა საბაჟო ღირებულებამ სამი ათას ლარს 500 ლარით გადააჭარბა, რაც საკმარისია იმისათვის, რომ საქმე მისი მფლობელების წინააღმდეგ 214 მუხლით აღიძრას.

წინასწარი ინფორმაციით, დაკავებული მებაჟეების საქმეს ფინანსური პოლიციის საგამოძიები განყოფილება მოიკვლევს. ჯერჯერობით, ოთხივე მათგანი მხოლოდ სამოხელეო დანაშაულში - სამსახურებრივ გულგრილობაში ამხილეს. როგორც წესი, ამგვარ საქმეებს პროკურატურა იკვლევს და რადგან მებაჟეების საქმე ფინანსურმა პოლიციამ თავისთან დაიტოვა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ბრალეულობა კიდევ უფრო დამძიმდება, ანუ, შესაძლებელია, რომ ისინი ქრთამის აღებაშიც დაადანაშაულონ. დავით ქარსელაძე აცხადებს, რომ მან არ იცის, აიღეს თუ არა ქრთამი მებაჟეებმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუმცა ამბობს, რომ მებაჟეები ამგვარ დაღვევას ხშირად გარკვეული საზღაურის ფასად სჩადიან.

"ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ "ვარდების რევოლუციიდან" ერთი წლის თავზე საბაჟოზე ყველაფერი ძველებურადაა და იქ რევოლუცია არ მომხდარა," - განუცხადა ჟურნალისტებს ფინანსური პოლიციის წარმომადგენელმა ლევან მხეიძემ. მისივე თქმით, მომხდარზე პასუხს წითელი ხიდის საბაჟოს უფროსსაც მოსთხოვენ.

მაია მოსიაშვილი

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის განცხადება

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საქმიანობის სრულყოფისა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის მიზნით სესბ-ი არსებულ "საბაზრო წესებში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატივით გამოდის.

სესბ-ისთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბაზრის თითოეული წევრის მოსაზრება და წინადადება მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. რის გამოც, საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ბაზრის წევრებს მიმართავს თხოვნით საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები მოგვაწოდოთ სესბ-ის ვებ-გვერდზე. (WWW. GWEM. ORG. GE.)

სესბი-ის მომხმარებლებთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ზურაბ ჟვანიამ და EBRD-ის პრეზიდენტმა განცხადებები გაავრცელეს

საქართველოს სახელმწიფო სწრაფად ვითარდება და სტაბილური დემოკრატიის ქვეყნად ყალიბდება.

ამის შესახებ ნათქვამია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პრეზიდენტის ჟან ლემიერის განცხადებებში, რომელიც ლონდონში გუშინ გამართულ საერთაშორისო კონფერენცია "ინვესტირება საქართველოში" მონაწილე 250 ბიზნესმენს დაურიგდა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, ზურაბ ჟვანიას განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოში უკვე მიღებულია ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა რეგიონში და მიმდინარეობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს.

ამავე განცხადებაში, ნათქვამია ასევე, რომ საქართველო სასიამოვნო ადგილია ბიზნესის საკეთებლად და ამდენად ბიზნესმენები იპოვიან უამრავ შესაძლებლობას ბიზნესის განვითარებისთვის.

პრემიერ-მინისტრის აზრით, ინვესტიციის განხორციელება შესაძლებელია ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ტრანსპორტის დარგში და საბანკო სისტემაში.

როგორც ჟან ლემიერის განცხადებაშია ნათქვამი, მსოფლიო დიდი ინტერესით აკვირდება საქართველოს ახალი ხელისუფლების მოქმედებას, რომელმაც იკისრა პასუხისმგებლობა ქვეყანაში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის.

ლემიერის განცხადებით, ამჟამად საინვესტიციო კლიმატი საქართველოში გაუმჯობესებულია, ვინაიდან გრძელდება კორუფციის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

როგორც ლემიერის განცხადებაშია ნათქვამი, EBRD-ი დაინტერესებულია საქართველოს პორტებში, ნავთობსადენებში, კომუნიკაციების სექტორში ინვესტიციების განხორციელებით, აგრეთვე რკინიგზის, გზების და აეროპორტების რეკონსტრუქციით. ევრობანკმა ამ მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა, რაც მთლიანობაში 242 მილიონ ევროს შეადგენს.

"EBRD ხელს უწყობს საქართველოში ბანკების განვითარებას და არის რამდენიმე ბანკის აქციების პაკეტის მფლობელი,"- ნათქვამია ლემიერის განცხადებაში.

საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს მთავრობის ინიციატივით ტარდება.

საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოს გაეცნობიან ინვესტორები აშშ-დან, ინგლისიდან, რუსეთიდან, ავსტრიიდან და იმ საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც ორიენტირებული არიან აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე.

ლონდონის კონფერენციის ანალოგიური კონფერენციების ჩატარება მიმდინარე წლის ნოემბერში იგეგმება იტალიაში, მომავალი წლის გაზაფხულზე აშშ-ში, თებერვალში კი გერმანიასა და საბერძნეთში. **პრაიმ-ნიუსი**

საბაჟო ბანკებს სერვის-ცენტრების გახსნას სთავაზობს

ბექა ევგენიძე

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს სთავაზობს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებულ საბაჟო კონტროლის ზონებში განათავსონ საბანკო-საბარათე, საჩეკო ოპერაციების მომსახურების ცენტრები.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსი ალექსიშვილმა და საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ პრესკონფერენცია გამართეს, სადაც მოწვეული იყვნენ როგორც საბანკო სექტორის წარმომადგენლები, ისე ადგილობრივი იმპორტიორები.

მომავალი წლიდან, იმპორტიორები განბაჟების თანხებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე არსებულ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე საბანკო სერვის-ცენტრებში გადაიხდიან.

მარიკა ამერველაშვილის ფოტო

ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, **"საბაჟო გამშვებ პუნქტებზე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საბანკო ცენტრების არსებობა ხელს შეუწყობს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ საბაჟოს კუთხით გადახდელი გადასახადების დროულად და სრულად მობილიზებას მათთვის მოსახერხებელ დროს (არასამუშაო დღეებში და არასამუშაო საათებში), ამასთან დაჩქარდება საბაჟო პროცედურები და შემცირდება კორუფციული გარიგებების რისკი, რადგანაც მებაჟეს უშუალო შეხება არ ექნება ნაღდ ფულთან."**

გიორგი გოდაბრელიძემ დაამატა, რომ დეპარტამენტმა საუკეთესო ბანკის გამოსავლენად კონკურსის ჩატარება გადაიფიქრა, რადგან ერთი ბანკის გამარჯვების შემთხვევაში, დაიჩაგრებოდნენ სხვა კომერციული ბანკები, რაც მიუღებელი იქნებოდა მთლიანად საბანკო სისტემისთვის.

მომავალი წლიდან იმპორტიორები განბაჟების თანხებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე არსებულ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე, საბანკო სერვის-ცენტრებში გადაიხდიან. **"ჩვენ იმ ბანკებთან ვითანამშრომლებთ, რომლებიც საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე სერვის-ცენტრების გახსნის მზადყოფნას გამოთქვამენ. ინიციატივის დანერგვის შედეგად, მებაჟეები ხაზინის მონაცემებს აღარ დაელოდებიან და იმპორტიორებს საბაჟო პროცედურების საბაჟო-გამშვებ პუნქტზე გავლის შემდეგ უპრობლემოდ გაატარებენ",** - განაცხადა გოდაბრელიძემ.

მსხვილი იმპორტიორები ფინანსთა სამინისტროს ამ ინიციატივას მიესალმნენ და განაცხადეს, რომ ამის შემდეგ მათთვის საბაჟო პროცედურები მარტივი იქნება და აღარ მოუხდებათ საბაჟოზე რამდენიმე დღე ტვირთის გაჩერება.

ბანკირების აზრით, აღნიშნული ინიციატივა მისასალმებელია, მაგრამ არსებობს რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა, რაც შეიძლება ბანკებს შორის დავის საგანი გახდეს.

აღნიშნული ინიციატივის დახვეწის მიზნით ფინანსთა სამინისტროში კონსულტაციები გაგრძელდება. ბანკებს პროექტში მონაწილეობის სურვილის გამოთქმის შესაძლებლობა ნოემბრის ბოლომდე ექნებათ.

საქართველოში 10 აგროსაინჟინრო ცენტრი იქმნება

სოფლის მეურნეობის სამინისტროში აგროსაინჟინრო ცენტრების შექმნასთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერი დამთავრდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოვლინდა 10 გამარჯვებული: ს/ს "აგროსოფლტექსერვისი" (აბაშის რაიონი, სოფელი ნორიო); შპს "მამული 96" (გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა); ს/ს "ავტორემონტი" (საგარეჯო); ინდ. მეწარმე რამაზ მოსიაშვილი (ხაშურის რაიონი, სოფელი ვაყა); შპს "გორა-2003" (თბილისი); ს/ს "სოფლტექსერვისი" (ახმეტა); შპს "მნათობი" (გორის რაიონი, სოფელი ფხვენისი); ინდ. მეწარმე ჯემალ ხატიაშვილი (სიღნაღის რაიონი, სოფელი ტიბაანი); ინდ. მეწარმე თემურ მჟავანაძე (ოზურგეთი); შპს "ერ-თი-ჯი" (თიანეთის რაიონი);

თითოეული ორგანიზაცია 70 ათას ლარს მიიღებს. ამისთვის 700 ათასი ლარი იაპონური ტექნიკის რეალიზაციიდან შემოსული თანხით შექმნილი საპარტნიორო ფონდიდან გამოიყო. ტენდერის პირობების მიხედვით, გამარჯვებული ორგანიზაციები ადგილობრივ რაიონებსა და სოფლებში შექმნიან ტექნიკის სადგურებს, სადაც თავმოყრილი იქნება ტექნიკა და მოემსახურება ყველა მიწათმოსარგებლეს.

"ეს თანხა, რა თქმა უნდა, არასაკმარისია. მაგრამ სადგურებს შემდეგ კიდევ დავეხმარებით. თუ გამარჯვებულები საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდებიან, აგროსაინჟინრო ცენტრები აუცილებლად განვითარდება. თანხის 10 პროცენტი შენობის რეაბილიტაციისთვის არის გათვალისწინებული, დანარჩენი კი ტექნიკის შესყიდვას უნდა მოხმარდეს. ამასთან, ამ თანხას ის უპირატესობაც აქვს, რომ პირველი სამი წლის განმავლობაში სერვის-ცენტრები არაფერს იხდიან, თანაც ეს სესხი უპროცენტოა. ჩვენ ვაძლევთ რეკომენდაციას: აგროსაინჟინრო ცენტრი თავისი სანვავით ემსახურება მიწათმოსარგებლეს, შეაქვს სასუქები და ა.შ. ფერმერი კი მოსავლის აღების შემდეგ განეული სამუშაოს საფასურს მას ნატურით აძლევს," - აცხადებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე გია ქაიხოსროშვილი.

"სოფლის მეურნეობაში ამით ახალი საქმე უნდა დაიწყოს, რადგან ორი ათეული წელია, ტექნიკური პარკი უმძიმეს მდგომარეობაშია. სამომავლოდ, სადგურებს სათესლე მასალითა და პესტიციდებით მოვამარაგებთ. მომავალ წელს კიდევ 20 სერვისცენტრის დაფუძნებას ვგეგმავთ. 3 წელიწადში კი მთლიანად ქვეყანას მოვიცავთ. ყველა თვითრის ხარჯვას გავაკონტროლებთ, რადგან ეს არის სახელმწიფოს ფული და მაქსიმალურად გამჭვირვალედ უნდა დაიხარჯოს", - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნუგზარ სარჯველაძემ გამარჯვებულებთან შეხვედრისას.

24 საათი

იაპონიის მთავრობა საქართველოსთან თანამშრომლობას აგრძელებს

იაპონური დახმარების პროგრამა 2005 წელსაც გაგრძელდება - ეს გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე საქართველოში ვიზიტად მყოფმა იაპონური დახმარების პროექტების მრჩეველმა ტოშიკო ოკა ზაკიმ გაახმოვანა. ამ ცოტა ხნის წინათ მან საქართველოს რაიონები მოიარა, შეხვდა მცირე, საშუალო და მსხვილ ფერმერებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს იაპონიის მთავრობასთან თანამშრომლობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს. იაპონიის ტექნიკური დახმარების საგრანტო 2 KR პროგრამა 62 ქვეყანაში მიმდინარეობდა, ახლა კი მხოლოდ - 16 ქვეყანაში.

"ტექნიკის ღირებულების გადახდა ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. თუმცა, ევროპის მწარმოებელ ქარხნებში დამზადებული ტექნიკის ღირებულებასთან შედარებით, ჩვენთან შემოსული ტექნიკის ღირებულება 5-ჯერ იაფია. მაგალითად, კომბაინის ღირებულება - 60 ათასი დოლარი - ფერმერებმა 4 წელიწადში უნდა დაფარონ, რაც ძალზე რთულია. გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლითაც სახელმწიფომ დაივალა 50 პროცენტის, ზოგ შემთხვევაში კი, 70 პროცენტის სუბსიდირება. რეალიზაციიდან ამოღებული თანხები საპარტნიორო ფონდში გროვდება," - განაცხადა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ გია ქაიხოსროშვილმა.

საპარტნიორო ფონდში ამ დროისთვის მობილიზებულია 4.2 მილიონი ლარი. 2 KR –ის ფარგლებში ახალი ტექნიკა 2005 წლის პირველ კვარტალში შემოვა.

24 საათი

ს.ს. "თელასი"
გთხოვთ, მოგვაწოდოთ 0,4-6/10კვ ტრანსფორმატორის სათადარიგო ნაწილები;

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის (სათადარიგო ნაწილების სრული ჩამონათვალი) მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 16 ნოემბერი.

EPRC
Economic Policy and Research Center

საბიუჯეტო მონიტორინგი

სახელმწიფო ბიუჯეტს გრანტების ნაწილში 85 მლნ ლარი აკლია

დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში წლიური გეგმის - 1655 მლნ ლარის 79,8%-ია მობილიზებული. მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმის - 1197,98 მლნ ლარის 90,2%-ია მობილიზებული, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების გეგმის 256,6 მლნ ლარის - 79,4%-ი. რაც შეეხება გრანტებს: ბიუჯეტით გათვალისწინებული 119 მლნ ლარის ნაცვლად, დღეისათვის საქართველოს მიღებული აქვს მხოლოდ 33,5 მლნ ლარი, ანუ წლიური გეგმის 28,1%.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისათვის ყველაზე კარგი მდგომარეობა საგადასახადო შემოსავლების კუთხითაა წარმოდგენილი. შემოსავლების მაჩვენებელი იძლევა იმედს, რომ წლის ბოლომდე გეგმა შესრულდება. რაც შეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, ფინანსთა სამინისტროს ცოტა მეტი ძალისხმევა დასჭირდება გეგმის შესასრულებლად, რადგანაც წლიური გეგმის 20% დარჩა შესასრულებული, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას, რომელთა გაყიდვაც წლის ბოლომდე უნდა მოხდეს, არც ამ პარამეტრის შესრულება გახდება პრობლემატური.

გრანტების ნაწილში ზუსტად ვერ გეტყვით რაში მდგომარეობს პრობლემა, მაგრამ ალბათ წლის ბოლომდე ვერ მოხერხდება დაგეგმილი 85 მლნ მიღება, ანუ წლიური გეგმის 72%, რაც სერიოზული დაფიქრების საფუძველია. მიუღებლობის შემთხვევაში კი, არ დაფინანსდება შესაბამისი პროგრამები, ანუ ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას ფინანსთა სამინისტროს არასწორად ჰქონდა ნავარაუდევი გრანტებიდან შემოსავლების მიღება.

ასევე საინტერესოა აღინიშნოს, რომ დეფიციტის დაფინანსების წყაროებიდან წლიური გეგმით გათვალისწინებული 271,14 მლნ ლარის ნაცვლად, დაფინანსებულია 146,90 მლნ ლარი, ანუ წლიური გეგმის 54,2%. ანუ წლის ბოლომდე ბიუჯეტში ხარჯების დასაფინანსებლად საჭიროა 124,24 მლნ ლარის მობილიზება. მათ შორის საშინაო წყაროებიდან შესაძლებელია კანონით მხოლოდ 9,5 მლნ ლარის მობილიზება, თითქმის გამოყენებულია მსოფლიო ბანკის რეფორმების მხარდამჭერი კრედიტი, დარჩა მხოლოდ 1,7 მლნ ლარის რესურსი ასათვისებელი, ხოლო მსოფლიო ბანკის ინვესტიციური კრედიტებით დაფინანსებული პროექტებისათვის საჭიროა დამატებით 115 მლნ ლარის მოზიდვა, რაც დარჩენილ პერიოდში ძალზედ საეჭვოა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხაზინის ანგარიშზე ნაშთი არის 78 მლნ ლარი, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული 1926,17 მლნ ლარის კანონით გათვალისწინებული ხარჯის დასაფინანსებლად წლის ბოლომდე, ანუ თვენახევარში საჭიროა 520 მლნ ლარის ხარჯის გაწევა, რაც წლიური გეგმის 27%-ს წარმოადგენს.

საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მიმდინარეობა

სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაცია	ათ. ლარებში
I იანვრის მდგომარეობით ხაზინის ანგარიშზე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემავალი ნაშთი	15 258.2
მათ შორის:	
ცენტრალური ხაზინის ანგარიში	7.975.7
საბიუჯეტო დეპარტამენტის, ქ. ფოთის და რეგიონალური ხაზინო სამსახურების ანგარიშები	84.9
სავალუტო ანგარიშები	104.9
სოციალური დაზღვევის ფონდი	5 396.9
საგზაო ფონდი	1 695.8

შემოსავლები	წლიური გეგმა	ფაქტიური შესრულება	გადაჭარ.	შესრულება % - ში
სულ ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	1,257,330.0	962,786.0	294 544.0	76.6
სულ შემოსავლები	1,056,890.0	926,999.0	130 891.0	87.6
სულ საგადასახადო შემოსავლები	811,330.0	733,427.0	77 903.0	90.4
სულ არასაგადასახადო შემოსავლები	245,560.0	192,572.0	52 988.0	78.4
კაპიტალური შემოსავლები	81 400.0	3 279.0	78 121.0	4.0
სულ გრანტები	119,040.0	33,508.0	85 532.0	28.1
ფინანსური დაფინანსების წყაროები	271,164.0	146,904.0	124,260.0	54.2
მოკლევადიანი სესხი თეთრიდან		-		
სესხები კადაგადაგებიდან შემოსავლები	13,000	3,537.0	9,463.0	27.2
მთავარი სესხის რეფინანსირების ანგარიშები ერთიანი	45,080	44,371.0	1,709.0	98.3
დაფინანსებული პროექტები *	212,064	98,640.0	115,424.0	46.6
ნაში წლის განმავლობაში სახელმწიფო სესხების დაფარვა		2,356.0		
სხვა შემოსავლები ****		327.0		

მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველის** თანამდებობის დასაკავებლად. **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

- იმუშავებს კონტრაქტორის *ხარისხის კონტროლის ინსპექტორის* საქმიანობის თანამიმდევრულად და მეთვალყურეობას გაუწევს მილსადენის თხრილის გაყვანის, მილის ჩადების, გრუნტით დაფარვის, ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის ჩადების და შესრულებული სამუშაოს საბოლოო შემოწმების სამუშაოებს.
- უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორმა თავის საქმიანობაში დაიცვას მისივე შედგენილი მშენებლობის მეთოდოლოგია და "სამუშაოების წარმოების ნებართვით" დადგენილი პროცედურები;
- სათანადო გულმოდგინებით მოეპყრობა კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხებს და მყარად დაიცავს კომპანიის HSE წესებს თავის სამუშაო ადგილზე.
- გააკონტროლებს, რომ მშენებლი კონტრაქტორის მხრიდან სამუშაო შესრულდეს მილსადენის კომპანიის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვით;
- მოეთხოვება მიმართულების მენეჯმენტის წინაშე ყოველდღიური ზუსტი ანგარიშების წარდგენა ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

მოთხოვნები:

- ფართო მასშტაბის მიწის სამუშაოებზე, განსაკუთრებით დიდ სირღმეებზე გათხრის სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება, ან საგზაო მშენებლობის და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მეთოდოლოგიის გამოყენების გამოცდილება, ან დროებითი დამხმარე ნაგებობების და მოშორებულ ადგილებამდე კომუნიკაციების მიყვანის სამუშაო გამოცდილება;
- ინგლისური და ქართული ენების თავისუფლად ფლობა;
- MS Office-ის მყარი ცოდნა;
- საჭიროებისამებრ სხვა სფეროს ზედამხედველების ჩანაცვლების შესაძლებლობა;
- მილსადენის სამშენებლო დერეფნის მომზადების, გრუნტის ზედა ფენის მოხსნის და დასაწყობების და შემდგომში მიწის საფარის აღდგენის ოპერაციებთან დაკავშირებულ სამუშაოებზე ზედამხედველობის გასაწევად საჭირო კვალიფიკაცია;
- მრავალ-დისციპლინური და მრავალეროვანი სამშენებლო ბრიგადის შემადგენლობაში მუშაობის უნარი;
- კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხების და სამუშაო ადგილზე კომპანიის HSE წესების მყარად დაცვის უნარი;
- კომუნიკაციის დადებითი უნარი.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 12 ნოემბერი, პარასკევი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
BP-საქართველო
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N 38

პალესტინის ახალი მომავალი ძველი ლიდერის გარეშე

სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების იმედები და ექსტრემისტულ დაჯგუფებათა მუქარა

ხათუნა გაბიევი

"პალესტინის ოფიციოზი დიდი მწუხარებით აუწყებს პალესტინის ხალხს, არაბ ერსა და მთელ კაცობრიობას, რომ გარდაიცვალა ლიდერი, პალესტინის ძე და სიმბოლო. ადამიანი, რომელიც ნაციონალიზმის აღმშენებელი და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გმირი იყო, ჩვენი პრეზიდენტი, ჩვენი ლიდერი, ჩვენი ახალი მომავლის მებაირაღე, ჩვენი ძმა იასირ არაფატი საფრანგეთში, კლამარის სამხედრო ჰოსპიტალში დილის 4 საათსა და 30 წუთზე გარდაიცვალა", -ამ სიტყვებით აუწყა თანამემამულეებს თვალზე ცრემლმომდგარმა პალესტინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მდივანმა თაიბ აბდელრაჰიმმა იასირ არაფატის გარდაცვალება რამალაში მუქათას რეზიდენციაში გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა პალესტინის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სიმბოლოიასირ არაფატი.

არაფატი - სახელმწიფოებრიობისთვის მებრძოლის ხატი

უკანასკნელი ოთხი ათწლეულის მანძილზე იასირ არაფატი პალესტინელთა სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის სიმბოლო იყო, როგორც იარაღით ხელში, ასევე მშვიდობიანი გზებით.

1929წ. 24 აგვისტო: მუჰამედ აბდელ-რაუფ არაფატ ალ კუდველ მუსლიანი დაიბადა ქაიროში, ეგვიპტე.

1946ბ.: რაბინსა და შიმონ პერესთან ერთად იღებს ნობელის პრემიას მშვიდობის სფეროში

1946ა.: ფრანგეთ-ბრიტანეთის მანდატის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ებრაელი დასახლებების დაფუძნების წინააღმდეგ დაწყებულ შეიარაღებულ ბრძოლაში

1966ბ.: ორივეგან პალესტინელთა მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის პრეზიდენტად

1966ა.: ქაიროს უნივერსიტეტი ანიჭებს ინჟინრის კვალიფიკაციას

1996ა.: არაფატი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეშუდ ბარაკი ხელს აწერენ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც 2000 წლისთვის უნდა დადგინდეს საზღვრები და გაირკვეს იერუსალიმის სტატუსი

1968ბ: აფუძნებს "ფათჰის" მეთაურებულ დაჯგუფებას, რომლის მთავარი მიზანი ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაა

2000ბ. სექტემბერი: აშშ-ს ინიციატივით გამართული სამშვიდობო სამიტის წარმატების ძალადობის განახლებას ანგრევს. ისრაელი არაფატს სამოქალაქო პირებზე განხორციელებულ თავდასხმებზე პასუხისმგებლობას აკისრებს. არიელ შარონის პროვოკაციული მასალა ტაძრის მთაზე ბიძგს აძლევს ახალ ინტიფადას.

1964ბ.: ხელმძღვანელობს "ფათჰის" რეიდებს ორდანიდან ისრაელში.

1968ბ.: მეთაურობს "ფათჰის" მებრძოლებს კარამეს ბრძოლაში, ორდანიაში. ისრაელის 15 ათასიანი სამხედრო დაჯგუფების დამარცხებას "ფათჰის" პრესტიჟი ორმხრივად გაზარდა

2001ბ. დეკემბერი: ისრაელის ძალები დასავლეთ სანაპიროს ქ. რამალაში თავის რეზიდენციიდან გამოსულს საშუალებას აღარ აძლევენ. ინყება შინაპატიმრობის პერიოდი

1969ბ.: ხდება პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის (პგო) თავმჯდომარე

1970-80-იანი წწ.: ორი ათწლეულის მანძილზე პგო პარტიზანულ ბრძოლას ანარმოებს ისრაელისა და დასავლეთის წინააღმდეგ

2003ბ. მაისი: მისი მმართველობით უკმაყოფილო პალესტინის პარლამენტმა, რათა მეესუტენინა არაფატის ძალაუფლება, პგო-ს ახალგაზრდა ნევრი მაჰმუდ აბასი (აბუ მაზენი) პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნა. სექტემბერში არაფატთან უსაფრთხოების საკითხებში უთანხმოების გამო აბასი პოსტს ტოვებს. იგი ამჯერად კურეიმ შეცვალა

1973ბ.: ფთხოვ პირველი პალესტინური ინტიფადა - გრძელდება 90-იანი წლების პირველ წლებამდე

1988ბ.: პგო უარს ამბობს ტერორიზმზე - ალიარებს ისრაელის სახელმწიფოს არსებობის უფლებას დამოუკიდებელ პალესტინასთან ერთად

1993ბ.: ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი და არაფატი ხელს აწერენ არამორალურ სამშვიდობო შეთანხმებას თეთრ სახლის ეზოში

2004ბ. ოქტომბერი: არაფატი სიკვდილის პირასაა. მას შემდეგ, რაც იგი პარიზში სამკურნალოდ გადაიყვანეს, სამი ადამიანი - კურეი, აბასი და პარლამენტის სპიკერი სალიმ აზ-ზანუნი იღებენ ძალაუფლებას. გარდაიცვალა 11 ნოემბერი.

© GRAPHIC NEWS Pictures: Associated Press

ოცდაერთ წლიანი ბატონობა ოფიციალურ რამალაში ადვილად ასახსნელია. ეს ადამიანი ბევრ ადამიანისთვის ერთადერთ ხელისუფალად ითვლებოდა

„ბატონო პრეზიდენტო, ნუ დაგვიკარგავ მომავლის იმედს!"

რუსთაველები შველას ითხოვენ

როდესაც თბილისი რევოლუციის წლისთავისათვის ემზადება, რუსთაველი ახალგაზრდები და პენსიონერები უკიდურეს გაჭირვებასა და გაუსაძლის პირობებზე ალაპარაკდნენ. "რუსთავში არავითარი რევოლუცია არ მომხდარა, უბრალოდ, ძველი შევარდნაძისტები დღეს რევოლუციონერებად მოგვევლინნენ,"- აცხადებენ ისინი და შველას პირადად პრეზიდენტისაგან მოითხოვენ.

ნინო ბერელიძე

"მთელი ახალგაზრდობა აქტიურად ვმონაწილეობდით რევოლუციის პროცესებში, რადგან გადარჩენის ერთადერთ გზას ამაში ვხედავდით, მაგრამ რა, ცხოვრების უარესი პირობები გვაქვს და არავითარი იმედი, რომ რაიმე ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვლება. ერთი, რასაც მივხვდით ისაა, რომ ხალხი არავის ედარდება, თითქოს, არც ვარსებობდეთ. ვისაც კი ყურადღების გამოჩენა და დახმარება ვთხოვეთ, საპასუხოდ ყველამ ცინიზმი დაგვახვედრა. ჩვენ, ახალგაზრდებს, არავითარი პერსპერქტივა არ გაგვაჩნია, რომ ჩვენს ქალაქში ვისწავლით და ვიმუშავებთ... დავიღალეთ და გვეყო ამდენი დამცირება, ხვალ ისევ იქნება არჩევნები და ისევ ჩვენთვის მიუღებელ ადამიანს დაგვისვამენ ხელისუფლებაში. პრეზიდენტისაგან ხალხთან შეხვედრას მოვითხოვთ. მოგვისმინოს და გვიხსნას იმ ყოფისაგან, რაც რეალურად სახეზეა. აქამდე იმიტომ ვდუმდით, რომ იმედი გვქონდა, უმაღლეს ხელისუფალს რევოლუციის დღეებში მოცემული დაპირება არ დაავიწყდებოდა,"- აცხადებს ახალგაზრდული საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის რუსთავის განყოფილების ხელმძღვანელი ლევან ტოპრაკაშვილი,

ხანდაზმული ადამიანების განწობილებაც იგივეა. ილარიონ ჭანკვეტაძე, მეტალურგიული კომბინატის ინვალიდთა კომიტეტის თავჯდომარე: **"ჩვენს ორგანიზაციაში 800-მდე ინვალიდი პენსიონერია გაერთიანებული, ყველას ძალიან უჭირს თავის გატანა, აღარაფერს ვამბობ სამედიცინო დახმარებაზე. რამდენიმე შემთხვევა გვქონდა, როდესაც მიცვალებული ცელოფნის პარკში გახვეული დავასაფლავეთ. ხუთი თვეა, პენსია არ მიგვიღია, დიდი ჩხუბის შემდეგ, ძლივს გადმოგვიგდეს ერთი თვის პენსია, რომელზედაც ორი ლარი მოგვაკლეს. რისთვის? რატომ? - განმკითხავი არავინ არის, ყველგან სრული განუკითხაობაა გამეფებული. სამსახურში ადამიანები მეგობრობის, პარტიულობისა და გუნდურობის პრინციპით ინიშნებიან. ახალგაზრდები მეცოდებიან, რომლებსაც მომავალს ვარმავენ. ვის არ მივმართეთ, მაგრამ პასუხი არავისაგან მიგვიღია. მინდა, თქვენი საშუალებით პრეზიდენტს ხმა მივაწვდინო და ვთხოვო, ჩამოვიდეს რუსთავში, მოგვისმინოს... ბატონო პრეზიდენტო, ნუ დაგვიკარგავ მომავლის იმედს!"**

„სტუდენტებმა გვაჩვენეს, როგორ უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი ქრისტიანი"

8 ნოემბერს "24 საათში" გამოქვეყნდა სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტთა ნაწილის წერილი, სადაც ისინი საქართველოს საპატრიარქოში არსებულ პრობლემებზე ღიად საუბრობენ. წერილს ხელს 23 სტუდენტი აწერს. ისინი ამბობენ, რომ მათ დამოკიდებულებას სტუდენტებისა და პედაგოგების, აგრეთვე, მათთვის ცნობილი სასულიერო პირების უმრავლესობა იზიარებს. თუმცა, სხვადასხვა მიზეზით ისინი დუმილს არჩევენ. "ჩვენც დიდხანს ვდუმდით, – წერენ ისინი, – მაგრამ, ჩვენი აზრით, წლების მანძილზე წაყრუებისა და დუმილის პოლიტიკამ ვერანაირად გაამართლა და ამ წერილზე ხელმომწერნი პირად პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ეკლესიაში დღესდღეობით არსებული კრიზისის გამო." როგორც გაირკვა, საპატრიარქომ სტუდენტებს ეს წერილი არ აპატია. დღეს, ორ საათზე რექტორატი მათ განაჩენს გამოუტანს: უზიარებლობა, ან სასწავლებლიდან გარიცხვა. ამ ფაქტის გამო გუშინ თავისუფლების ინსტიტუტში სასულიერო პირები შეიკრიბნენ. – "ჩვენდა, სასულიერო პირების სამარცხვინოდ, ჩვენს ეკლესიაში არსებული უმსგავსოებების წინააღმდეგ, ხმა პირველად ჩვენმა სტუდენტებმა აიმაღლეს. მათ გვაჩვენეს, როგორ უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი ქრისტიანი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში სტუდენტებს მხოლოდ უსიტყვო მორჩილებას, პირმოთნეობასა და არსებულ მდგომარეობასთან შეგუებას ასწავლიან, მათ ხმა მაინც აიმაღლეს და ჩვენ მაგალითი გვაჩვენეს." ამ სტუდენტთა მხარდასაჭერად სასულიერო პირებმა ქვემოთმოყვანილი მიმართვა გაავრცელეს.

გუშინ თავისუფლების ინსტიტუტში სასულიერო პირები შეიკრიბნენ...

მარიკა ამპარელაშვილის ფოტო

მიმართვა

"ჩვენ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები, მხარს ვუჭერთ ა.წ. 8 ნოემბერს გაზეთ "24 საათში" თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტთა ერთი ნაწილის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას, რომელშიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დღეს შექმნილ მდგომარეობაზეა საუბარი. უპირველეს ყოვლისა, უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ამ სტუდენტებს, რომლებიც, მიუხედავად უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლისა, არ წავიდნენ სინდისთან კომპრომისზე და უშიშრად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით. მსგავსი ქმედება ყველა ქრისტიანის წმინდათაწმინდა მოვალეობას წარმოადგენს. ჩვენც სწორედ მოვალეობის ეს გრძნობა გვკარნახობს, ღიად გამოვხატოთ ჩვენი ქრისტიანული და მოქალაქეობრივი პოზიცია.

დღეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული უმძიმესი მდგომარეობა საღად მოაზროვნე სამღვდელოებისა და მრევლის სამართლიან შეშფოთებას იწვევს. დუმილის დრო დასრულდა. ყველაფერი უნდა ითქვას დაუფარავად და შეუღამაზებლად. აქედან გამომდინარე, ვაცხადებთ:

დანაშაულია, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებს წარმართავენ და უკვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზეც კი აქტიურად მოქმედებენ საპატრიარქოში მოკალათებული ქალბატონის, შორენა თეთრუაშვილის ხელდასხმით მოქმედი საეკლესიო კადრები და მის მიერ მართული რელიგიურ-ექსტრემისტული დაჯგუფებები.

დანაშაულია, როდესაც არსებული ინფორმაციით სასულიერო პირებს აკურთხებენ სატელეფონო ზარების, პირადი ნაცნობ-მეგობრობისა და ამა თუ იმ სამღვდელო ხარისხის მისაღებად დაწესებული ფულადი "სტავკების" გადახდის შედეგად.

დანაშაულია, როდესაც სამღვდელო ხარისხს ატარებენ ნარკომანი და მრევლის გამრყვნელი, ელემენტარული საღვთისმეტყველო განათლების არმქონე, ქურდული მენტალიტეტის მატარებელი პირები.

დანაშაულია, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საფინანსო ბარკეტები მოქცეულია ზემოაღნიშნული ქალბატონისა და მისი დამქაშების ხელში, რაც მათ სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილის დუმილის ყიდვის საშუალებას აძლევს. ამის გამო სამღვდელო პირთა უმრავლესობას მატერიალური სახსრების მოსაპოვებლად ხშირად სინდისთან კომპრომისზე წასვლა უწევს.

დანაშაულია, როდესაც ქვეყნის ყველაზე საბედისწერო წლებში სახელმწიფო საბიუჯეტო, საბაჟო, საშემოსავლო და საგალუტო გადასახადებისაგან გათავისუფლებული საქართველოს საპატრიარქოს ზოგიერთი სტრუქტურა და მათი ხელმძღვანელები სხვადასხვა ორგანიზაციებთან კორუფციულ გარიგებაში შედიან და ეხმარებიან მათ სახელმწიფო ბიუჯეტისგან გადასახადების დაფარვაში, რითაც თავიანთი გამდიდრების ხარჯზე ზარალს აყენებენ პენსიონერებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სამედიცინო პერსონალს, ანუ ამძიმებენ ისედაც დამძიმებულ სოციალურ ფონს.

დანაშაულია, როდესაც დაარსებიდან 16 წლის შემდეგ სასულიერო სემინარიასა და აკადემიას ხელმძღვანელობს სრულიად არაკომპეტენტური რექტორი, რაც მძიმედ აისახება კიდეც ამ სასწავლებლის აკადემიურ და ზნეობრივ მდგომარეობაზე.

დანაშაულია დუმილი მაშინ, როდესაც ერთმორწმუნე "მოძმის" მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და შიდა ქართლში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დაუფარავად აწარმოებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური იურისდიქციის შელახვას ამ ტერიტორიებზე "სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის დამოუკიდებელ საპატრიარქოთა ჩამოყალიბების მიზნით. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს დღემდე არ დაუყენებია საკითხი პრინციპულად. ეს გვაფიქრებინებს, რომ საპატრიარქოს აპარატი შორენა თეთრუაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედებს რუსეთის სპეცსამსახურების გავლენით.

დანაშაულია, როდესაც მრევლში მასობრივად ღვივდება ანტიდასავლური და ანტიამერიკული ისტერია. ეს ქვეყნის უსაფრთხოებას ემუქრება, რაზეც, ვფიქრობთ, მეტი დაფიქრება ჰმართებს საზოგადოებას.

დანაშაულია, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საზოგადოებისაგან ჩაკეტილ, იზოლირებულ ორგანიზმად გვისახავენ, რომლის მიღმაც ყველა მტერს წარმოადგენს.

დანაშაულია, როდესაც ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში 100 მლნ. ლარის ღირებულების ტაძარი შენდება, ამ ფონზე კი ადამიანები, უბრალოდ, შიმშილით იღუპებიან.

დანაშაულია, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ღვთივგანცხადებულ მოძღვრებას, უფალ იესოსა და მისი მოციქულების მიერ ნაქადაგევ ღირებულებებსა და ფასეულობებს ყურით მოთრეულ, იაფფასიანი და პროპაგანდისტულ-პოლიტიკური ნაციონალ-მესიანისტური იდეები ენაცვლება.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვაცხადებთ: დრო აღარ ითმენს. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში გამოკვეთილი სხვადასხვა დაჯგუფება ღვთის სიტყვისა და მაცხოვნებელი მოძღვრების ქადაგების ნაცვლად, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა და ფინანსურ-ეკონომიკურ დაჯგუფებათა მხარდაჭერის მოპოვებითაა დაკავებული. ეკლესიაში არსებული მდგომარეობის გაჯანსაღება მოითხოვს არა პრობლემების წაყრუებას და მათი საზოგადოებისგან დამალვის მცდელობას (რადგან საზოგადოებამ ისედაც ყველაფერი კარგად იცის მათ შესახებ), არამედ რეალობისთვის თვალის გასწორებას და არსებული რთული მდგომარეობიდან გამოსავალი გზის ძიებას."

დეკანოზი ბასილ კობახიძე
დეკანოზი მიქაელ ასათიანი
მღვდელი ზაზა თევზაძე
მღვდელი დიმიტრი აბაიშვილი
მღვდელი ავთანდილ გიორგობიანი

ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს სამეგრელო ზემო-სვანეთის მხარეში ბატონ გიორგი უგულავას

ბატონო გიორგი, ვსარგებლობთ შემთხვევით და გამოვხატავთ თქვენდამი ღრმა პატივისცემას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში მდებარეობს სამეგრელოს მთავართა საზაფხულო რეზიდენცია – სალხინოს სასახლე.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ამ ძეგლის რბევა და განადგურება დაიწყო. ბოლშევიკებმა იგი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ შენობაში ბაგა-ბაღი და სოფლის კლუბი მოათავსეს, რის გამოც სრულიად გაფუჭდა სასახლის ინტერიერი. 1970 წელს კი შენობაში გაჩენილმა ხანძარმა იგი სრულიად იმსხვერპლა. ამჟამად ძველი რეზიდენციიდან მხოლოდ კარკასებია შემორჩენილი. სამწუხაროდ, სასახლე არც კულტურის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სასახლის აღდგენა და ამ შენობაში მუზეუმის მოწყობის ინიციატივა გამოთქვეს სამეგრელოს მთავართა ფრანგული შტოს შთამომავლებმა – პრინცმა ალენ მიურატმა და პრინცესა ვერონიკა დე შაბო ტრამკურმა. ვფიქრობთ, აღნიშნული ინიციატივა იმსახურებს მხარდაჭერას და მსგავსი აქცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

პატივისცემით:

ლაშა ბუღაძე (მწერალი)
გია ბუღაძე (სამხატვრო აკადემიის რექტორი)
ნოდარ ლომოური (საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი)
თემო გოცაძე (საქართველოს ეროვნული გალერეის დირექტორი)
გურამ საღარაძე (მსახიობი)
ლელა წურწუმია (მომღერალი)
გოდერძი შარაშია (ჟურნალისტი)
ინგა გრიგოლია (ჟურნალისტი)
გიორგი კალანდია (დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის დირექტორი)

იუზა ცარციძემ მადლობა დაიმსახურა

გუშინ დედაქალაქის საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ "თბილწყალკანალის" ობიექტებზე გასვლითი სხდომა მოაწყო. საკრებულოს წევრებმა დაათვალიერეს სამგორის საფილტრო სადგური, არაგვის ხეობის წყალსადენის ობიექტები და ადგილზე მოისმინეს "თბილწყალკანალის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის იუზა ცარციძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ნანა ყაველაშვილი

გაირკვა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრთა უმეტესობა პირველად იყვნენ სტუმრად "თბილწყალკანალის" ობიექტებზე. ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ წყალსადენის ყველა ობიექტს და ყურადღებით სნავლობდნენ, თუ რა გზას და პროცედურას გადის არაგვის წყალი ჟინვალის წყალსაცავიდან თბილისელების ონკანებამდე. "თბილწყალკანალის" სამფლობელოში ექსკურსიამძღოლობას მათ თავად იუზა ცარციძე უწევდა.

პირველად სამგორის საფილტრი სადგური მოინახულეს. შემდეგ არაგვის ხეობის წყალსადენის სარეზერვო წყალსაცავის მშენებლობას ესტუმრნენ. ამ წყალსაცავს თბილისის უწყვეტი წყალმომარაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მოქმედი წყალსადენი გვირაბი, რომლის საშუალებითაც წყალი "ჟინვალჰესიდან" ბუფერულ წყალსაცავამდე მიდის, ავარიულ მდგომარეობაშია. ავარიის შემთხვევაში სარეზერვო წყალსაცავიდან "თბილწყალკანალი" დედაქალაქს სასმელ წყალს შეუფერხებლად მიანვდის. მშენებლობის დათვალიერების შემდეგ, საკრებულოს წევრებმა ერთხმად აღიარეს, რომ საჭიროა წყალსაცავი დროულად დასრულდეს და მზადყოფნა გამოთქვეს, შესაბამის სხდომაზე დედაქალაქის 2005 წლის ბიუჯეტში მშენებლობისათვის საჭირო თანხის გამოყოფას მხარი დაუჭირონ. იუზა ცარციძის თქმით, მშენებლობის დასასრულებლად მილიონ შვიდასი ათასი ლარია საჭირო. დროული დაფინანსების შემთხვევაში, მშენებლობა, სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულზე დასრულდება. თუმცა, შპს "თბილწყალკანალის" წარმოების უფროსის შოთა ტრაპაიძის თქმით, თუ საგანგებო სიტუაცია შეიქმნა, სარეზერვო წყალსაცავის ვადაზე ადრე ამოქმედება მშენებლობისას გათვალისწინებულია.

სხდომამ მუშაობა არაგვის ხეობის წყალსადენის საგურამო-ნატახტარის ობიექტზე დაასრულა. საკრებულოს წევრები "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა ნაღვაწით კმაყოფილი დარჩნენ.

"გადავწყვიტეთ, საკრებულოს სხდომები კაბინეტებში კი აღარ ჩავატაროთ, არამედ ადგილზევე ვნახოთ რეალური ვითარება. "თბილწყალკანალისა" და მისი მუშაობის შესახებ აქამდე ბევრი რამ მეც არ ვიცოდი. წყალსადენის სფეროს სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, იმ ობიექტებში, რომლებიც დღეს დავათვალიერეთ, ნორმალური სიტუაციაა. არსებული მდგომარეობა სპეციალისტებმაც დადებითად შეაფასეს. ვნახეთ, რომ "თბილწყალკანალის" ქონება უკლებლივაა შენარჩუნებული. ბევრი რამეა გაკეთებული. თბილისის სამას მილიონიან ბიუჯეტში აუცილებლად გამოვნახავთ თანხებს, რომ დარგი საკმარისად დავაფინანსოთ და განვავითაროთ. იუზა ცარციძემ ბრძანა, რომ სარეზერვო წყალსაცავის მშენებლობის დასრულებას მილიონ შვიდასი ათასი ლარი სჭირდება. გაწეული მუშაობისათვის იუზა ცარციძესა და მის თანამშრომლებს მადლობას ვუხდით. ახლა საჭიროა, დროზე მივცეთ ფული,"- ამბობს დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს:

მსურველთათვის საბუთების მიღებას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად.

საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ტესტური და გასაუბრების ფორმით:

1. საკვალიფიკაციო გამოცდას ტესტური ფორმით აბარებენ ეროვნული სააგენტოს კადასტრის, რეგისტრაციის იურიდიული სამსახურებისა და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატები.

2. საკვალიფიკაციო გამოცდას გასაუბრების ფორმით აბარებენ: I პუნქტით გათვალისწინებული პირები, ვინც ტესტურ გამოცდაში გამსვლელი ქულა მიიღო და ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ვაკანტურ ადგილებზე დასანიშნი პირები.

მოთხოვნები საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილე პირთათვის:

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება კომისიის თავჯდომარის სახელზე;
2. ავტობიოგრაფია;
3. განათლების დამადასტურებელი მოწმობა და მოწმობის ასლი;
4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
5. 2 ფოტოსურათი (3/4);
6. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

საბუთების მიღებისას კონკურსში მონაწილეებს ტესტები გადაეცემათ უსასყიდლოდ.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15-დან 28 ნოემბრამდე. სამუშაო დღეებში 14:00-დან 18:30-მდე; შაბათ-კვირას 11:00-დან 17:00-მდე.

საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის N30 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ☎ 75 82 94 (მოქალაქეთა მისაღები, გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან).

გამოცდა ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდის გამოცხადებიდან სამი კვირის შემდეგ.

რეპრესიების მსხვერპლთა შორის ბევრი მედიკოსია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ავთანდილ ქურხულის წიგნის "...და რომ გახსოვდეს" პრეზენტაცია გაიმართა. ნაწარმოები დოკუმენტურია და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1921-1953 წლებში პოლიტიკური მოტივით რეპრესირებულ სამედიცინო მუშაკებს ეხება.

თამარ ჭაჭანიძე

ეს წიგნი-ქრონიკა რეპრესირებულ მედიცინის დარგის მუშაკთა ბიოგრაფიულ ცნობებს მოიცავს. ისინი ავტორმა საზოგადოება "მემორიალის" არქივის კითხვარების, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საარქივო ფონდებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრში დაცული მასალების საფუძველზე მოიპოვა. დაპატიმრება, გადასახლება, დახვრეტა და ავადსახსენებელი "შავი სიები" მთელ საბჭოთა სამყაროს უფრთხობდა ძილს. საბჭოთა სინამდვილის მსხვერპლი ჯანსაღად მოაზროვნე ქართული ინტელიგენციაც აღმოჩნდა. ავტორის განცხადებით მას სურდა, დოკუმენტური მასალის საფუძველზე ეჩვენებინა რეპრესიების მექანიზმი, მისი სახეები, მასშტაბები, რეჟიმისა და მისი ცალკეული წარმომადგენლების სისასტიკე. ამ წიგნის საშუალებით ნათელი ხდება, თუ რამდენი მედიცინის მუშაკი უმსხვერპლია "წითელ ტერორს".

ავტორი შესავალშივე საუბრობს ბოლშევიკური რევოლუციისთანავე შექმნილ იმ კანონმდებლობაზე, რომელმაც იურიდიული საფუძველი შეუქმნა პოლიტიკური რეპრესიების გახორციელებას. ე.წ. კონტრრევოლუციონერებად მიჩნეული ადამიანების დასასჯელად უკვე ლენინის დროს მუშავდებოდა ალტერნატიული საშუალებები. პიროვნული დისკრედიტირება და გადასახლება 1922 წელს თავად ლენინმა მიიიჩნია უკვე არასაკმარისად. ლენინის მიერ იუსტიციის სახალხო კომისრის კურსკისადმი მიწერილი წერილი ნათლად წარმოაჩენს, თუ ვინ იყო ამ ტერორის იდეოლოგი. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის დამატებაში ლენინი კურსკის წერს: "По-моему, надо расширить применение расстрела (с заменои высылкои за границу)".

დაპატიმრებულთა დაპატიმრების მოტივები, სატირალი რომ არა, ნამდვილად სასაცილო იქნებოდა. მაგალითად, ექიმი, პროფესორი იოსებ აბაკელია დაპატიმრეს ტუბერკულიოზთან დაკავშირებულ სამეცნიერო შრომებში რასობრივი თეორიის გავრცელების ბრალდებით. ბრლდებაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ ის ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ თვითკრიტიკით არ გამოსულა. საქართველოში პირველი ტუბდისპანსერის დამაარსებელი და ქართული ფთიზიატრიის ფუძემდებელი "სამეულის` დადგენილებით დახვრიტეს. მეტ-ნაკლები ინტენსივობით, წიგნი მრავალ ასეთ ფაქტზე მოგვითხრობს.

ყოფილმა პოლიტპატიმარმა, პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ამ თემაზე კიდევ ბევრი მხეტვრული და დოკუმენტური წიგნი შეიქმნება. ერთი ამგვარი წიგნი უკვე დაწერილია. "აკრძალული ფილმის კადრები" - ასე ჰქვია ანსამბლ "რეროს" სოლისტის, ზურაბ რცხილაძის წიგნს. სამედიცინო საზოგადოების გარდა, წიგნის პრეზენტაციას ცნობილი სახეებიც დაესწრნენ: გიგი თევზაძე, არჩილ გულედანი და მუსიკოსი ვახო ბაბუნაშვილი, რომელიც, უნივერსიტეტის სტუდკავშირთან ერთად, ამ ღონისძიების სულის ჩამდგმელი იყო. პრეზენტაციაზე დამსწრე პიროვნებების განწყობით თუ ვიმსჯელებთ, ქართულ საზოგადოებაში უკვე საკმარისადაა მომწიფებული ამ საკითხის შესწავლისა და მასზე მსჯელობის სურვილი. სახელმწიფო კრეპრესირებულთა ოჯახების ვალს, ჯერ მხოლოდ 45-ლარიანი პენსიით იხდის.

ევროპული ატრაქციონები ვაკის პარკში

ხვალ ვაკის პარკში მისულ ბავშვებს დიდი სიურპრიზი ელით. "ჯორჯია პლიუსისა" და "გალა პლიუსის" ფინანსური მხარდაჭერით, მერიის კულტურის სამსახურმა ვაკის პარკში 13 სახეობის ახალი ატრაქციონი დაამონტაჟა. ახლო მომავალში ის სამი ატრაქციონიც შეიცვლება, რომელიც პარკს საბჭოთა დროიდან შემორჩა. მხიარულ მთებს მალე ამერიკული მთები შეცვლის, ძველი მატარებლის ნაცვლად, თანამედროვე ევროპული მატარებელი გაუყვება ლიანდაგს. ხვალ და ზეგ ვაკის პარკში თეატრალური სანახაობებიც გაიმართება. უკვე რამდენიმე დღეა, რაც ზღაპრის გმირები, ტელე-ღიპუცები და კლოუნები ბავშვებთან ერთან ერთობიან. ასეთი ტრადიცია გაგრძელდება მომავალშიც. არ გაგიკვირდეთ, თუკი ყოველ შაბათ კვირას ვაკის პარკში მისულ პატარებს, სხვადასხვა გმირების ფორმებში გადაცმული მსახიობები დაგხვდებათ. აქ ყველა ასაკის ბავშვის ინტერესებია გათვალისწინებული.

ამერიკელი ადვოკატი ქართველ სამართალდამცველებს სასამართლოში უჩივის

ინგა ალავიძე

მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო დღეს ამერიკელი ადვოკატის მაიკლ ფულარასა და მისი ქართველო კოლეგის თამაზ ინაშვილის სარჩელს განიხილავს. ადვოკატები რამდენიმე თვის წინ მათი სარჩელის საპასუხოდ გენერალური პროკურატურის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას არაარგუმენტირებულად მიიჩნევენ და სასამართლოს მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას სთხოვენ.

მაიკლ ფულარა, რომელიც ქართული მართლმსაჯულების "კანონებით", მართალია, ძალიან გაკვირვებულია, მაგრამ დღევანდელ სასამართლო პროცესს მაინც იმედით უყურებს.

გოგიჩა ბუხაიძის ფოტო

საუბარია, 12 წლის წინათ, 1993 წლის 8 აგვისტოს, ნატახტარი-თბილისის ავტომაგისტრალზე მომხდარ მკვლელობაზე. ნატახტრის საგუშაგოსთან გასროლილმა ტყვიამ, რომელსაც ქართველმა სამართალდამცველებმა "ბრმა" უწოდეს, 45 წლის ამერიკელი იმსხვერპლა. მოკლული ფრედ რასელ ვუდროფი ოფიციალურად საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური განყოფილების რეგიონულ ურთიერთობათა სექტორის თანამშრომლის სტატუსს ატარებდა, სინამდვილეში კი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ სტრატეგიული ინტერესის ობიექტ ქვეყანაში – საქართველოში შემოგზავნილი ერთ-ერთი პირველი აგენტი გახლდათ.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჩინოსნის მკვლელობა ქართველმა სამართალდამცველებმა მკვლელობის ღამესვე გახსნეს და მკვლელობაში ეჭვმიტანილი – რიგითი გვარდიელი ანზორ შარმაიძეც ადვილად დაიჭირეს. ერთი შეხედვით, მათ ვალი მოიხადეს, გამოძიება სარეკორდო დროში დაასრულეს, მკვლელობაში ბრალდებულიც გაასამართლეს და ანზორ შარმაიძეს 15-წლიანი პატიმრობაც არგუნეს. სამაგიეროდ, ამერიკული სპეცსამსახურები მკვლელობის გარემოებებს რამდენიმე წლის მანძილზე იძიებდნენ და ამ გამოძიებაზე რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარიც დაიხარჯა. როგორც გაირკვა, FBI-ის ამ მკვლელობის გამოძიება ჯერაც არ შეუწყვეტია.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის, ფრედ რასელ ვუდროფის მკვლელობის საქმე ქართველ სამართალდამცველებს კარგა ხნის დავიწყებული ჰქონდათ და არც არასდროს გაიხსენებდნენ, რომ არა ვუდროფის ოჯახის ადვოკატის მაიკლ ფულარას დაინტერესება.

2004 წლის ივნისის თვეში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შევიდა ვუდროფის მკვლელობისთვის მსჯავრდებულ ანზორ შარმაიძის ადვოკატის თამაზ ინაშვილის სარჩელი, რომელსაც "ამაგრებდა" ამერიკელი ადვოკატის, რომელიც ამჟამად შარმაიძის ინტერესებსაც იცავს, მაიკლ ფულარას მიერ წლების მანძილზე შეგროვილი არგუმენტები. ქართველი და ამერიკელი ადვოკატების მიზანი ერთი იყო – ახლადაღმოცენებულ გარემოებათა გამო ხელახლა გამოძიებულიყო ფრედ რასელ ვუდროფის მკვლელობის საქმე და უდანაშაულო ადამიანი უმძიმესი ბრალდებისგან და, შესაბამისად, პატიმრობისგან გაეთავისუფლებინათ.

თუმცა, როგორც გითხარით, გენერალურმა პროკურატურამ ზაფხულში ჩატარებული მოკვლევა უარყოფითი პასუხით დაასრულა – წარმოდგენილ სარჩელში მოყვანილი ფაქტები საქმის ხელახალი გამოძიების საფუძველს არ იძლევა – ასეთი იყო ქართველი სამართალდამცველების დასკვნა.

"მე მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდეგ გადავწყვიტე, საქართველოს სამართალდამცველი ორგანოებისთვის სარჩელით მიმემართა, რადგანაც საქართველოს ახალ პრეზიდენტს არაერთხელ დაუფიქსირებია თავისი სურვილი, რომ ქვეყანა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დააყენოს. სამართლებრივი სახელმწიფო კი ციხეში უდანაშაულო ადამიანების ყოფნით არ შენდება", - ასეთი შემართებით წამოიწყო საქმე მაიკლ ფულარამ, თუმცა, პირველ უგულისყურობას მაშინ წააწყდა, როცა გენერალური პროკურატურისთვის შეთავაზებულ დახმარებაზე - საქმის ხალახალი გამოძიების პროცესში სამართლებრივ თანამშრომლობაზე უარი მიიღო. **"მე შევხვდი პროკურორს, გავაცანი ჩემ მიერ მოძიებული მასალები, ის სერიოზული არგუმენტები, რომლებიც საქმის ხელახალი გამოძიების საფუძველს იძლევა, სამწუხაროდ, ის არც დაინტერესდა. ალბათ, ამ საქმის ხელახალი გამოძიება არც დაიწყება, მაგრამ ჩემს ინტერესში ახლა ის შედის, რომ უდანაშაულო ადამიანი – ანზორ შარმაიძე ციხიდან გათავისუფლდეს. ფრედის ოჯახის წევრები ამას ძალიან განიცდიან და საქართველოს ხელისუფლებას შარმაიძის გათავისუფლებას სთხოვენ. თუ არასდროს გახდება ცნობილი ვინ მოკლა ვუდროფი, ის მაინც უნდა გაკეთდეს, რომ ტყუილუბრალოდ დაპატიმრებული გამოუშვან. საქართველოს მოქალაქეებმა არ უნდა დაუშვან, რომ უდანაშაულო ადამიანები ციხეში ისხდნენ,"** – აცხადებს მაიკლ ფულარა, რომელიც ქართული მართლმსაჯულების "კანონებით", მართალია, ძალიან გაკვირვებულია, მაგრამ დღევანდელ პროცესს მაინც იმედით უყურებს.

რაც შეეხება მის მიერ მოპოვებულ ახალ გარემოებებს (ამის შესახებ "24 საათი" არაერთხელ წერდა) ის საკმაოდ ვრცელია და ნათლად აჩვენებს, რომ წლების წინ საქართველოში წარმოებული გამოძიების მასალები სერიოზულ რევიზიას მართლაც საჭიროებს.

"ვუდროფის საქმეზე" მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ დღეს გამოტანილი გადაწყვეტილება ძალზე ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. პირველ რიგში, იმ კითხვას, რომელიც ამერიკელ ადვოკატს ძალზე აღელვებს და რომელზეც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით გაცემული პასუხითაც საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური პოზიცია გაირკვევა. თუ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო ქართველი და ამერიკელი ადვოკატების სარჩელს არ დააკმაყოფილებს, ადვოკატები უზენაეს სასამართლოს მიმართავენ, მისგან მიღებული უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი, ევროსასამართლოს.

მოკლედ

გიგლა ბარამიძის მიმართ საქმე პოლიტიკური ნიშნით აღიძრა - ამბობს ადვოკატი

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ სამცხე–ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორის გიგლა ბარამიძის წინააღმდეგ სამცხე–ჯავახეთის სამხარეო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით აღძრა და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა. ყოფილი გუბერნატორი ამ ეტაპზე გამოძიებასთან თანამშრომლობას არ აპირებს. სამაგიეროდ, მისი სათქმელი გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა გაიოზ ნიჟარაძემ გააჟღერა. გიგლა ბარამიძის ადვოკატის განცხადებით, მის დაცვის ქვეშ მყოფს სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია და საქმე პროკურატურამ პოლიტიკური მოტივით აღძრა.

2002 წლის 29 იანვარს სამცხე–ჯავახეთში პრეზიდენტის მაშინდელმა სახელმწიფო რწმუნებულმა გიგლა ბარამიძემ ახალციხის გამგებელი კახა ნერეთელი სცემა. ამ ფაქტზე მოკვლევა მაშინვე დაიწყო, დაიკითხა ორივე მხარე, მოწმეები და 15 თებერვალს პროკურატურამ საქმის არ აღძვრის დადგენილება გამოიტანა.

ამ ინციდენტიდან ერთი თვის შემდეგ გიგლა ბარამიძემ თანამდებობა დატოვა და სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობას დაუბრუნდა.

2004 წლის 15 სექტემბერს სამცხე–ჯავახეთის პროკურატურამ 2002 წლის 15 თებერვლის დადგენილება გააუქმა და საქმე აღძრა, ხოლო 11 ოქტომბერს გიგლა ბარამიძეს დაუსწრებლად ბრალი წაუყენეს და სასამართლომ დაპატიმრების სანქციაც გასცა. "ამის შემდეგ, გიგლა ბარამიძეს თბილისში ეძებენ და 50 სპეცნაზელი მის მეუღლეს და 11 წლის ქალიშვილის პრაქტიკულად ატერორებს", - აცხადებს ადვოკატი.

გაიოზ ნიჟარაძის თქმით, გიგლა ბარამიძე გამოძიებას არასდროს დამალვია, ის დაიკითხა დავით მირცხულავას საქმეზეც, რაც ეხებოდა აშოკი–ნინოწმინდა ელექტროგადამცემ ხაზს. „ასე რომ, გამოძიებამ კარგად იცის, ჩემი დასაცავი მათ არასდროს დამალვია. ახლაც მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გიგლა ბარამიძე გამოძიებასთან თანამშრომლობას არ მოერიდება", - ამბობს ადვოკატი.

რაც შეეხება იარაღს, რომელიც მოწმეების ჩვენებით გიგლა ბარამიძეს თან ჰქონდა, ადვოკატის განცხადებით, დაზარალებული კახა ნერეთელი მაშინ პირველივე ჩვენების მიცემისას და ახლაც ყოველგვარი იარაღის არსებობას უარყოფს.

გაიოზ ნიჟარაძეს მიაჩნია, რომ გიგლა ბარამიძის საქმის წამოწევა პოლიტიკური ნიშნით უფრო მოხდა, ვიდრე ხულიგნობის გამო; „თუმცა ყველას შევახსენებ, რომ 2002 წლიდან გიგლა ბარამიძე პოლიტიკაში არ ერეოდა და არც შევარდნაძის გუნდის წევრად მოიაზრებოდა", - განაცხადა მან და დასძინა, ყოფილი გუბერნატორი ამჟამად, სავარაუდოდ, საქართველოში იმყოფება და ვიდრე მასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი არ ამოიწურება, გამოჩენას არ აპირებს. **24 საათი**

ორი სიტყვით

თბილისი. მეტროპოლიტენის პოლიციის ყოფილმა თანამშრომლებმა სამსახურიდან გათავისუფლების გამო შსს-ს წინააღმდეგ სარჩელი მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში შეიტანეს. ამასთან, სამსახურიდან გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს მეტრო "ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორიაზე. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ისინი სამსახურიდან ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე დაითხოვეს და არც კუთვნილი ხელფასები და დანამატები გადაუხადეს. ყოფილი პოლიციელების თქმით, მათ საპატრულო პოლიციაში სამსახურის დაწყების საშუალება არ მიეცათ და მიაჩნიათ, რომ თავიანთ ფუნქციებს მეტროში ამჟამად დასაქმებული პატრულის თანამშრომლებზე უკეთ შეასრულებდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საპატრულო პოლიციაში კვლავ გაისმა ანონიმური სატელეფონო ზარი. უცნობი ამჯერად თბილისის 104-ე სომხურ-ქართულ სკოლაში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ იტყობინებოდა. თუმცა, ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. უშიშროების სამსახურმა და საპატრულო პოლიციამ კი ამ ზარის ავტორი გუშინვე გამოავლინეს. ნარნია აკოფიანი 104-ე სომხურ-ქართული სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეა. ის სამართალდამცავებმა მკაცრად გააფრთხილეს, ხელწერილი ჩამოართვეს და გაათავისუფლეს. უშიშროების სამსახურები აცხადებენ, რომ უმკაცესად დაისჯება ყველა პირი, რომელიც მსგავს დანაშაულს ჩაიდენს. **მედია-ნიუსი**

აზრთა სხვადასხვაობა თუ დაპირისპირების ნიშნები სასამართლო რეფორმის ჭრილში

სოფიკო ჩხაიძე

"დაპირისპირებად ნუ ჩათვლით, მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობაა", - ირწმუნებიან უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პირველი პირები და ამტკიცებენ, რომ სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის საქმეში წამოჭრილი უთანხმოების უკან პიროვნული უთანხმოება არ დგას.

ქართული მართლმსაჯულების სისტემის რეორგანიზაციის ტემპი აშკარად დაეცა. ორი სტრუქტურის – უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის ერთობა, რომელმაც საზოგადოებას სასამართლო რეფორმის მომდევნო ეტაპის დაწყება ამცნო და დასახულ ღონისძიებათა ნუსხაც ერთობლივად გაგვაცნეს, ან იმთავითვე მოჩვენებითი გახლდათ, ან მოგვიანებით დაირღვა. რიგ პრინციპულ საკითხებსა თუ დეტალებზე შეუთანხმებლობა, რომელიც, კულუარული ინფორმაციით, აქამდეც არსებობდა, საჯაროდ რამდენიმე დღის წინ გამოვლინდა.

სხვათა შორის, ამბობენ, რომ უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს შორის მომრიგებლის როლს უკვე კარგა ხანია, საქართველოს პრეზიდენტი ასრულებს, რომელსაც, ერთი მხრივ, ერთგულებაში გამოცდილი კოტე კემულარია არ ემეტება, მეორე მხრივ - სასამართლო რეფორმის სათავეებთან მასთან ერთად მდგარი და სასამართლო სისტემის პრობლემატიკაში კარგად გათვითცნობიერებული პავლე კუბლაშვილი.

მიუხედავად გავრცელებული ხმებისა მათ შორის საკმაოდ მწვავე დაპირისპირების არსებობის შესახებ, სპეციალურად სასამართლო სისტემის რეორგანიზაციისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ერთმანეთის მიმართ შენიშვნები საკმაოდ კორექტულად გამოთქვეს. მეტიც, სეირის მოყვარულთა სამწუხაროდ, იმავე კონფერენციაზე თითქმის მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სპეციალიზაციაა. საქმე ის გახლავთ, რომ, საერთოდ, მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემოღება, კვალიფიციური სასამართლოს არსებობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად მოიაზრება. თუმცა, უზენაესი სასამართლოს პოზიციით, ეს არ უნდა შეხებოდათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს. სწორედ ეს გახდა უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი. ახლა უკვე იუსტიციის საბჭოს მდივანი პავლე კუბლაშვილი ამბობს:

"პრინციპში, უკვე მიღწეულია შეთანხმება იმაზე, რომ მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსაც შეეხებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზენაეს სასამართლოში სპეციალიზაციის უარყოფა მართლმსაჯულებისთვის ნამდვილად წამგებიანი იქნებოდა. რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა შემოვიღოთ სპეციალიზაცია, ლოგიკურია, რომ პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვაც უნდა ხდებოდეს სწორედ იმ ვიწრო სპეციალიზაციაში კვალიფიცირებული მოსამართლის მიერ."

ეს ის საკითხი გახლავთ, რომელზეც შეთანხმებას მიაღწიეს და ამჟამად მხოლოდ დეტალებიღა დარჩა დასაზუსტებელი. თუმცა, ჯერ კიდევ ღიად რჩება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების თემა. იუსტიციის საბჭოს მიერ მომზადებული რეორგანიზაციის კონცეფცია, იქიდან გამომდინარე, რომ უზენაეს სასამართლოს მხოლოდ საკასაციო ინსტანციის ფუნქცია რჩება, მოსამართლეთა რიცხვის შემცირებას ითვალისწინებს. უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებულ კანონპროექტში კი ჩაიწერა, რომ უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლე თავისუფლდება დადგენილი ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით. ამ ფორმულირებას არ ეთანხმება იუსტიციის საბჭო.

"უზენაეს სასამართლოში 1999 წლიდან მოყოლებული და არც მანამდე რეალური ცვლილებები არ განხორციელებულა. ამიტომ რადიკალურ საკადრო ცვლილებებს ჩვენ ყველა შემთხვევაში მხარს დავუჭერთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, არ უნდა დავუშვათ გაურკვეველი ფორმულირებების გამოყენება. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების გათავისუფლების საფუძვლად უნდა ჩაიწეროს ზოგადად სასამართლო წყობილების შეცვლა, უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებების გადასინჯვა და ფუნქციონალური სრულყოფა და არ უნდა მოვერიდოთ ვთქვათ, რომ გათავისუფლება ხდება რეორგანიზაციის გამო. არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში ეს ტრაგედიად არ აღიქმება, მით უმეტეს, როცა ეს ქმედება სასიკეთო საქმისთვის არის მიმართული. ეს, შესაძლოა, მტკივნეულად იქნას აღქმული, მაგრამ აქვე თუ ჩავწერთ, რომ ამ მოსამართლეებზე სრულად გავრცელდება ის სოციალური დაცვის გარანტიები, რაც ვადის ამოწურვის შემთხვევაში მოქმედებს, ალბათ, პრობლემები მეტწილად მოიხსნება," - ამბობს პავლე კუბლაშვილი.

ჯერ კიდევ პრობლემატურად რჩება მოსამართლეთათვის დისციპლინარული სასჯელის დაკისრების გასაჩივრებასთან დაკავშირებული დეტალები. როგორც ცნობილია, აქამდე დისციპლინარული საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლო წესით არ საჩივრდებოდა და ასეთი აუცილებლობის წინაშე სასამართლო ხელისუფლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო დადგა. შესაბამისად, პარლამენტში უკვე შეტანილია უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც სწორედ საკონსტიტუციო გადაწყვეტილებას ეხმიანება, მაგრამ კონსტიტუციის ფარგლებს, გარკვეულწილად, სცილდება და უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებას ზრდის ის ფორმულირება, რომელიც დისციპლინარული საბჭოს მიერ დამრღვევი მოსამართლისთვის დაკისრებული სახდელის სასამართლოს მიერ შეცვლას გულისხმობს.

"კანონპროექტს დისციპლინარული საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, ჩვენ, პრინციპში, ვეთანხმებით, მაგრამ დაუშვებლად მიგვაჩნია, დისციპლინარული საბჭოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლომ იმსჯელოს ამა თუ იმ დამრღვევი მოსამართლისთვის განსხვავებული სახდელის დაკისრებაზე. ეს არანაირ პროცედურაში არ ჯდება. როგორ წარმოიდგენიათ, თუ დისციპლინარულ კოლეგიამ გამოუტანა მოსამართლეს საყვედური, შემდეგ სასამართლომ იმსჯელოს და მას შენიშვნა არგუნოს? ასეთი რამ არსად ხდება. წარმოიდგინეთ, რომ ქალაქის მერმა თანამშრომელს საყვედური მისცეს, სასამართლომ კი გადაწყვიტოს, რომ ის საყვედურს კი არა, შენიშვნას იმსახურებდა. ასე ნონსენსის დონეზე დავალთ," - მიიჩნევს იუსტიციის საბჭოს მდივანი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ყველა სადაო საკითხი დროთა განმავლობაში შეჯერდება და სასამართლო რეფორმა გატარდება ისე, როგორც ამას ქართული მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს.

მეტიც, ისიც და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც მიიჩნევენ, რომ აზრთა სხვადასხვაობის არსებობა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენის მიმდინარეობისას, როგორიც სასამართლო რეფორმაა, ნორმალური მოვლენაა და ამის უკან დაპირისპირების ნიშნები არავინ უნდა ეძიოს. ჩვენი მხრით დავამატებთ, რომ მართლაც საგანგაშო იქნება, თუ ორი ხელმძღვანელი პირის პიროვნული თუ ფასეულობათა დაპირისპირება ქართული მართლმსაჯულების მომავალს დაუზარალებს.

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი .....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ძალაქ თბილისში მეტროს ძვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

რა შეღავათებს განიჭებთ კანონმდებლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისას

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიუჯეტი არის ქვეყნის ეკონომიკური არსებობის საფუძველი, რომელიც საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებისგან ფორმირდება. ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავალია ბაჟი. სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისა და სათანადო საბუთების გაცემისთვის. ფიზიკური და იურიდიული პირები ბაჟს იხდიან სასამართლოში განცხადებისა თუ სარჩელის შეტანის დროს, მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისთვის, მოქალაქეობისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხებზე განცხადების განხილვისთვის, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისთვის. ზემოაღნიშნული მოქმედებების განხორციელებისთვის. საქართველოს კანონით "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" დაწესებულია ბაჟის განსხვავებული განაკვეთები და შეღავათები. ვფიქრობთ, მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, თუ რა რაოდენობის ბაჟის გადახდა მოუწევთ მათ სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, აგრეთვე, ის შეღავათები, რომლითაც სარგებლობს საზოგადოების გარკვეული კატეგორია, მით უმეტეს. როცა მოქმედ კანონმდებლობაში სიახლეებია, დაწესდა ახალი შეღავათები და ბაჟის განაკვეთები.

სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები და შეღავათები სასამართლოში მიმართვისას

ზოგადი განმარტების სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სასამართლოთა სისტემა შემდეგნაირია: 1. საერთო სასამართლოები. აქ შედის: რაიონული, საქალაქო სასამართლოები; საოლქო (ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის) და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები; საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2. საკონსტიტუციო სასამართლო.

საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

სარჩელებზე, აგრეთვე, განცხადებებზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ - სადავო საგნის ღირებულების 2,5%.

სააპელაციო საჩივრებზე - სადავო საგნის ღირებულების 3%.

საკასაციო საჩივრებზე - სადავო საგნის ღირებულების 4%.

კერძო საჩივრებზე, აგრეთვე, განცხადებებზე დავალიანების ამოღების თაობაზე გადახდის ბრძანების მიღების შესახებ - სადავო საგნის ღირებულების 1,5%.

შენიშვნა: საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე გადასახდევინებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე, იგი შემდეგი ოდენობისაა:

ფიზიკური პირის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე - 10 ლარი.

სხვა პირების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელსა და კონსტიტუციურ წარდგინებაზე - 55 ლარი.

რა კატეგორიის პირები თავისუფლდებიან სასამართლოში ბაჟის გადახდისაგან

ბაჟის შესახებ კანონი პირდაპირ მიუთითებს, თუ რა შემთხვევაში თავისუფლდება მოსარჩელე ბაჟის გადახდისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთ დროს ბაჟის გადახდა საერთოდ არ ხდება. იგულისხმება, რომ ბაჟს გადაიხდის მოპასუხე, თუ, რა თქმა უნდა, ისიც რაიმე საფუძვლით არაა გათავისუფლებული ბაჟის გადახდისაგან. ხოლო თუ მოპასუხეც გათავისუფლებულია ბაჟის გადახდისაგან, მაშინ საერთო სასამართლოში საქმის წარმოება მიმდინარეობს სახელმწიფოს ხარჯზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური შეღავათია მოსარჩელეთა გათავისუფლება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან შრომით დავებსა და ალიმენტის შესახებ დავებზე. ქვეყანაში, სადაც სახელფასო მინიმუმი გაცილებით ჩამორჩება საარსებოდ აუცილებელ შემოსავალს, არ შეიძლება, ბაჟის გადახდა მოეთხოვოს ადამიანს, რომელიც თავის კუთვნილ ხელფასსაც ვერ იღებს და სადავოდ აქვს გამხდარი. იგივე შეიძლება ითქვას ალიმენტის შესახებ დავებზეც, რომლებზეც მოსარჩელე, ასევე, გათავისუფლებულია ბაჟის გადახდისაგან, ისევ და ისევ არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაიდან საერთო სოციალური ფონი ამ კატეგორიაზეც მძიმედ აისახება.

საერთო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ფიზიკური პირები - სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

მოსარჩელენი - სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე, აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან.

მოსარჩელენი - სარჩელებზე ალიმენტების გადახდევინების შესახებ;

ფიზიკური და იურიდიული პირები მათზე იმ დოკუმენტების გაცემისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლისა და ალიმენტის საქმეებთან.

მოსარჩელეები სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით; ფიზიკური პირები - სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივრებზე დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების სისწორის შესახებ.

მოსარჩელენი, რომლებიც ბოროტმოქმედებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების გამო ჩივიან.

ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები.

საკასაციო საჩივარზე განქორწინების საქმის შეწყვეტის შესახებ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება ორივე მხარე.

პირი, რომლის გასამართლებაც მოხდა უკანონოდ, ასევე, მოხდა მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ შეფარდება ან დაპატიმრების სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადება. ასეთი პირები თავისუფლდებიან ბაჟის გადახდისაგან, როდესაც ისინი მოითხოვენ ასეთი ღონისძიებების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას.

ლტოლვილები ან იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც მათი იძულებით გადაადგილებულ პირად ან ლტოლვილად არცნობის გამო ჩივიან. დევნილები თავისუფლდებიან ბაჟის გადახდისაგან ასევე იმ საქმეებზეც, რომელსაც ახორციელებენ იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები.

ვეტერანები, რომელთაც "ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ" კანონის მოთხოვნათა დასაცავად მიმართეს სასამართლოს.

მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩელე - სარჩელზე არასრულწლოვანის უფლების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ, თავისუფალია ბაჟის გადახდისაგან. ასევე, მოსარჩელე - თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე.

შეღავათით სარგებლობენ მოსარჩელეები სარჩელებზე ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ.

სოციალური დაზღვევის ორგანოები და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები რეგრესულ სარჩელებზე ზიანის მიმყენებლის მიერ დაზარალებულზე გაცემული დახმარების ან პენსიის გადახდევინების შესახებ, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები - აგრეთვე, სარჩელებზე არასწორად მიღებული დახმარებებისა და პენსიების შესახებ.

შინაგან საქმეთა ორგანოები, რომელთაც უწევთ იმ პირთა მოძებნა, რომლებიც თავს არიდებენ ალიმენტისა და სხვა მსგავსი გადასახადების გადახდას. შესაბამისად, ამ ორგანოებს უხდებათ მოძებნასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება და უფლება აქვთ, მოითხოვონ ამ ხარჯების ანაზღაურება ჩვეულებრივი წესით სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ასეთ სარჩელებზე შინაგან საქმეთა ორგანოები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია, გადაიხადოს გადასახადები ბიუჯეტში. როდესაც ისინი ნებაყოფლობით არ იხდიან გადასახადებს, მოსაკრებლებს, სახელმწიფო ბაჟსა და სხვა აუცილებელ გადასახდელებს ბიუჯეტში, მაშინ საფინანსო-საკრედიტო, საბაჟო, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები აღიჭურვებიან უფლებამოსილებით, მოახდინონ ამ თანხების იძულებითი წესით ამოღება. ასეთ დროს ისინი გვევლინებიან მოსარჩელეებად და თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. არის შემთხვევები, როდესაც ფიზიკური პირები, ორგანიზაციები, მეწარმეები სადავოდ ხდიან მათ მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის გადახდას და სარჩელით მიმართავენ სასამართლოს ბიუჯეტიდან თანხების დაბრუნების მოთხოვნით, ხოლო მოპასუხედ ასეთ დროს გვევლინება ერთ-ერთი მაკონტროლებელი ორგანო. ასეთ დროსაც მაკონტროლებელი ორგანოები, როგორც მოპასუხეები, თავისუფლდებიან ბაჟის გადახდისაგან.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, გათავისუფლებულია ბაჟის გადახდისაგან სარჩელებზე გარემოს გაჭუჭყიანებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ.

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე - სარჩელზე მიწის დაცვის წესების შეუსრულებლობისა და მიწის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელებზე გათავისუფლებულია სახ. ბაჟის გადახდისაგან.

ნებისმიერი საბიუჯეტო დაწესებულება, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, გათავისუფლებულია ბაჟის გადახდისაგან იმ სარჩელებზე, რომელიც ეხება ბიუჯეტის სასარგებლოდ სხვადასხვა სახის დავალიანებათა გადახდას.

ბაჟის გადახდისაგან თავისუფალია არქმშენინსპექციები, მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი - ყველა სარჩელზე.

სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება არა მარტო სასამართლოებში, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანოებში მიმართვისასაც. განვიხილოთ **მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოებში** (ე.წ. "მმაჩის ბიურო") მიმართვისას დადგენილი სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები, ამასთან დაკავშირებული სიალხლეები და შეღავათები.

ამჟამად, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია, მოწმობის გაცემის ჩათვლით - 9 ლარი.

განქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია, მოწმობის გაცემის ჩათვლით, თუ განქორწინება ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, რომლებსაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, კვლავინდებურად - 30 ლარი, ხოლო განქორწინება სასამართლოს გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის წერილობითი განცხადების საფუძველზე - 50 ლარი.

განქორწინება პირთან, რომელიც დადგენილი წესით ცნობილია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ან პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ ფსიქიკური დაავადების ან ჭკუასუსტობის გამო, ან პირთან, რომელსაც სასჯელად დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით - 2 ლარი.

გვარის, სახელის, მამის სახელის გამოცვლის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემის ჩათვლით ღირს 30 ლარი. (აქ არ იგულისხმება, მაგალითად, ქორწინების რეგისტრაციის დროს გვარის გამოცვლა ე. ი. მეუღლის გვარზე გადასვლა, ან როდესაც მამობის დადგენის გამო ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის გვარი მიეთითება, ან კიდევ, როდესაც შვილება ხდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე და მშვილებლის სურვილით, ბავშვს გვარი, სახელი, მამის სახელი, ან სამივე ერთად, ეცვლება. ასეთი შემთხვევებში ბაჟი არ გადაიხდევინება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით. იგულისხმება, რომ მოქალაქემ გადაიხადა ბაჟი, როდესაც მან მიმართა სასამართლოს განცხადებით შვილად აყვანის შესახებ, ან მამობის დადგენის შესახებ და შემდეგ, უკვე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, შედის ცვლილება მოქალაქის სააქტო ჩანაწერებში; აგრეთვე, როდესაც პირი მიმართავს ქორწინების მარეგისტრირებელ ორგანოს შესაბამისი განცხადებით ქორწინების რეგისტრაციის შესახებ და, ამასთანავე, სურს მეუღლის გვარზე გადასვლა ან თავისი გვარის შეერთება მეუღლის გვართან, იგი იხდის მხოლოდ ბაჟს ქორწინების რეგისტრაციისათვის და სარეგისტრაციო მოწმობაშივე მიეთითება მისი ახალი გვარი).

მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ სხვა ნებისმიერი ცნობის გაცემა წარმოებს უფასოდ.

გვარის აღდგენისათვის კვლავინდებურად 10 ლარია დაწესებული.

შეღავათები: მოქმედ კანონში ცვლილებების შეტანამდე დაბადების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის რეგისტრაციისათვის, მოწმობის გაცემის ჩათვლით, სახელმწიფო ბაჟის სახით დაწესებული იყო 7 ლარი. შეღავათით სარგებლობდნენ მხოლოდ მრავალშვილიანი ოჯახები და უპატრონო ბავშვები, რომლებზედაც უფასოდ ხდებოდა დაბადების მოწმობების გაცემა. ამჟამად აღნიშნული ბაჟი გაუქმებულია და მოქალაქეს არანაირი თანხის გადახდა არ ესაჭიროება ბავშვის დაბადების მოწმობის ასაღებად, ან შვილად აყვანისა თუ მამობის დადგენის შემთხვევაში ამ ფაქტის რეგისტრაციაში გასატარებლად.

ამავე ცვლილებების განხორციელებამდე, მოქალაქეთა მდგომარეობის სარეგისტრაციო აქტებზე მოწმობის ხელმეორედ გაცემისათვის დაწესებული იყო 7-ლარიანი ბაჟი. ამჟამად იგი შემცირებულია და შეადგენს მხოლოდ 2 ლარს. მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერის არსებობის ცნობის გაცემისათვის (გარდა განქორწინების მოწმობის გაცემისა) დაწესებულია 1 ლარი. აქვე, აღვნიშნავთ, რომ ამ ერთ ლარსაც არ გადაიხდიან ის ფიზიკური პირები, რომელთაც მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ცნობა ესაჭიროებათ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში წარსადგენად, პენსიისა და დახმარების დანიშვნის ან გადაანგარიშების საკითხთან დაკავშირებით.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია: დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება და მამობის დადგენა ადრე ხორციელდებოდა სოფლის, დაბის, თემის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - გამგეობის მიერ. ამჟამად ეს ფუნქცია მთლიანად გადაცემული აქვს რაიონის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს, რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

საქმეებზე, რომლებსაც ახორციელებენ იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები სახ. ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან: ფიზიკური პირები გარდაცვალების აქტის რეგისტრაციისას, აგრეთვე, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისას დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით, თუ შეცდომა დაშვებულია რეგისტრაციის სამსახურის მიერ.

რეგისტრაციის, მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხების განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემისათვის ან შეცვლისათვის - 35 ლარი.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის- 14 ლარი.

პასპორტში არასრულწლოვანი შვილების შესახებ მონაცემების შეტანისათვის - 7 ლარი.

საქართველოს მოქალაქის, საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის რეგისტრაციისათვის, მოწმობის გაცემის ჩათვლით - 1 ლარი.

სამსახურებრივი, სავაჭრო და კომერციული საქმიანობისათვის საქართველოში დროებით შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის რეგისტრაციისათვის - 15 ლარი.

საქართველოს მოქალაქეობის მიღების, აღდგენისა და საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხის განხილვისათვის - 60 ლარი.

საზღვარგარეთიდან საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლის (იმიგრაციის) შესახებ განცხადების განხილვისათვის - 70 ლარი.

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემისათვის ან შეცვლისათვის - 1 ლარი 50 თეთრი.

საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის საზღვარგარეთ გასასვლელი პირადობის მოწმობის (პასპორტის შემცვლელი დოკუმენტის) გაცემისათვის - 35 ლარი.

საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის მოწმობის გაცემისათვის - 15 ლარი. (შენიშვნა: 15 ლარის გადახდა ამ კატეგორიის ადამიანებს მოუწევთ 2004 წლის 15 ნოემბრიდან. მანამდე კი რჩება ძველი ტარიფი - 1 ლარი და 50 თეთრი).

მეზღვაურის წიგნაკისა და მფრინავის მოწმობის გაცემისათვის - 35 ლარი.

საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საკითხის განხილვისათვის - 10 ლარი.

იმიგრანტის სტატუსის დადგენისა და მინიჭების საკითხის განხილვისათვის - 60 ლარი.

ემიგრანტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისათვის - 30 ლარი. (შენიშვნა: ეს პუნქტი ამოქმედდება 2004 წლის 15 ნოემბრიდან).

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის თაობაზე ცნობის გაცემისათვის - 30 ლარი.

უცხოელისა და საქართველოს მოქალაქის ქორწინების რეგისტრაციაზე ნებართვის გაცემისათვის - 120 ლარი.

შეღავათები: საქართველოს მოქალაქეობის რეგისტრაცია, მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა უფასოდ ხდება საზღვარგარეთ სამკურნალოდ მიმავალ I და II ჯგუფის ინვალიდებზე, II მსოფლიო ომის მონაწილე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ საქართველოს მოქალაქეებზე; ხოლო ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებულად ცნობილი პირები, ასევე, 16 წლამდე ასაკის პირები სარგებლობენ 50%-იანი შეღავათით. ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც, კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან თავისუფლდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებით, რომლის მონაწილეც არის საქართველო.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდა ხდება ეროვნული ვალუტით ბანკში, რომელიც გასცემს დადგენილი ფორმის ქვითარს. საერთო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე ბაჟის გადახდა ხდება სარჩელის, განცხადების, სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრების შეტანამდე. თუ პირი ითხოვს სასამართლოდან რაიმე საბუთის ასლს, ბაჟის გადახდა ხდება ასლის გაცემის მომენტში. საკონსტიტუციო სასამართლოში ბაჟის გადახდა ხდება კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანამდე. სარჩელს, როგორც წესი, თან ახლავს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, თუ, რა თქმა უნდა, პირი ზემოთ მოხმობილი რომელიმე საფუძვლით გათავისუფლებული არაა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. თუ სარჩელს თან არ ახლავს ბაჟის ქვითარი, სასამართლო განიხილავს ამას, როგორც ხარვეზს და პირს მისცემს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს წარმოებაში სარჩელსა თუ განცხადებას. როდესაც მოქალაქე მიმართავს განცხადებით მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სამსახურს, კანონით დაწესებულ ბაჟს განცხადების შეტანის დროსვე იხდის. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები შესაბამისი მომსახურებისათვის მიმართავენ საკონსულო დაწესებულებებს და, შესაბამისად, იქვე იხდიან ბაჟს.

სასამართლოში სარჩელის შეტანა ყოველთვის არ მთავრდება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანით. შესაძლებელია, რომ სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული იმის გამო, რომ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება და სხვა რომელიმე უწყების ქვემდებარეა, ან სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა. აგრეთვე, შესაძლებელია, რომ საქმე წარმოებით შეწყდეს. ასეთ დროს ბაჟი მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას ექვემდებარება. ბაჟი უნდა დაუბრუნდეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შესაბამისი ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ.

მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ,
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის
IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით

წარმოსახვები ლიტერატურაში და პირიქით

B2

ვრინცესა სტრიპტიზ-კლუბში

B3

სადისტ მწვრთნელებს ციგურები გახადეს

B5

ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. N267

წელს "რუსთავი 2"-ის დახმარებით პამირში თვრამეტკაციანი ექსპედიცია მოეწყო, შემდეგ ხუთკაციანი ჯგუფით, სამორინე "აჭარა"-ს ხელშეწყობით, ტიან-შანზე გადავინაცვლეთ. კარგი სეზონი გამოგვივიდა - 13 კაცი ავედით ლენინის პიკზე (7134 მ). ხუთი ახალგაზრდა პირველად იყო სიმაღლეზე, მათ შორის პირველი ქართველი ქალი შვიდათასიან მწვერვალზე - ლიკა ნოზაძე. პირადად ჩემთვისაც ნაყოფიერი იყო ეს ზაფხული:
27.07 - ლენინის პიკი - 7134 მ.
9.08 - ხან-ტენგრი - 7010 მ.
16.08 - ხან-ტენგრი - 7010 მ.
26.08 - გამარჯვების პიკი - 7439 მ.
4 მწვერვალი ერთ თვეში, გამარჯვების პიკი 31-ე სასიმაღლო ასვლაა, მათ შორის 26 მწვერვალი შვიდიათას მეტრს აღემატება, ლენინის პიკზე ასვლით კი მეორედ მივიღე "თოვლის ჯიქის" წოდება.

1.08. ყველანი ოშში ვართ, დაბანილ-დასუფთავებულები, მაძღრები, მზისგან გაშავებულები, დაღლილები და კმაყოფილები.

■ ■ ■

3.08. რამდენიმე დღეა, ბიშკეკში ვისვენებთ, დღეს დილას გუნდი ბაქოსკენ გაფრინდა, დამთავრდა პამირის ექსპედიცია. ხუთნი დავრჩით: ლუკა ბაქრაძე, ლერი ნიგურიანი, აფი გიგანი, ლოვა სარქისოვი და მე. ჩვენი ზაფხულის სერიოზული ნაწილი წინაა, სეზონი ტიან-შანზე ახლა იწყება. ქალაქში ბევრ მეგობარს მოუყრია თავი, ყველას უხარია ჩვენი ნახვა, განსაკუთრებით ამხიარულებთ ჩვენი სპონსორის მაისურების ნახვა, წარწერით "სამორინე აჭარა". "я не знал, Бидзина, что ты такой азартник!" "кем ты работаешь в казино, крупие что ли?" "нет, - вышибалой!" - ვპასუხობ მისალმების მერე.

ვყიდულობთ პროდუქტს, ვამატებთ აღჭურვილობას, აფთიაქს, ვუკვეთავთ ბაქოს ბილეთებს, ვაგვარებთ სასაზღვრო საშვებს და ღამე პატარა ავტობუსში ჩაჭეჭყილები მივემგზავრებით კარა-კარასაკენ, ისიკ-ყულის გავლით ყაზახეთისაკენ. მთელი ღამე ვმგზავრობთ, ცივა და ისიკ-ყულზე ბანაობას ვერ ვახერხებთ. იმედია, უკანა გზაზე გაგვიმართლებს.

■ ■ ■

4.08. კარა-კარა. დახატულივით სიმეტრიული ტიან-შანური ნაძვები, ალპური მდელოები, მთის გიჟი მდინარე, მთები და ბრტყელსიფათიანი ყაზახი გოგო-ბიჭები და, რაც მთავარია, პატარა მოედანი ვერტმფრენით. ეს ყაზბეგ ვალიევის ბანაკია, ყაზბეგი -ყაზახეთის ეროვნული გმირი, პირველი ყაზახი ევერესტზე 1982 წელს, ჩვენი კარგი მეგობარია. აქ უკვე ნამდვილი მთებია. ამიტომ მეგობრებიც უფრო მეტნი არიან, ვიდრე პამირზე, ალმა-ატელები, ეკატერინბურგელები, მოსკოველები, პეტერბურგელები, ნოვგოროდელები. ვიგებ სამწუხარო ამბავს, K-2-ზე დაიღუპნენ ბიშკეკელი გუბაევი და ზლატაუსტელი სერგეი სოკოლოვი. სერგეი ჩემი მეგობარი იყო, ბევრი ასვლა გვაქვს ერთად გაკეთებული და ბევრიც ნამუშევარი გიდად თუ სამაშველო ოპერაციების დროს. მრავალი სეზონი გაგვიტარებია გვერდიგვერდ.

ვალიევმა გვასადილა და მეორე რეისით გაგვისტუმრა, მფრინავებისგან მხოლოდ ერთია ნაცნობი, ჩემი ნაცნობი ეკიპაჟი გაზაფხულზე დაღუპულა გვერდით ხეობაში.

ვერტმფრენის დასახვედრად მთელი მყინვარი გამოდის ხოლმე, ჯერ ვერტმფრენს ვცლით ყველანი, ვერტმფრენი მიფრინავს და მერე დიდხანს გრძელდება მისალმება და ერთმანეთის მოკითხვა. მადლობა ღმერთს, რომ ისევ აქ ვარ, ჩემს მეგობრებში, ჩემს ხალხში, ჩემს სახლში.

სლავა მიროშკინი ნაწყენია, მის ბანაკში რომ არ ვრჩები. მაინც მეხმარება მიშა მიხაილოვის ბანაკში ტვირთის გადათრევაში, თან ჩვენს მაისურებზე მიმითითებს, "у меня хорошии бар, может быть и казино откроем, если хочешь: назавиом "Аджаря".

ვახშმის შემდეგ "კაიუტ-კომპანიაში" ვიკრიბებით, დიმა მასკალიოვს გიტარა აქვს, სხვებიც კარგად მღერიან, ჩვენ, ქართველებმა, ყრუ-მუნჯებმა მოვიყარეთ თავი და რუსების თხოვნაზე, "სულიკო" მაინც გვიმღერეთო, მორცხვად ვიღიმებით.

■ ■ ■

5.08. დილას უცნაური აურზაური მაღვიძებს. ხანზე ყინულის ზვავი ჩამოსულა, ბევრი ადამიანია დაღუპული. ამ ადგილს "გორლოვინას", "ბუტილკას" ან "მიშელოვკას" (ყელი, ბოთლი, სათაგური) ეძახიან. ყოველი სეზონის ბოლოს თავს ვირწმუნებ ხოლმე, ეს ნამდვილად ბოლო გავლა არის-მეთქი. ვიწრო ადგილია ყინულვარდნილზე, ზვავი ძირითადად მწვერვალ ჩაპაევის კედლებიდან ჩამოდის, ზოგჯერ თვით ხანის ფერდებიდანაც. გასაქცევი არსადაა, ფეხსაც ვერ აუჩქარებ ამ სიმაღლეზე. ღვთის იმედით მივდივართ ხოლმე, თავჩაქინდრულები და ყურებდაცქვეტილები, ამ ავადსახსენებელ "გორლოვინაში", ზოგჯერ ცალკეული ქვები სტვენა-ზუზუნით მოფრინავენ და საავიაციო ბომბებივით სკდებიან. არავითარი სმენა და არანაირი რეაქცია არ შველის. მაგათზეა ნათქვამი, "თუ მოგხვდა, წაგებული ხარ!" 1993 წელს ვალერი ხრეშჩატნი დაიღუპა სამ ინგლისელთან ერთად, ლეგენდარული მოსიმაღლე. ერთი კვირა ვეძებეთ. მხოლოდ ერთი ზურგჩანთა ვიპოვეთ.

მყინვარის გადაღმა, კომისაროვის მიტოვებულ ბანაკში, ქართველების მეორე გუნდია ზურა კუჭავას ხელმძღვანელობით. უმეტესობა პირველადაა სიმაღლეზე. როგორც ვიცი, წუხელ 5800-ზე ათევდნენ ღამეს და დღეს შტურმზე უნდა იყვნენ. მაინც ვნერვიულობთ. ზვავში ესტონელები მუშაობენ. დილას, გასვლისას, ერთ-ერთ მათგანს ჩაით სავსე ქვაბი წაექცა. მაგრად აგინეს და თოვლი თავიდან ბანდნეს. ზუსტად ამ დაკარგული 20 წუთის გამო არიან ახლა მაშველები და არა მიცვალებულები, ზვავი მათ ცხვირწინ ჩამოწვა, ესტონელი ექიმი მატყობინებს, რომ ქართველები არავის უნახავს, ალბათ, ზემოთ არიან. ცოტათი ვმშვიდდებით.

დღეს მასკალიოვის ბიჭის დაღუპვის დღეა, 2000 წელს დაიღუპა მწვერვალ ხან-ტენგრიზე. გადავდივართ მყინვარის მეორე მხარეს, აქ ერთ კლდეზე მემორიალური დაფებია, აქვეა ჩვენი დაფა - მეძმარიაშვილის, კუხიანიძის და გაბლიანის. 1961 წელს პობედაზე დაიღუპნენ. ამ კლდეებზე რაიონის მთელი ისტორიაა. ჩუმად ვსხედვართ ამ სიმბოლურ სასაფლაოზე, ბევრი ჩემი მეგობარი, ვისთანაც ერთად მივლია, ვისთანაც ერთად აქ დაფებიც კი მიმიჭედებია, აღარ არიან ცოცხლები: ბუგაჩევსკი, სალაბუევი, სოკოლოვი, შევჩენკო, პლოტნიკოვი, ხრეშჩატნი, ლოუ...

"გორლოვინაში" სამაშველო-საძიებო სამუშაოები გრძელდება. ცოცხალი და ხერხემალგადამტვრეული ერთი იპოვეს, კიდევ ოთხი მიცვალებული ჩანს ჩამარხული. საერთოდ 11 კაცია დაღუპული.

მაშველებს დახმარება შევთავაზე. უარი მითხრეს, ხალხი საკმარისია, თან სამუშაოებიც მთავრდება, 3 მიცვალებული უკვე 4200-ზე ჩამოასვენეს, ერთის ამოყვანა შეიძლება ნაპრალიდან, დანარჩენი შეიძლება მრავალი წლის მერე გამოჩნდეს, მყინვარის დნობის და მოძრაობის დროს.

საბჭოთა ალპინიზმის დროს მთელი რაიონები იკეტებოდა ნებისმიერი ავარიის შემთხვევაში, ყველანი ვალდებულები ვიყავით, მონაწილეობა მიგვეღო, ან მზად ვყოფილიყავით სამაშველო ოპერაციისთვის. ყველა თამამსვლელი თავისი სპორტული კვალიფიკაციის შესაბამის გამოცდებს ვაბარებდით - სამაშველო საქმეში, მედიცინაში. არ ვდარდობდით სამაშველოს გამო გაცდენილ სეზონს, გაფუჭებულ აღჭურვილობას, დღეს კი ნელ-ნელა ვცივდებით, ძველი თაობაც კი, ვემსგავსებით "ბურჟუებს", მნიშვნელოვანი ხდება შედეგი, ხმაურიანი, პოპულარული ასვლა, დიდია პასუხისმგებლობა სპონსორების წინაშე, ვფიქრობთ მომავალ ექსპედიციებზე, წარმატების შემთხვევაში მეტია შანსი ახალი გეგმების განხორციელებისა. სამწუხაროდ, ეს გეგმები სულ უფრო და უფრო ნაკლებად სპორტული ხდება. უცნობი, ახალი მთამსვლელური ობიექტებით ძნელია ხოლმე ვინმეს დაინტერესება, დიდია რისკი წარუმატებლობისა, კაზინო "აჭარას" პატრონები კი საკმაოდ სპორტული ორიენტაციის ხალხია და რისკი ხომ მაგათი პროფესიაა! ასე რომ, მათგან თავისუფალი ვარ ჩემს არჩევანში. თუ ვინმეს შველა დასჭირდება, ადვილად შემიძლია ასვლა, სეზონი გავწირო. არ დამძრახავენ და სულაც არ აინტერესებთ ჩემგან გაწეული რეკლამა. ღმერთმა ქნას, მომავალშიც ვითანამშრომლო ასეთ ხალხთან!

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენც "ბურჟუებივით" ვიქცევით და ხვალისთვის ვგეგმავთ გასვლას. ძნელია ახალ გვამებზე სიარული, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ ეს მაინც ხდება, ასეთია რეალობა. ეს ყინულვარდნილი ადრიდანვე იყო ძმათა სასაფლაო, ახლა მხოლოდ მიცვალებულები მიემატა.

■ ■ ■

6.08. სადილის შემდეგ გავდივართ ხანტენგრისკენ 8 კაცი, ხუთი ქართველი და სამი მოსკოველი. პირველი ღამისთევა 4200-ზე გვაქვს.

■ ■ ■

7.08. ხუთ საათზე ვისაუზმეთ, უკვე მზად ვართ გასასვლელად. მათარები და თერმოსები სავსეა ჩაით, კარვები კი აშლილია, ცა მოჭედილია ვარსკვლავებით. ვჩქარობთ, "გორლოვინის" გავლა სიცივეში ჯობია, მაინც ჩამოდის ზვავი ჩაპაევიდან, ალმა-ატელი მაშველები ზვავს ვერ ხედავენ, მხოლოდ ხმა ესმით და ქვემოთ გამორბიან. ვხედავ, ზვავი პატარაა, იმათამდე ვერ მიაღწევს, მაგრამ ხმას ვერ ვაწვდენ. ზვავი ქრება და ყველანი ისევ ზემოთ მივდივართ. ვეხმარები ვასიას და არტიომს ნაპრალიდან მიცვალებულის ამოთრევაში. მაღალი ჩეხია. ვიცანი, 3 დღის წინ საბაზოში გამომელაპარაკა. ბიჭები ჩეხს ქვემოთ, უსაფრთხო ადგილისკენ მიასრიალებენ. ჩვენ ისევ ვაგრძელებთ გზას. ნაზვავარზე, ყინულვარდნილზე. ბევრია სისხლი, თმები, წვრილ-წვრილი ნივთები: გატეხილი სათვალეები, ჯოხები, დაჭყლეტილი თერმოსი, ცალი ხელთათმანი... ყველა ცუდ ხასიათზე დგება, განსაკუთრებით სლავა პაშკოვი, იგი მოყვარული მთამსვლელია და წარმატებული ბიზნესმენი, ჩემთან ერთად იყო ევერესტზე 7500 მ-მდე და თებერვალში ერთად ვიყავით ანდებში მწვერვალ აკონ-გაგუაზე (6962 მ), მაგრამ რეალურ მთაში ახლა მოხდა პირველად. მე მგონი, უკვე ნანობს, აფრიკაში სპილოებზე და ლომებზე ნადირობას ტიან-შანზე წამოსვლა რომ ამჯობინა. ჩვენც დაძაბულები ვმოძრაობთ, ზვავი ნებისმიერ მომენტში შეიძლება ჩამოვიდეს. ლერი, ლოვა და ლუკა მასწრებენ, აფი კიდევ უფრო წინაა, მე კი ვერ ვტოვებ პაშკოვს, საშა ჩესნოკოვი და დიმა მასკალოვი კიდევ უფრო ნელა მოძრაობენ.

მშვიდობიანად გავდივართ ნაზვავარსაც და "გორლოვინასაც", მხოლოდ ზემოთ, ჩაპაევის ქედიდან ჩამოდის პატარა ზვავი, პაშკოვის დამშვიდებას ვერ ვასწრებ, ისე გვფარავს ყინულის მტვერი, სახეს ქურთუკში ვმალავთ და ცოტა ხნის მერე ისევ ვაგრძელებთ გზას. 11 საათისთვის 5300 ვართ. აფის ზევით გაუგრძელებია გზა, 5800-მდე 2 საათი უნდა აქედან, ბიჭები კი აქ გველოდებიან. პაშკოვს აღარ უნდა გზის გაგრძელება და ჩვენც ვასწორებთ საკარვე მოედანს, ღამის სათევად ვემზადებით. თუმცა, ჯერ შუადღეა და საკმაოდ ცხელა კიდეც.

■ ■ ■

8.08. მთელი ღამე ქარი ქროდა, ცოტა მოთოვა. დილას ძალიან ცივა, მზის მოდგომას ველოდებით. შრება კარვები. ვსაუზმობთ. მერე ნელა, გამოზომილი მოძრაობებით ვლაგდებით. არ გვეჩქარება. ორ საათში 5800-ზე ვიქნებით და იმედია, გამოქვაბულის გამოთხრასაც მოვასწრებთ. აქ ყველა ამოსვლაზე საკუთარ გამოქვაბულს ვთხრი ხოლმე, საკუთარი სახლი, დაცული, თბილი, ფართო და მყუდრო. 8-10 კაცი ვეტევით. ასვლის დამთავრების მერე ვინმეს ვჩუქნი ხოლმე. ახლა იმედი მქონდა, ქართველების მეორე ჯგუფიც გამოთხრიდა გამოქვაბულს. რატომღაც კარვები ამჯობინეს, არადა, გამოქვაბულში ბევრად უკეთესად ისვენებ. საერთოდ, სასიმაღლო ალპინიზმი გამოქვაბულის გარეშე წარმოუდგენელია.

გზა უსაფრთხოა, კარგი ამინდია. 2 საათში 5800-ზე, უნაგირას ქვეშ ვართ, ლოვას და სლავას ჩაის ადუღებულს ვახვედრებთ, შემდეგ გამოქვაბულისთვის ადგილს ვარჩევ. აქ გამოქვაბულების პატარა სოფელია, 5-6 გამოქვაბული იქნება 50-60 კაცის ტევადობით. ლერის და ლუკას ეზარებათ მუშაობა, მე კი ვთვლი, რომ მათთვის ეს აუცილებელია. მალე აზარტში შედიან და 2,5 საათში ხუთკაციანი მაღალჭერიანი გამოქვაბული, თავისი დერეფნით და სამზარეულოთი, მზადაა. ბიჭები კმაყოფილები არიან თავიანთი პირველი ნახელავით.

გაგრძელება B7 გვერდზე

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
რევაზ კლდიაშვილი
"მარტოობის ბინადარი"
კითხულობს სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ.

გლობუსი
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
"ოცნების ჩიტი"
რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

ცირკი
რუსეთის საცირკო პროგრამა
ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 15:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

ამირანი
"ტერმინალი"
დას: 17:00; 19:30; 22:00 სთ.

"რიდიკის ქრონიკები"
დას: 13:00; 15:00 სთ.

კინოს სახლი
პაზოლინის ფილმების რეტროსპექტივა
"ოიდიპოს მეფე"
დას: 18:00 სთ.

დოკუმენტური ფილმის თვე
"რადაც არ უნდა ღირდეს"
რეჟისორი: კ. სიმონი
(ნიცის პატარა სამზარეულო იბრძვის თავის გადასარჩენად)
დას: 20:00 სთ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ

ქარვასლა
"ყალბი ამბები"
(გამოფენა ქართულ-შვედური კულტურის ფესტივალის ფარგლებში)

TMS
გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

ბაია გალერეა
ლევან მარგიანი
გახსნა: 17:00 სთ.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

ვერნისაჟი
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
დავით ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა
(ფერწერა, ქართული გობელენი, ბატიკა)

ჰობი
პლაკატი 2004
"კაიროდან საქართველომდე: მზერა მომავლისკენ"

სამხატვრო აკადემია
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲑᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲘᲥᲘᲗ

გია ბუღაძის სამაგიდო წიგნები

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

"წიგნის სახლში" გუშინ ახალი ტრადიციისამებრ სამაგიდო წიგნებზე საუბრობდნენ. მხატვრობა და ლიტერატურა, ეს საუბრისას განვითარებული ხაზი იყო, უბრალოდ. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა, მწერალ ზაალ სამადაშვილის ლიტერატურული ციკლის მორიგი სტუმარი ხომ მხატვარი, ამჟამად სამხატვრო აკადემიის რექტორი გია ბუღაძე იყო.

ᲖᲐᲐᲚ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲐ ᲑᲣᲦᲐᲫᲔ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ.

ᲒᲝᲒᲘᲩᲐ ᲑᲣᲜᲐᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ამგვარი საღამოების მიმართ საზოგადოებაში რომ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, ამას "წიგნის სახლში" შეკრებილი აუდიტორიის სიმცირით ვხვდები. ყოველ მისვლაზე რატომღაც მგონია, რომ მსმენელი უფრო მეტი იქნება, ვიდრე წინაზე. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ ყველა "ხუთშაბათობაზე" დასწრება არ მიწევს, შემიძლია თამამი დასკვნა გავაკეთო: ლიტერატურულ ციკლს აუდიტორია მაინც პატარა ჰყავს. ვიღაცამ შეიძლება "თავი იმართლოს", რომ მისთვის არანაირად არ არის საჭირო იცოდეს, თუ რას კითხულობს, ან კითხულობდა ესა თუ ის ადამიანი. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ "წიგნის სახლის" ლიტერატურული ციკლის სტუმრები ყოველთვის ის ადამიანები არიან, ვინც ჩვენს რეალობაში რაღაცას ქმნიან. ჩვენ ვკითხულობთ მათ ნაწარმოებებს, დავდივართ მათ გამოფენებზე და ა.შ. ლიტერატურა თითქმის ყველა მათგანის ერთადერთი თუ არა, შთაგონების ერთ-ერთი წყარო იყო ყოველთვის. წიგნები კი, რომელთაც შეცვალეს ეს ადამიანები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, მართლაც რომ, სხვადასხვაგვარია.

"არაჩვეულებრივი მხატვარი, საინტერესო ადამიანი და არაჩვეულებრივი მოსაუბრე. ჩემს მეგობრებს შორის მას ყველაზე მეტი წიგნი აქვს, მგონი, წაკითხული", - ციკლის ავტორმა და წიგნის სახლის ხუთშაბათობების მასპინძელმა გუშინ ამგვარად წარადგინა მხატვარი გია ბუღაძე, რომელიც მეგობარს წიგნის სახლში თურმე მეორედ სტუმრობდა. "მართალია, მაშინ მეტი თავისუფლება მქონდა, მაგრამ ეს თემაც მეტად საინტერესოა", - თქვა სტუმარმა, ვიდრე მთავარ თემაზე გადავიდოდა. გია ბუღაძისგან მობოდიშებასავით ჟღერდა, რომ ბოლო დროს მეგობრებისა და საკუთარი ვაჟის წიგნების გარდა, მხატვრულ ლიტერატურას ვეღარ კითხულობს, მაგრამ აქამდე წაკითხულის (რომლის მხოლოდ მცირე ნაწილის თხრობა მოასწრო მხატვარმა) შესახებ საუბარი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა.

სტუმარმა გუშინდელი აუდიტორიის ყურადღება იმ წიგნებზე შეაჩერა, რომელთაც მხატვრის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. აქედან გამომდინარე, საუბარი ბაშვობიდან დაიწყო. ამ პერიოდის ლიტერატურული შთაბეჭდილებებიდან ჯეკ ლონდონის "მარტინ იდენი" და აკაკი წერეთლის "ბაში-აჩუკი" ამოტივტივდა მეხსიერების ზედაპირზე. შემდეგ ყოფილა რომანტიკული გმირის ძიების პერიოდი და გაორება: კინო თუ ლიტერატურა. აი, აქედან კი დაიწყო გუშინდელი საუბრის ძირითადი ხაზი - წარმოსახვები ლიტერატურაში. "როდესაც ვეძებდი ლიტერატურას მხატვრობაზე, წარმოსახვებზე, ბალზაკის "უხილავმა შედევრმა", შეიძლება ითქვას, რომ ამომატრიალა", - აქ მთხრობელმა ნაწარმოების მოკლე შინაარსი კიდევ ერთხელ გაიხსენა და რამდენიმე სიტყვა იმაზეც თქვა, თუ რამდენადაა ლიტერატურა და მხატვრობა ერთმანეთზე გადაჯაჭვული.

გია ბუღაძის ახალგაზრდობაზე მოგონება, ცხადია, ვერ ჩაივლიდა ჰიპების მოძრაობის გახსენების გარეშე. აღმოსავლეთის სამყაროთი დაინტერესებული ახალგაზრდა მხატვარი, ისევე როგორც 60-70-იანების ბევრი ახალგაზრდა, უსმენდა "მაჰავიშნუ ორკესტრას", "ლედ ზეპელინს", ჯიმ მორისონს, ჯიმი ჰენდრიქსს... ოცნებობდა როკ-მუსიკის ცოცხლად მოსმენაზე, "ვუდსტოკში" მოხვედრაზე. გია ბუღაძის "არალიტერატურული საუბარი" ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდა. "ძალიან მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა პატრიარქის აღსაყდრების დროს, როდესაც მე და ჩემი მეგობრები ეკლესიაში წავედით. მაშინ მივხვდი, რომ აღმოსავლეთი ჩემი სამყარო არ არის. მომხიბლა რიტუალმა; თანაც, ეკლესია მატერიალისტურ-კომუნისტურ ეპოქაში ერთადერთი ადგილი იყო, სადაც სულზე საუბრობდნენ. ამ პერიოდში ჩვენ უკვე თეოლოგიურ ლიტერატურაზე გადავედით. ჩემდა საბედნიეროდ, წავიკითხე "სახარება". რასაც ჰქვია, სამაგიდო წიგნი, ის დღესაც არის ჩემთვის მოციქულ პავლეს ეპისტოლენი", - ამის შემდეგ გია ბუღაძის გუშინდელ საუბარში ნელ-ნელა შემოიჭრა გერმანული ლიტერატურა და მისი რომანტიკული და ექსპრესიონისტული ნიმუშები. გოეთეს "საუბრები ეკერმანთან", "ფერთა თეორია"... "გოეთე ამოუწურავია და მოდით, აქ გავჩერდეთ", - დაასრულა მთხრობელმა და დაინტერესებული მსმენელი პარასკეობით (ორ საათზე) აკადემიის რექტორის კაბინეტში დაგეგმილ ღია ლექციებზე მიიწვია.

ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲦᲝᲠᲔ

ჰანს ქრისტიან ანდერსენის 200 წლისთავისათვის

ᲜᲔᲚᲘ ᲣᲖᲜᲐᲫᲔ

ჰანს ანდერსენის საიუბილეოდ. გრიბოედოვის სახელობის რუსულმა დრამატულმა თეატრმა საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის "რუსული კლუბის" მონაწილეობით, დიდი მეზღაპრის ნაწარმოებების მოტივების მიხედვით, შექმნა მუსიკალური წარმოდგენა "პრინცესა და მეღორე".

ანდერსენის ზღაპრებს მანამდე ვეცნობით, ვიდრე ანბანს ვისწავლიდეთ. მათი გმირები ჩვენი ყმაწვილობის ყველაზე ერთგული მეგობრები არიან და არც მაშინ გვანებებენ თავს, როცა ვიზრდებით. ანდერსენი გვიყვარს მონიჭებული სიხარულის, მისი ზღაპრული სამყაროს სილამაზისა და სიკეთისათვის. მეზღაპრის ძლიერი და გაბედული გმირებისთვის ხომ ყველა საუნჯეზე მეტია მეგობრობა, ერთგულება და სიყვარული...

... ყმაწვილობისას ანდერსენი სიამოვნებით კერავდა ტანსაცმელს თავისი თოჯინების თეატრისთვის. ამის შემყურე დედა, შვილს ქალაქის პირველ თერძად წარმოიდგენდა, მაგრამ პატარა დანიური ქალაქის - ოდენსეს მეწაღის ვაჟი არ დაემორჩილა რჩევა-დარიგებებს და თავად შეეცადა საკუთარი ბედის წარმართვას.

ჰუმანისტი და ფილოსოფოსი ჰანს ქრისტიანი იშვიათი პოეტური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მან შექმნა 150-ზე მეტი ზღაპარი. მისი წიგნები 32 ენაზეა გამოცემული.

ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ ᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ.

მაღალ შეფასებას აძლევდა ანდერსენის შემოქმედებას ლევ ტოლსტი. მან სამჯერ - 1857, 1872 და 1907 წლებში თარგმნა მწერლის ზღაპარი "ხელმწიფის ახალი სამოსი".

"გამახარა იმის გაგებამ, - წერდა ანდერსენი თავის მთარგმნელ მ. ტრუბნიკოვას, - რომ ჩემს ნაწარმოებებს კითხულობენ დიდ, ძლიერ რუსეთში... თუმცა, ხშირად მტანჯავს ეჭვი - ერთი ნაწარმოები მაინც შევქმენი ისეთი, რომელიც არ მოკვდება..."

"პრინცესა და მეღორე" ანდერსენის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი მუსიკალური წარმოდგენაა. მას დიდი მეზღაპრის შექმნილ ტექსტებთან პირდაპირი ანალოგია არ გააჩნია, მაგრამ ყოველი მიზანსცენა გამთბარია მისი ღიმილით, გამსჭვალულია ნატიფი იუმორითა და ირონიით, ადამიანებისადმი გულთბილი, კეთილი დამოკიდებულების მომაჯადოებელი ხიბლით.

პიესის ავტორი და დამდგმელი ანდრო ენუქიძე ქართველი თეატრალებისთვის კარგად არის ცნობილი. მისი სპექტაკლები წარმატებით იდგმება საქართველოსა და უცხოეთის სცენებზე. ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსულ თეატრში კი დებიუტანტია.

ახლა უკანასკნელი რეპეტიციები მიმდინარეობს. მუსიკალური წარმოდგენა სანახაობრივი იქნება, აქტიორები ცეკვავენ და მღერიან. წვრილმანებამდეა გააზრებული მეფის როლი თეატრის წამყვანი მსახიობის ვალერი პარიუტჩენკოს შესრულებით. როგორც ყოველთვის, მომაჯადოებელია მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი ირინა მეღვინეთუხუცესი. ბრწყინავენ საქართველოს დამსახურებული არტისტები: ლუდმილა არტიომოვა, ვალენტინა ვოინოვა, ჯემალ სიხარულიძე. სასიამოვნო მოსასმენია კომპოზიტორ ნიკა მემანიშვილის მუსიკა. სიმღერებისათვის ტექსტები დაწერა მსახიობმა და პოეტმა ნიკო გომელაურმა.

სპექტაკლისთვის ფერწერული დეკორაციები და კოსტიუმები შექმნა საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა იური გეგეშიძემ.

მუსიკალური წარმოდგენის პრემიერა ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში გაიმართება 13 და 14 ნოემბერს, 12:00 და 15:00 საათზე.

ᲡᲐᲢᲙᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ

ᲓᲐᲚᲘ ᲙᲣᲞᲠᲐᲕᲐ

როგორ შევაყვარო ბავშვს კითხვა - კითხულობს მშობელი და პასუხიც მარტივია, დაეხმარეთ, რომ ანბანი ისწავლოს და შემდეგ მიაწოდეთ წიგნები, კარგი საბავშვო წიგნები.

ამვეყნად ბევრი კარგი საბავშვო წიგნია, მათ შორის ქართულ ენაზე. გუშინ ბავშვებმა კიდევ ერთი კარგი წიგნი მიიღეს - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა ირმა მალაციძის "სატკბილეთის ქვეყანა". წიგნის პრეზენტაცია თბილისის პირველ გიმნაზიაში მოეწყო.

ირმა მალაციძე პენ-მარათონის ერთ-ერთი გამარჯვებული ავტორია, რომელიც ხშირად იბეჭდება პერიოდულ ლიტერატურულ პრესაში, მაგრამ "სატკბილეთის ქვეყანა" მისი პირველი საბავშვო ნაწარმოები და პირველი გამოცემული წიგნია.

ᲘᲠᲛᲐ ᲛᲐᲚᲐᲪᲘᲫᲔ ᲐᲕᲢᲝᲒᲠᲐᲤᲔᲑᲡ ᲐᲠᲘᲒᲔᲑᲡ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲔᲠᲮᲔᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

არჩილ სულაკაურის სალამურას, ჯანი როდარის ჩიპოლინოს დღეიდან ქართველი ბავშვებისთვის პატარა ბიჭუნა ნიგოც მიემატება, რომელიც სატკბილეთის ქვეყნის დედაქალაქში, კარამელიაში ცხოვრობდა. მას თავზე კაკლის ნაჭუჭი ეხურა. მკითხველი ნიგოსთან ერთად იმოგზაურებს სატკბილეთში, გაეცნობა მზრუნველ ძია თხილოს, მარტოობისგან დაღლილ, სევდიან და კეთილ პრინცესა რაფაელას, კაკტუსოს და ნესტარეთის ავ მოქალაქეებს. ზღაპრის გმირები ნუგოსთან ერთად ბევრ სიკეთეს გააკეთებენ და ბავშვებს ბედნიერ დასასრულსაც შესთავაზებენ.

ერთხელ შვედმა საბავშვო მწერალმა ტუვე იანსონმა თქვა "ერთადერთი რაც მწერალმა ბავშვებს უნდა აჩუქოს, ბედნიერი დასასრულია. ეს ნებისმიერი ფორმით უნდა მოხდეს. ანდა მწერალმა თავად ბავშვს უნდა მისცეს შესაძლებლობა, რომ თვითონ დააბოლოვოს ნაწარმოები".

ირმა მალაციძე ბავშვებს სწორედ ასეთ ბედნიერ დასასრულს სთავაზობს, თუმცა როგორ იცხოვრებს ნიგო, ქვეყნის როგორი მმართველები გაიზრდებიან რაფაელას და ლინოვიოს ტყუპი ქალ-ვაჟი და კიდევ ბევრ რამეზე, თავად მკითხველმა უნდა იფიქროს.

ავტორმა კი "თუ არ გჯერათ, თავად გაემგზავრეთ და ყველაფერი თქვენი თვალით ნახეთო" - შესათავაზა მკითხველს, ხოლო პირველი სკოლის მოსწავლეებს პირველი თავი წაუკითხა და უთხრა, "დანარჩენი თქვენ თვითონ წაიკითხეთო".

როგორ შეიყვარებენ ბავშვები კითხვას და აი, ასე, როგორც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ჩაიფიქრა: მოაწყოს წიგნის კვირეულები და კარგნახატიანი, კარგი წიგნები მიაწოდოს ბავშვებს.

ვრინცესა სტრიპტიზ-კლუბში

ნატალი პორტმანი პირველ "ზრდასრულ" როლში. დეკემბრის ყველაზე საინტერესო კომედიაში მას პარტნიორობას ჯუდ ლოუ და ჯულია რობერტსი უწევენ.

სერიას "ჰოლივუდის ძველი ლამაზმანები" ნატალი პორტმანით ვაგრძელებთ. გუშინდელი გმირის, ბრუკ შილდსის მსგავსად, ეს გოგონაც ბავშვობიდან კინოშია. თუმცა, იგივე შილდსისგან განსხვავებით, პუბლიკამ ის დრამატული მზერის და აშკარა ნიჭიერების გამო უფრო შეიყვარა. ეს "ლეონში" მოხდა, ფრანგი ვარსკვლავის ჟან რენოს მამა-შვილურ მკლავებში. ბავშვს ნარკოდილერებმა ოჯახი ამოუჟლიტეს, ის კი საშველად კარის მეზობელს, ისევ მკვლელს მიადგა. მკვლელს, რომელიც მამად აქცია და გააკეთილშობილა - ასეთი იყო ფილმის ჩანაფიქრი. თუმცა, პოპკულტურას ფილმის ამ მორალის ნაცვლად სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში გრძელფეხება, შავთვალება, ნიმფას მაგვარი ბავშვი, რომელიც პირველად ისვამს პომადას - გოგონა, რომელიც იქცევა ქალად და რაღაც ლოლიტასებურ ზღაპარს ქმნის.

ლუკ ბესონის ამ საკულტო ფილმში ნატალი 12 წლის იყო. ახლა ის 23-ისაა, მაგრამ კინორეცენზიებში მუდამ ამტკიცებენ, რომ გოგონა დღემდე ნიმფას ჰგავს; ყველა მორიგ პერსონაჟს თავისი პიროვნების ამ უნიკალური შტრიხით ამდიდრებს.

არადა, ბოლო სურათში - Closer, რომლის პრემიერაც 3 დეკემბერს გაიმართება, ეს ანგელოზური აურას მქონე ნატალი სტრიპტიზის მოცეკვავე ქალის როლს ასრულებს. მას პარტნიორობას ბრიტანელი მსახიობი ჯუდ ლოუ უწევს.

ლოუ ხელმოცარული მწერალია და გაზეთში ნეკროლოგების წერით ირჩენს თავს. მას მეძავი ელისი ერთი ნახვით შეუყვარდა. ელისს მანქანამ დაარტყა, ლოუ საშველად გაიქცა, მისკენ დაიხარა, ამ დროს ელისმა თვალი გაახილა და მშვიდად უთხრა: "გაგიმარჯოს უცნობო".

ამ რომანტიკულ ეპიზოდს თვითონაც რომანტიკოსი ლოუ კიდევ უფრო პათეტიკურად აღწერს. ელისი კი, არ უნდა დაგვავიწყდეს, მეძავია, ამიტომ ამ პათეტიკაზე გული ერევა და საკუთარ თავს ასე ნათლავს: "ფუ, რა ბოზი ხარ". რეჟისორის გათვლა ასეთია - ამ ფრაზით მაყურებელი მიხვდეს, რომ ელისი სტრიპტიზიორია და ეს მას ძალიან არ მოსწონს. არადა, პორტმანის გარეგნობიდან, მისი ბავშვური მზერიდან გამომდინარე, ამ ეფექტს ფრაზაც ჰკარგავს და თავად ელისიც. და სინამდვილეში რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სტრიპტიზის მოცეკვავე ელისი, ტანგას კი იხდის და ჰაერში აფრიალებს, გაბუღულ ღამის კლუბში კი თავდავიწყებით ცეკვავს, მაგრამ თან რაღაც შინაგან სიწმინდესაც აფრქვევს, ნიმფასათვის დამახასიათებელ ჰაეროვნებას.

თუმცა, შეიძლება ეს ცუდი სულაც არ არის. შეიძლება, რეჟისორის ჩანაფიქრიც ასეთია - შექმნას გოგონას სახე, რომელიც ეგზოტიკურ ცეკვებს მხოლოდ იმიტომ ცეკვავს, რომ უზარმაზარ ლონდონში მარტო ცხოვრობს და თავი უნდა ირჩინოს, შინაგანად კი მაინც ბავშვურია, ნიმფაა.

ასეა თუ ისე, ნატალი პორტმანისთვის სტრიპტიზიორი ქალის ზედმიწევნით სექსუალური როლის შესრულება მაინც ახალი ხილი გამოდგა. აქამდე ის "ვარსკვლავეთის ომების" ორ ფილმში სრულიად განსხვავებულ გმირებს ქმნიდა, იგივე შეიძლება ითქვას რამდენიმე ჰოლივუდურ მელოდრამაზე, რომლებშიც ის ბოლო წლებში თამაშობდა და "ცივ მთაზეც" - ეპიზოდური როლით.

თვითონ მსახიობი აცხადებს, რომ ყოველთვის ცდილობს პოზიტიური სურათები შეარჩიოს. მაგალითად, პორტმანმა უარი თქვა "ლოლიტაზე" (1997 წ.) და უარი თქვა Ice Storm-ზე (1997 წ.), რომელშიც შემდეგ კრისტინა რიჩიმ ითამაშა. სამაგიეროდ, გული დაწყდა, როცა "რომეო და ჯულიეტაში" მის ნაცვლად ქლერ დეინსი აირჩიეს.

ნატალი პორტმანი ებრაელია (იერუსალიმში დაიბადა და ოჯახთან ერთად შტატებში 3 წლისა გადასახლდა). და თვითონაც ეცინება, ამ მიზეზით იმდენ ჰოლოკოსტის თემაზე დაწერილ სცენარებს იღებს განსახილველად. "400-ზე მეტი ასეთი სცენარი მომსვლია. აი, რა ხდება ხოლმე, როცა მსახიობი ღიად აფიქსირებს, რომ ებრაელია", - აცხადებს ის და დასძენს, რომ ერთადერთი "თემატური" როლი ბროდვეიზე ითამაშა, "ანა ფრანკში".

კინოკარიერის გარდა, ნატალი პორტმანს სხვა პროფესიაც აქვს. შარშან მან ჰარვარდში ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და ლონგ აილენდზე პატარა სახლი იყიდა. დრამატული მზერისა და ნიმფური სიმსუბუქის მიუხედავად, მისი ცხოვრება სრულიად არადრამატულად მიდის. რაც არ უნდა საოცარი იყოს, დედ-მამაზე გიჟდება და სხვებსაც ეხმარება, განსაკუთრებით კი, ქალებს საკუთარი საქმის წამოსაწყებად, განვითარებად ქვეყნებში. თვითონაც ხშირად ამბობს ხოლმე, არაფერი საშინელი არ მჭირს, ერთი მოსანყენი, კარგი გოგო ვარო. აი, ეს კარგი გოგო 3 დეკემბრიდან მთელი ამერიკისთვის იცეკვებს სტრიპტიზს. თუმცა, არც გახდის პრობლემა აქვს და აცხადებს: "ახლა სექსუალურ როლებს უფრო იოლად ვთამაშობ. სულაც არ მავნებს. გადასარევად ვიცი, ვინც ვარ და ისიც კარგად ვიცი, რა დონეზე სექსუალურად ვგრძნობ თავს".

Closer მაიკ ნიკოლსის კარგი რომანტიკული კომედიაა თანამედროვე სასიყვარულო ურთიერთობებზე. ნატალი პორტმანს და ჯუდ ლოუს პარტნიორობას ფილმში ჯულია რობერტსი და ქლაივ ოუენი უწევენ.



ნინია კაკაბაძის სვეტი

შენ უნივერსიტეტელი ხარ? მე არა!

უნივერსიტეტელობა თუ მართლმადიდებლობა? ამ კითხვას ნუ დასვამთ, ვინაიდან თუკი უნივერსიტეტელი ხარ, მაშასადამე მართლმადიდებელი(ც) ხარ. ეს ერთი და იგივეა, ახალი დროება დადგა, როგორც იტყვიან, და დროსთან ერთად ფასეულობებიც იცვლება, კრიტერიუმებიც, პრივილეგიებიც და ა.შ. თუკი ადრე "კაი ოჯახის" შვილობა, კაი წითელი დიპლომი, ვაკელობა თუ ვერელობა იყო პრივილეგია ამ თუ იმ საზოგადოებაში, და ყველა საზოგადოებას თავისი პრიორიტეტები ჰქონდა, დღეს ახალი და ძალიან საინტერესო ტენდენცია იკვეთება. არ შეიძლება, ყურადღების გარეშე დარჩენილიყო უნივერისტეტში ამ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები: რექტორის ახალი კანდიდატურა, სტუდენტების ორი დაპირისპირებული ფლანგი და სხვა. სანახაობა, მართლაც, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, მაგრამ, მგონი, გავიცინოთ, ჯობია, თუმცა სიცილიც გარკვეულ უხერხულობას და შეშფოთებას იწვევს.

სასაცილოა. **ჭეშმარიტი უნივერსიტეტელი.** ნეტავ რა განასხვავებს ჭეშმარიტ და ყალბ უნივერსიტეტელს შორის? იქნებ ყალბები ისინი არიან, ვინც დიპლომი არა ცოდნისთვის, არამედ ქრთამით მიიღო. ამას მოსდევს ფრაზა **ქართული ეროვნული ტრადიციების მქონე უნივერისტეტი.** რომელი ტრადიცია?! - ქრთამის აღების, კორუფციის თუ იქიდან გამოსული უვიცი და კარიერისტი "კომკავშირელების". შემდეგ! - არ დაირღვევს **ქართული სული და ქართული ტრადიცია.** ეს ქართული ტრადიციაც ვერ გავარკვიე რომელია, ერთი, რაც ზუსტად ვიცი, არის: კაი პურის ჭამა, კაი სადღეგრძელოები, ღვინის სმა, გამოთრობა, მერე კაი სიმღერა და ტაშ-ფანდური. უნივერსიტეტში რომელია ქართული ტრადიცია, არ ვიცი. ის, რომ ივანე ჯავახიშვილმა დააარსა და დღეს მისი აბრის მეტი, სხვა არაფერი კავშირი აქვს მასთან, ეს არის ქართული ტრადიცია?! მიუხედავად იმისა, რომ ეს ბედნიერება წილად არ მერგო და არ ვარ უნივერსიტეტელთა საპატიო წარმომადგენელი, მაინც ვიცი, რომ უნივერსიტეტში სწავლის და აღზრდის გარდა, ყველაფერი კეთდება. არადა ბატონი სიგუა აცხადებს, უნივერისტეტში დღემდე არ ჩამკვდარა ქართული თვითმყოფადობა და ტრადიციაო. ამაში სრულიად ვეთანხმები, რომ დღეისათვის ქართული თვითმმყოფადობა და ასევე ტრადიციაც უვიცობა, პირფერობა, კორუფცია, შოვინიზმი, ცოტა ტერორიზმი და სულიერი სიმახინჯეა. სიგუას ბევრს ეკამათებიან, არა, არაო, ეს არ არის ქართული ტრადიციების მატარებელი უმაღლესი სასწავლებელიო. როგორ არა, დიახაც რომ არის და ნამდვილად არ ჩამქრალა ქართული თვითმყოფადობის სული, ის და მისნაირი სტუდენტები თუ პედაგოგები (სამწუხაროდ, მათი რაოდენობა გაცილებით დიდია) ქართული ჭეშმარიტი ტრადიციების გადასარჩენად ძალ-ღონეს არ იშურებენ. სიგუასთან ერთად კიდევ ვინმე ცაგურია იბრძვის.

სატირალია. საუბედუროდ, როდესაც ამ ახალგაზრდებს ვუყურებ, ვხვდები, რომ ნამდვილად ეს არის ჩვენი ქართული ტრადიციული და რაც მთავარია, რეალური სახე. ვინ შექმნა ეს ილუზია, რომ კულტურული, განათლებული, ბრძენი ერი ვართ - არ ვიცი. კი, ღვთისმშობლის ნილხვედრი ვართ და გამონათებებიც გვქონდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძე, მიხეილ ჯავახიშვილი თუ ვაჟა ფშაველა რომ ქართული ხასიათის თუ სახის გამომხატველი არ არის, ეს ნამდვილად ასეა.

სასაცილოა. უნივერსიტეტელი ეს იგივეა, რაც მართლმადიდებელი. მაინტერესებს, მაგალითად, თუკი მე ვარ კათოლიკე და ვსწავლობ უნივერსიტეტში, როგორ გამოდის სინამდვილეში, რომ არ ვსწავლობ? გნებავთ, ვიყო იეღოველი, ეს ჩემი არჩევანია, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ამის გამო ვერ ვიქნები თავისუფალი ჩემი პროფესიის არჩევაში. ვინაიდან, თუკი სიგუა თუ მისი პროტეჟე რექტორი (რომელიც თურმე 14 ენას ფლობს, ალბათ, ყველას სრულყოფილად) გაიმარჯვებს, დარწმუნებული ვარ უმაღლესში და კერძოდ სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებისას ახალ ანკეტებს შექმნიან, სადაც მთავარი და ჩემი მომავლის გადამწყვეტი ერთი კითხვა იქნება, **აღმსარებლობა?** პასუხი კი აუცილებლად ასეთი უნდა იყოს: **მართლმადიდებელი ქრისიტიანი!** გადასარევია, ნამდვილად ვითარდება ქართველი ერი და მისი თვითმყოფადობა კიდევ და კიდევ უფრო საინტერესო და სიღრმისეული ხდება, რომლის აღმოფხვრას კიდევ მრავალი წელი დასჭირდება. ასეთია საქართველოს მომავალი თაობის მოთხოვნა. შესაძლებელია შინაარსობრივად განსხვავებული, მაგრამ ასევე ბნელად და უიმედოდ გამოიყურება სიგუას თუ ცაგურიას დაპირისპირებული ფრთა, რომელთაც სერიოზული კარიერისტული მიზნები დაისახეს, და ახლა სააკაშვილის ქმნილება სამაგიდო წიგნი კი აღარ არის, არამედ უბის წიგნაკის როლს ასრულებს, საჭირო ვითარებაში მისი საუკეთესო დანიშნულებით გამოყენება რომ მოხდეს. დადიან ეს ბავშვები პრეზიდენტის წიგნით უბეში ამოჩრილები და მერე დროშასავით აქეთ-იქით იქნევენ, ეგება სააკაშვილმა სადმე თვალი მოჰკრას.

სატირალია. მოკლედ, სტუაცია ნამდვილად კატასტროფულია. მე ერთი მაკვირვებს. დარწმუნებული ვარ, რომ გარდა ამ ადამიანებისა, რომელიც დღეს ქართველი ახალგაზრდობის სახეა და სრულყოფილად აგრძელებს თვითმყოფად ქართულ შტოს, არსებობენ სტუდენტები, რომელნიც ასე არ გამოიყურებიან, ასე არ ფიქრობენ და ასე არ ლაპარაკობენ. მე დარწმუნებული ვარ, ისინი არა მხოლოდ სააკაშვილის წიგნებს, არამედ ბევრად უფრო საინტერესო ლიტერატურას თუ სამეცნიერო ნაშრომებს კითხულობენ და ისევე აღშფოთებულნი არიან იმ სურათით, რომელიც ჩვენ თვალწინ არის და რომელიც კონკრეტულად უნივერსიტეტს ეხება. მაგრამ, ისინი არ ჩანან, ჩუმად ყოფნას და საკუთარი საქმის კეთებას არჩევენ. საკუთარი საქმის კეთება ერთმნიშვნელოვნად მისაღებია, მაგრამ დგება დრო, როდესაც სიჩუმე სიმხდალის ტოლფასია. ეს ე.წ. სოციალურად პასიური ახალგაზრდები, რომელნიც ცდილობენ, მხოლოდ განათლება მიიღონ, ჩემი სუბიექტური აზრით, არა ნაკლებ შემაშფოთებელია. მორალს - რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ორგვარი გაგება აქვს. რასაკვირველია, დალაგებულ და დაწყნარებულ ქვეყანაში, სადაც არა ტრადიცია თუ აღმსარებლობა წყვეტს ადამიანის ბედს, იქ შესაძლებელია საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა და გარე სამყაროსგან მოწყვეტა, მაგრამ ქვეყანაში, სადაც შოვინიზმი და, შესაძლებელია, ნაციზმი ფეხს კიდევ უფრო მყარად იკიდებს - სიჩუმე სრულიად გაუმართლებელია. ამიტომ: "მე ამ ხალხს რა უნდა ველაპარაკო", "მაგათთან რა საქმე მაქვს", "მათ დონეზე არ დავალ", და "მე ჩემი საქმე მაქვს" - ახლა არ შეიძლება. არ შეიძლება მთელი პასუხისმგებლობა განათლების მინისტრს თუ ვინმე, სხვა, ნებისმიერ ერთ ან ორ ადამიანს გადავაბაროთ. ამ ქვეყანაში ჩვენც ვცხოვრობთ და ჩვენმა შვილებმაც უნდა იცხოვრონ. აქედან გამომდინარე, ჩემი უდიდესი სურვილია, ამ გამოაშკარავებულ სიბნელესთან პოლემიკაში ისეთი ახალგაზრდა დავინახო, რომელიც არც ძველი კომკავშირელი იქნება, არც ახლანდელი "ნაციონალი", არამედ სტუდენტი, რომელიც საკუთარ ინტერესებს და საკუთარ თავს წარმოადგენს და არა რომელიმე პოლიტიკურ, ეკლესიურ (და არა ქრისტიანულ) თუ არასამთავრობო ორგანიზაციას. დღეს საქართველოში დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული, მოაზროვნე, განათლებული ინდივიდების დეფიციტია, რაც, სამწუხაროდ, ყველაზე მკვეთრად ახალგაზრდა თაობაში შეიმჩნევა.

ფეხბურთი

"ტორპედომ" ავტოგოლით გაიმარჯვა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-15 ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა მცხეთაში, "არმაზის" სტადიონზე, სადაც თბილისურ "დერბიში" "ვიტ ჯორჯიამ" "ლოკომოტივს" უმასპინძლა. სწორედ ეს თამაში ჩათვალა ყურადღების ღირსად საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა. ამავე შეხვედრას დაესწრო ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავაც. თუმცა, ქვეყნის მთავარი გუნდების თავკაცთა ინტერესი სათანადოდ არ დაკმაყოფილდა. ორივე გუნდმა საკმაოდ ინერტულად ითამაშა. ერთი ხელის თითებიც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ორივე გუნდის მიერ შექმნილი სახიფათო მომენტები დავითვალოთ.

თამაშს დაღი დაასვა იმანაც, რომ მცხეთის სტადიონის საფარი საოცრად ცუდ მდგომარეობაშია. ხშირად გაზონზე დაცემის შემდეგ ბურთი ამოუცნობი ტრაექტორიით აგრძელებდა მოძრაობას. ფეხბურთელებს ზედიზედ სამი ზუსტი პასის გაკეთებაც კი უძნელდებოდათ. შესაბამისად, თამაში და ბურთისთვის ბრძოლა, ძირითადად, მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. პირველი ტაიმი ისე გაილია, რომ სახიფათო მომენტი მხოლოდ ერთხელ შეიქმნა. ეს მე-20 წუთზე ბათიაშვილის კართან მოხდა. მასპინელთა თავდამსხმელმა მერებაშვილმა მარცხენა ფლანგიდან სტუმართა საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი მიუვიდა ვიტელ ადამიას, რომლის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ხაზიდან რკინიგზელმა ბაქრაძემ გამოიტანა.

მეორე ნახევარში გუნდები უფრო გააქტიურდნენ, თუმცა, გოლამდე მაინც არ მისულა საქმე. დასამახსოვრებელი იყო ლოკომოტიველი სიჭინავას დარტყმა, რომლის მოგერიება ვიტელთა ახალ ძირითად მეკარეს ბედიაშვილს ძალზე გაუჭირდა. ეს მატჩის მიწურულს მოხდა. რამდენიმე წუთით ადრე მოედანზე შემოსულმა მარცვალაძემ კი ერთადერთი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ქარს გაატანა, როდესაც მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად ვერ დაარტყა. მატჩი ფრედ - 0:0 დასრულდა. რაც შეეხება ჟირესს, აშკარა იყო, რომ იგი ამ მატჩს ყოფილ დინამოელ ბურდულზე დასაკვირვებლად დაესწრო, თუმცა, თამაშის შემდეგ კომენტარზე უარი გვითხრა - დინასთან მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობას დღეს, 15 საათზე დაგვისახელებს.

"თბილისი" "დინამოს" დაეწია.

წინა ტურში ზესტაფონში მოპოვებული გამარჯვება თბილისის "დინამოსთვის" არ აღმოჩნდა წარუმატებელი სერიის დამამთავრებელი მატჩი. გუშინ გეგუჩაძის გუნდი ფოთს სტუმრობდა. მართალია, საკუთარი კარი მშრალად შეინახა, მაგრამ ვერც თავად შეძლო გოლის გატანა და ქულას დასჯერდა. ამით ისარგებლეს კონკურენტებმა - ქუთაისის "ტორპედომ" და "თბილისმა".

ოთარ გაბელიას გუნდმა ბათუმში ითამაშა და მასპინძელთა მცველის, თედორაძის მიერ მე-20 წუთზე გატანილი ავტოგოლის წყალობით გაიმარჯვა. შედეგად, ქუთაისელებმა "დინამოს" ორი ქულით გადაუსწრეს და ერთპიროვნული ლიდერის რანგში ხვდებიან სანაკრებო თამაშებით გამოწვეულ არდადეგებს.

რაც შეეხება "თბილისს", მან ბოლნისში ითამაშა და წარმატებითაც. "სიონთან" სტუმრად თამაში ყველას უჭირს. ახლაც მთელი პირველი ტაიმი მასპინძელთა კარნახით მიმდინარეობდა, რომლებიც ბურთსაც აკონტროლებდნენ, თამაშსაც და სტუმართა კართან არაერთი სახიფათო მომენტიც შექმნეს. თუმცა, ამ მომენტების რეალიზება ვერ მოახერხეს, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც: ტაიმის მიწურულს "თბილისის" ახალგაზრდა ნახევარმცველმა ოდიკაძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმით გახსნა ანგარიში. მანვე მეორე ტაიმში კიდევ ერთი გოლი გაიტანა და საკუთარ გუნდს მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა. ამ ქულების წყალობით "თბილისი" სატურნირო ცხრილში თანაქალაქელ "დინამოს" წამოეწია და მასთან ერთასდ მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.

მე-15 ტური

სიონი - თბილისი	0:2
დინამო (ბთ) - ტორპედო	0:1
კოლხეთი - დინამო (თბ)	0:0
ვიტ ჯორჯია - ლოკომოტივი	0:0

მდგომარეობა 15 ტურის შემდეგ

ტორპედო	15	10	2	3	22-8	32
დინამო	15	9	3	3	30-16	30
თბილისი	15	9	3	3	33-17	30
ვიტ ჯორჯია	15	7	4	4	26-19	25
ლოკომოტივი	15	6	7	2	20-8	25
დინამო (ბთ)	15	6	4	5	21-13	22
კოლხეთი	15	3	3	9	10-24	12
სიონი	15	3	2	10	13-32	11
ზესტაფონი	14	3	1	10	9-32	10
დილა	14	2	2	10	11-26	8

დღეს გაიმართება:
დილა - ზესტაფონი

ხელოვნური მინდვრები დაუშვეს

უეფას აღმასკომმა ვენაში გამართულ სხდომაზე მოიწონა და დაუშვა ოფიციალური მატჩების გამართვის შესაძლებლობა ხელოვნურსაფარიან მინდვრებზე. ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმ ექიმების დასკვნის საფუძველზე, რომლებიც ასეთ მინდვრებს სწავლობდნენ.

"ეს ნიშნავს, რომ მომავალი წლიდან და შემდგომშიც შესაძლებელი იქნება ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევი ციკლის მატჩების გამართვა ხელოვნურსაფარიან მინდვრებზე," - განაცხადა უეფას აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ლარს-კრისტერ ულსონმა.

ორი წლის წინათ უეფამ გადაწყვიტა, საინტერესო ექსპერიმენტისთვის მიემართა. მან ხუთ მოედანზე დაუშვა საფეხბურთო მატჩების გამართვის შესაძლებლობა. ორი წლის განმავლობაში სპეციალისტები სწავლობდნენ იმ ფეხბურთელთა ჯანმრთელობას, რომლებიც ხელოვნურსაფარიან მინდვრებზე თამაშობდნენ. შეისწავლეს ამ მატჩების სპორტული შედეგები და ბურთის მოძრაობის სიჩქარე. ძირითადად ყურადღება მიექცა იმ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა აზრს, რომლებიც ამ სტადიონებზე თამაშობდნენ.

სპეციალისტების აზრით, ექსპერიმენტი წარმატებით მიმდინარეობს და ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ უახლოეს მომავალში უეფა საბოლოოდ დათანხმდება ამგვარ მინდვრებზე ოფიციალური მატჩების გამართვის შესაძლებლობას.

თუმცა, ამჯერად გადაწყდა, რომ გაგრძელდეს კვლევა, რათა მთლიანად შეისწავლონ ყველა შედეგი და შესაძლო შემთხვევები ხელოვნურსაფარიან მინდვრებზე თამაშისას. მართალია, მთლიანობაში უეფა კმაყოფილია ექსპერიმენტების შედეგებით, მაგრამ მან მაინც მოითხოვა, ხუთ სტადიონზე საფარის ხარისხი გაუმჯობესდეს.

ახალი გადაწყვეტილების მიზანი საკმაოდ ბანალური გამოდგა. "ძნელია მატჩების იმ ქვეყნებში გამართვა, სადაც მკაცრი ზამთარი იცის, - ნათქვამია უეფას ოფიციალურ განცხადებაში, - ტექნიკური პროგრესი იმდენად განვითარდა, რომ ახლა უკვე შესაძლებელია, ერთმანეთს შევადაროთ ბუნებრივი და ხელოვნური საფარი".

გასაგებია, რომ უეფამ შესამოწმებლად მოსკოვის "ლუჟნიკების" სტადიონი აირჩია, რადგან ნოემბრის ბოლოს, თებერვალსა და მარტში საფეხბურთო თვალსაზრისით ცენტრალურ რუსეთში ამინდი, მართლაც, უაღრესად არასახარბიელოა.

თუმცა, დანარჩენ შემთხვევებში ბუნებრივი საფარი ხელოვნურს ბევრად აღემატება. ამას უეფას აღმასკომის თავმჯდომარე ულსონიც ადასტურებს: "კარგი ბუნებრივი საფარი თვითონ მოთამაშეებისთვისაც უკეთესია და სასიამოვნოა იმ ადამიანებისთვისაც, რომლებიც მატჩის გამართვით არიან დაკავებულნი. თუმცა, კარგი ხელოვნური საფარი ბევრად უფრო უკეთესია, ვიდრე ცუდი ბუნებრივი. ჩვენი გადაწყვეტილება ასეთ საფარზე ოფიციალური მატჩების გამართვის შესახებ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. შეიძლება კომპანიებმა კონკურენცია დაიწყონ ხელოვნური ბალახის წარმოების საკითხში და იქნებ ამგვარსაფარიანი მინდვრების ხარისხიც შესამჩნევად გაუმჯობესდეს".

სისე მაგარია!

ორი კვირის წინათ, როცა ჟურნალისტები ჯიბრაილ სისეს შეხვდნენ, ფრანგი ფორვარდი მხოლოდ საფეხბურთო რეალიებით იყო დაკავებული.

პირველ 15 მატჩში "ლივერპულის" ახალწვეულმა, რომელშიც მერსისაიდელებმა 21 მილიონი ევრო გადაიხადეს, მხოლოდ სამი გოლი გაიტანა და, როგორც თვითონ აღნიშნა, ის ჯერ კიდევ ეჩვეოდა თამაშის ინგლისურ სტილს. ფრანგის თამაში სულ უფრო უკომპრომისო და დაჟინებული გახდა, ხოლო ის ფაქტი, რომ საფრანგეთის "ოსერში" სისე ერთადერთი ფორვარდი იყო, "ლივერპულის" ხელმძღვანელობას აძლევდა იმედს, რომ ჩეხ მილან ბაროშთან წყვილში ფრანგი გუნდს მეტ სარგებელს მოუტანდა.

"ხშირად გამიგონია, რომ ჩვენ ცალმხრივი ფორვარდები ვართ, მაგრამ, მერწმუნეთ, ასე არ არის, - ამტკიცებს სისე, - ჩვენ კარგ ფეხბურთელებად ვრჩებით და ამან შედეგი უნდა გამოიღოს". ახალ კლუბში, სადაც სისე ჟერარ ულიეს წასვლის წინ მივიდა (ადრე მასთან ფეხბურთელი ორი წლის განმავლობაში თამაშობდა), მას მოუხდა, თავისი რეპუტაცია რაფაელ ბენიტეზისთვის დაემტკიცებინა.

"საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს ადაპტაციის პერიოდი", - ამბობდა მაშინ სისე. თუმცა, მას წინ უფრო დიდი გამოცდა ელოდა. პრემიერლიგის მატჩში "ბლექბერნის" წინააღმდეგ 23 წლის ფორვარდმა ფეხი ორ ადგილას მოიტეხა. ამით დასრულდა კიდეც სისეს სადებიუტო წელი "ენფილდ როუდზე".

ორმაგი მოტეხილობა ფეხის ორივე ძვალს შეეხო. ოპერაციის შედეგად კი, რომელიც, კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, წარმატებით დასრულდა, სისეს სპეციალური სპიცი ჩაუდგეს. ახლა ის უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან. კლუბის გულშემატკივრებს კი ისღა დარჩენიათ, დანაკლისი განიცადონ. სისეს არყოფნის გამო მილან ბაროშს ორმაგი ტვირთი დააწვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩეხიც საავადმყოფოში მოხვდა, "ლივერპულის" შეტევის ხაზი ნაკლებად გამოცდილმა ფეხბურთელებმა ფლორან სინამა-პონიოლმა და ნილ მელორმა დაიკავეს. ამდენად, სულაც არ არის საოცარი, რომ ასეთ პირობებში "ლივერპულმა" პირველი საშინაო მარცხი იწვნია "ბირმინგემ სიტისთან" მატჩში.

"ლივერპულში" სისეს სადებიუტო სეზონი უკვე დასრულდა.

მარტო ბაროში შეტევაში ვერაფერს გახდება, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ სატრანსფერო დერეფნის გახსნის შემდეგ "ლივერპულმა" ფორვარდი შეიძინოს. სისეს კი ხანგრძლივი აღდგენითი პერიოდი აქვს გასავლელი. მიზეზი იმისა, რომ სისე ტრავმის შემდეგ სპორტულ ფორმას სრულად ვერ აღიდგენს, ჯერჯერობით არ არსებობს. თუმცა, ავტორიტეტი ამ საქმეში, შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი კოლეგას იოლ ცხოვრებას არ ჰპირდება.

ესპანეთის "ბარსელონას" ფორვარდის თქმით, სისეს ტრავმამ მას გაახსენა 1999 წელი, როცა "სელტიკის" რიგებში თამაშისას ფრანგული "ლიონის" წინააღმდეგ მან ასეთივე ტრავმა მიიღო. "მე ანალოგიური რამ გამოვცადე, ამიტომ ვიცი, რა სიძნელეების გადალახვა მოუხდა და მოუხდება სისეს, - ამბობს ლარსონი, - ახლა მას უწინდელი ფორმის დასაბრუნებლად გრძელი გზის გავლა მოუწევს და ამ გზის დამოკლება შეიძლება თუ არა, არ ვიცი. თუმცა, მე დაბრუნება შევძელი და იმედი მაქვს, სისეც შეძლებს ძველებურად თამაშს".

"ყველაზე ძვირფასი რჩევა, რაც შემიძლია მივცე, ის არის, რომ სისე მომხდარს უნდა შეეგუოს, - აგრძელებს "ბარსას" ფორვარდი, - აღდგენითი პროცესი ფიზიკურად მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა მომხდარს მენტალურად მიიღებ. თუმცა, ამის შემდეგაც ყველა პრობლემა ერთბაშად არ მოგვარდება. ამისთვის ბევრი მუშაობაა საჭირო. სისეს ექნება უდიდესი სურვილი, ადგეს და, რაც ძალი და ღონე აქვს, გაიქცეს, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ აღდგენა ორგანიზმისთვის მისაღებ რიტმში წარიმართოს".

"ისეთი პერიოდებიც იქნება, როცა ყველაფერი უიმედოდ მოგეჩვენება და ხელის ჩაქნევა მოგინდება. ასეთ დროს საჭიროა, საკუთარ თავში ყველა სისუსტე დათრგუნო და ახალი ძალებით მიხედო საქმეს. პირველი სამი თვე საოცრად იოლად ჩაივლის, რადგან უკეთესობა თვალშისაცემი იქნება. ყველაზე რთული პერიოდი კი მაშინ დადგება, როცა პროგრესი შესამჩნევად შეჩერდება", - დაამატა ლარსონმა. ტრავმის შემდეგ ლარსონმა თამაშის ხარისხს მოუმატა. ასე რომ, "ლივერპულს" კიდევ შეუძლია, სისეს საუკეთესო თამაში იხილოს.

ფეხბურთი

მაიკლ ოუენი საკუთარი არჩევანით კმაყოფილია

ნინო ტიკარაძე

მადრიდის "რეალის" სხვა ლეგიონერების მსგავსად, არც ინგლისელი თავდამსხმელის მაიკლ ოუენისთვისაც იყო ადვილი უცხო გარემოსთან შეგუება. ადაპტაციისთვის მას საკმაო დრო დასჭირდა. ალბათ, ამ პროცესს ისიც უშლიდა ხელს, რომ იგი რამდენიმე ხანი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, რაც, სხვათა შორის, მის უკმაყოფილებას იწვევდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ინგლისელი ფორვარდი თავის ყოფილ გუნდს "ლივერპულს" დაუბრუნდებოდა, მაგრამ ოუენმა "რეალი" მაინც არ დატოვა. ფეხბურთელი სასტარტო შემადგენლობაში გადაიყვანეს და ისიც ნელ-ნელა შეეჩვია ესპანეთის კლუბში თამაშს. ახლა კი ამბობს, რომ ესპანეთის დედაქალაქში შესანიშნავად მოეწყო.

"თავს ისე ვგრძნობ, როგორც არასდროს. თავიდან ცოტა რთული იყო. როცა მითხრეს, რომ მარდიდის "რეალს" ვაინტერესებდი, დავიბენი, თან ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ბევრი ფიქრის დრო არც მქონდა. ძნელია, შენი ქვეყნიდან შორს, სხვა ქვეყანაში იცხოვრო და ითამაშო. შეგუებაც ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. ყოველ დილით იმ გრძნობით ვიღვიძებ, რომ "რეალში" გადმოსვლა ჩემი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო," - განაცხადა მაიკლ ოუენმა, ფეხბურთელმა, რომელმაც უკანასკნელ ექვს მატჩში ხუთჯერ აიღო მეტოქეთა კარი. ხუთივე ბურთი ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო მადრიდის "რეალისთვის". მოგეხსენებათ, რა წარუმატებლად ასპარეზობდა ეს ესპანური გუნდი სეზონის დასაწყისში. "ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, კიევის "დინამოსა" და "ვალენსიას" კარში გატანილი გოლები იყო. მათ ჩვენ თამაში მოგვაგებინეს," - აღნიშნა ინგლისელმა ფორვარდმა. მას იმედი აქვს, რომ მომავალში გაცილებით მეტჯერ მოახერხებს მოწინააღმდეგის კარის აღებას. "მაგრამ ეს, ალბათ, მაინც იმაზეა დამოკიდებული, რამდენ მატჩს ჩავატარებ და გამიღიმებს თუ არა ბედი. 17 წლისამ დავიწყე თამაში "ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში. გოლის გატანას ყოველთვის ვახერხებდი. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ბედი მომავალშიც გამიღიმებს. ჩემი საქმე მეტოქის კარში ბურთის გატანაა. ამას ყოველთვის ვახერხებდი როგორც ინგლისის ეროვნული ნაკრების, ისე "ლივერპულის" შემადგენლობაში. ახლა კი ამას მადრიდის "რეალისთვის" გავაკეთებ. მართალია, სეზონი არც მთლად კარგად დავიწყეთ, მაგრამ, დამეთანხმებით, სიტუაციის გამოსწორების დრო უკვე დადგა. დიდი მონდომებაა საჭირო იმისთვის, რომ სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ შემოვატრიალოთ," - განაცხადა ფეხბურთელმა, რომელიც, "სამეფო გუნდის" ცუდი სტარტის მიუხედავად, დარწმუნებულია, რომ მადრიდის "რეალი" დაკარგულ ქულებს აუცილებლად დაიბრუნებს და ევროპის თასსა და ჩემპიონთა ლიგასაც მოიგებს.

ლაზარეთში მთელი წლით

"მილანის" ჰოლანდიელმა" მცველმა იაპ სტამმა განაცხადა: როცა ტრავმას მოიშუშებს, მომავალ წელს ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ გუნდს იტალიის ჩემპიონატსა და უეფას ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფში დაეხმაროს.

ტრავმა სტამს მას შემდეგ აწუხებს, რაც შარშან ის "ლაციოდან" "მილანში" გადავიდა. გასულ პარასკევს მას ოპერაცია გაუკეთეს და ტკივილი შეუნელეს იმ ფეხზე, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა აწუხებს.

ექიმების დასკვნით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ გუნდს იანვარში დაუბრუნდება. "რამდენიმე თვის განმავლობაში გუნდს ტრიბუნიდან ვუქომაგებ, მაგრამ მომავალი წლიდან, იმედი მაქვს, მინდორზე გამოვალ და გუნდის წარმატებაში საკუთარ წვლილს შევიტან", - განაცხადა "მილანის" ცენტრალურმა მცველმა.

"მსურს, მინდორზე სეზონის ყველაზე გადამწყვეტ პერიოდში დავბრუნდე, - განაცხადა სტამმა, - ვფიქრობ, იმ დროისთვის "მილანს" მოუწევს ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში და იტალიის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა. ამჟამად კლუბის საქმეები კარგად მიდის. ვფიქრობ, მომავალშიც კარგად იქნება, რადგან გუნდში საკმარისი ტალანტები თამაშობენ იმისთვის, რომ სერიოზულ წარმატებას მიაღწიონ".

ტრავმის გამო სტამმა მიმდინარე სეზონში მხოლოდ სამ მატჩში ითამაშა. თუმცა, "მანჩესტერ იუნაიტედის" ექს-მცველი მიიჩნევს, რომ მისი არყოფნა თავისთვისაც და კარლო ანჩელოტის გუნდისთვისაც სასარგებლო იქნება. "მილანს" ხომ ხანგრძლივი კამპანიის წარმართვა მოუწევს.

"ბუნებრივია, არ მსიამოვნებს ამდენი მატჩის გამოტოვება, მაგრამ ოპერაციის გარდა, სხვა გამოსავალი არ მქონდა, - ამბობს სტამი, - მე მომავალზე უნდა მეფიქრა. პრობლემა თავისთავად ვერ მოგვარდებოდა. ამიტომ ოპერაციის გაკეთება როგორც ჩემს, ისე კლუბის ინტერესებშიც შედიოდა. სულ მალე მე ჩვეულ ფორმაში ვიქნები და სათანადო დონეზე ვითამაშებ. ანალოგიური ოპერაცია რამდენიმე წლის წინათაც გადავიტანე, მხოლოდ მეორე ფეხზე".

32 წლის სტამს, რომელმაც დაასრულა სანაკრებო მოღვაწეობა და განაცხადა, რომ ამიერიდან მხოლოდ თავისი კლუბისთვის იღვაწებს, არ შეუძლია, გამოჯანმრთელების პროცესს დაელოდოს. "მე ხშირად მიხდებოდა ტკივილის ზღვარზე თამაში. ამას კი არც გუნდისთვის მოჰქონდა სარგებელი და არც ჩემთვის. ასე რომ გაგრძელებულიყო, უკეთესად ნამდვილად ვერ გავხდებოდი. იგივე შემიძლია ვთქვა როგორც მწვრთნელზე, ისე ჩემს პარტნიორებზე", - მიიჩნევს სტამი.

"რა თქმა უნდა, შემეძლო, ერთი მატჩი მეთამაშა და მეორე გამომეტოვებინა, მაგრამ ეს პრობლემას ვერ გადაწყვეტდა, - დაამატა ჰოლანდიელმა, - როგორც იქნა, ჩემი ყველა პრობლემა მოგვარდა".

ციგურაობა

სადისტ მწვრთნელებს ციგურები გახადეს

გიგა გურასაშვილი

წვრთნის მკაცრი მეთოდების გამო სამხრეთ კორეისკენ არაერთხელ გაუშვერიათ ხელი. კორეელებისთვის ხომ ტრადიციად ქცეულა ფიზიკური ზემოქმედებით, ანუ ცემა-ტყეპით აღსაზრდელზე ზემოქმედება - წვრთნის მიზნით. სამხრეთკორეელებისკენ ახლაც იშვერენ ხელს.

შორტ-ტრეკში სამხრეთ კორეის ეროვნული ნკარების ორმა მწვრთნელმა და კორეის ციგურაობის კავშირის შვიდმა მოხელემ ახლახან გადადგომის თაობაზე განცხადებები დაწერეს. გადაწყვეტილება კი მას შემდეგ მიიღეს, რაც ქალ მოციგურავეთა ნაკრების წევრთა ცემა-ტყეპის გახშირებულ ფაქტები საქვეყნოდ გახმაურდა.

სამარცხვინო ამბები 3 ნოემბერს ამოტივტივდა, მას შემდეგ, რაც ნაკრების ექვსმა მოწინავე სპორტსმენმა, რომელთაგან ოთხს ჯერ ოცი წელიც არ შესრულებია, მწვრთნელთა მხრიდან სადისტური მოპყრობის გამო პროტესტის ნიშნად საწვრთნელი ბანაკი დატოვა. სპორტსმენთა გაქცევის შემდეგ ციგურების ეროვნული კავშირი იძულებული გახდა, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება ჩაეტარებინა. სწორედ იმ გამოძიების შედეგია, რომ კორეის საციგურაო სამყაროს რამდენიმე მწვრთნელი და კავშირის მოხელეები ჩამოაშორეს.

გარდა ამისა, ირკვევა, რომ მწვრთნელები მათ მობილური ტელეფონით სარგებლობასა და ვაჟ სპორტსმენებთან ურთიერთობასაც უკრძალავდნენ. ყოველ შემთხვევაში, ასე იუწყება სამხრეთკორეული სააგენტო Yonhap-ი.

სააგენტოს ინფორმაციის თანახმად, ოქტომბერში ერთ-ერთმა მწვრთნელმა ვარჯიშისას საკუთარი შეგირდი ჯერ ციგურებისთვის განკუთვნილი პლასტმასის კოლოფით ცემა, მერე კი უბრძანა, აზიდვები შეესრულებინა. სპორტსმენი უსიტყვოდ ასრულებდა მწვრთნელის დავალებას, ვიდრე არაქათი არ გამოელია. შემდეგ მწვრთნელმა სპორტსმენი წამოაყენა, კისერში სწვდა და რამდენჯერმე სახეში გაარტყა. ამბობენ, კორეის ნაკრებში ამგვარი სცენები საერთაშორისო ტურნირებზეც ჩვეულებრივი ამბავი იყოო.

"ჩვენ, უბრალოდ, გვცემდნენ. ხან ჰოკეის ყვანჯით, ხანაც რკინის სამართებლით. მუდმივად აბუჩად გვიგდებდნენ და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად", - აცხადებს ერთ-ერთი სპორტსმენი.

ჯერჯერობით სკანდალში გახვეულ მწვრთნელთა თუ სპორტსმენთა ვინაობა არ ხმაურდება. იმავე სააგენტოზე დაყრდნობით, მოციგურავეებს ეროვნულ კავშირში ცემა-ტყეპის ფაქტების გამო განცხადებაც შეუტანიათ, მაგრამ კავშირში ყველაფერს უარყოფენ.

არ ვიცით, წვრთნის ასეთი მეთოდები ეხმარებათ თუ არა კორეელებს საარაკო შედეგების მიღწევაში, თუმცა, ფაქტია, რომ სამხრეთ კორეა საციგურაო სპორტში, ამ შემთხვევაში, შორტ-ტრეკში, ერთ-ერთი მოწინავეა.

1994 წელს, ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სამხრეთკორეელებმა ოთხჯერ იზეიმეს ჩემპიონობა და ეს მაჩვენებელი მას შემდეგ აღარც გაუუფერულებიათ.

TV-სპორტი

პარასკევი. 12 ნოემბერი

НТВ+ФУТБОЛ

06:30 NBA TV. 2001-2002 სეზონი. "INDIANA PACERS" - "NEW JERSEY NETS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 უკრაინის ჩემპიონატი. "ობოლონი" - "დინამო"
14:05 იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" - "ბოლონია"
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 "FUTBOL MUNDIAL"
16:35 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:05 უკრაინის ჩემპიონატი. "მეტალისტი" - "ილიჩევეცი"
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 უეფას თასი. ჯგუფური ტურნირის მეორე ტურის მატჩების მიმოხილვა
20:05 თავისუფალი დარტყმა
20:20 "ფუტბოლისტკა"
20:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:45 თავისუფალი დარტყმა
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:00 "ფუტბოლისტკა"
01:30 01:30-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA შიგნიდან
03:30 NBA TV. 2001-2002 სეზონი. "DENVER NUGGETS" - "HOUSTON ROCKETS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ

10:00, 13:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 12:45 "ჰარმონიის ფორმულა"
13:15 "მოტოვებული კვირა"
14:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი ბელგიაში. დღე მეორე. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:15 ტაილანდური კრივი
18:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "MIAMI HEAT" - "DALLAS MAVERICKS". შესვენებისას (19:30) - პრესცენტრი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
22:00 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
22:45 ფიგურული სრიალი. "Cup of China"
00:15 ახალი ამბები
00:30 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი

EUROSPORT

10:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ავსტრალიაში
12:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
14:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
17:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
20:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
21:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ავსტრალიაში
22:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ახალი ამბები
02:15 ექსტრემალური სპორტი. LG აქტიური სპორტი
03:15 ახალი ამბები
03:30 03:30-დან 05:30-მდე შესვენება
05:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია

ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

16 საათისთვის აფიც ჩამოდის მწვერვალიდან. ჯერ კიდევ მზეა, აშრობს ბათინკებს, წინდებს და მზეს მიფიცხებული კმაყოფილი სვამს და სვამს ჩაის.

მზის ჩასვლისთანავე მაგრად აცივდა. ყველანი გამოქვაბულში ვლაგდებით. შემოსასვლელზე ცელოფანის ნაჭერს ვაფარებთ და პრიმუსზე თოვლის დნობას ვიწყებთ.

დიმა და საშა 5300-ზე დარჩნენ. ალბათ ხვალ ამოვლენ აქ. სლავა აფისთან ერთად დაეშვება საბაზოში, ჩვენ ოთხნი კი 6 საათზე ვაპირებთ გასვლას. ვვახშმობთ და ვიძინებთ.

■ ■ ■

9.08. 4 საათზე ლოვა გვაღვიძებს. 2 საათი გადის სამზადისში. ქედზე ძლიერი ქარია, მზეს, ალბათ, დღეს საერთოდ ვერ ვნახავთ. პირველი ორი საათი ფეხით სასიარულოა, მერე თხილამურის ჯოხებს ვტოვებთ და ხელში წერაყინებს ვიჭერთ, დახრილობა იზრდება, ფერდები და პატარა კლდეები უფრო ციცაბო ხდება, სამაგიეროდ უფრო საინტერესოა ასვლა, ჩემთვის მე-9 ასვლაა ხანზე, ყველა ქვა, კლდის ქიმი, მოედანი, ძველი თოკი, ნაგლეჯი ნაცნობია. ბიჭები ძალიან ხალისობენ რელიეფის მრავალფეროვნებით ლენინის პიკის მოსაწყენი მარშრუტის შემდეგ.

ჯერჯერობით გამოქვაბულიდან გამოყოლილი სითბო გვაქვს, თან კარგად გვაცვია. ყველაზე მეტად ჩემი მარმოტის შარვლით მომწონს თავი, მეგობარმა თბილისიდან წამოსვლის წინ მაჩუქა. შარვალი სხვებსაც მოსწონთ. საერთოდ, მთამსვლელები, შეიძლება ითქვას, მოწინავე მოდის ხალხია (რასაც ჩემზე ქალაქში ნამდვილად ვერ იტყვი!), ადრიდანვე მთამსვლელთა ჩასაცმელი თუ აღჭურვილობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამოქალაქო სპორტული სტილის ჩამოყალიბებაში, ჯერ კიდევ როდის დადიოდა გიორგი ნიკოლაძე შორტებით, მერე, ოცდაათიან წლებში, სანდრო გვალია ტიროლიური ქუდით და გოლფებით დასეირნობდა რუსთაველზე, ალპინიზმის პოპულარიზაციისთვის. 25 წლის წინ, მახსოვს, ტრანსპორტში როგორ გვისინჯავდნენ ბუმბულის ქურთუკებს, რითი არის გაბერილიო, პატარა ზურგჩანთებით გავლილებს, ხშირად გვაჩერებდნენ მილიციელები, რაღაც წესიერ ხალხს არ გავხართო. დაახლოებით 15 წლის წინ გამოჩნდა საქართველოში სპეციალურად თამამსვლელებისთვის შექმნილი ქსოვილისგან პოლარისაგან ("ბაიკა") შეკერილი ფერადი ქურთუკები. შემდეგ მემბრანული ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი, შემდეგ თერმოსაცვლები, ქარმედეგი პოლარები, მსუბუქი სამთო ბათინკები, სამთო ველოსიპედები...

ასე რომ, მთებში შეხვედრილ უცნობ მთამსვლელებზე პირველი შთაბეჭდილება ტანსაცმლით, აღჭურვილობით იქმნება, მნიშვნელობა აქვს ფირმას, მოდელს, რომელ კონტინენტზეა დამზადებული, როგორი კომბინაციაა ფირმების, რომელი წლის მოდელია, როგორი საათი, როგორი სათვალე უკეთია, რა ბათინკები აცვია, რა წრიაპი, წერაყინი, ხელთათმანი, როგორია ზურგჩანთა და როგორაა ჩალაგებული და კიდევ ბევრი ნიუანსის გათვალისწინებით, გამოცდილ მთამსვლელს ადვილად შეუძლია უცნობი მთამსვლელის პორტრეტის შექმნა: ევროპელია, ამერიკელი თუ აზიელი, ზოგჯერ კონკრეტული ქვეყნების დადგენაც შეიძლება - ამერიკა, საფრანგეთი, ინგლისი, ჩეხეთი, კორეა, რუსის გარჩევა ხომ სულ ადვილია, განსხვავებულია პეტერბურგელი, მოსკოველი, ციმბირელი თუ აზიელი რუსი. სპორტული კვალიფიკაციის დადგენა კიდევ უფრო მარტივია. კარგად ჩანს, სად უვლია, რა მთები გაუკეთებია, მოსიმაღლეა თუ "ტეხნარი" და რა სამომავლო ამბიციები აქვს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი marmote-ის შარვალი ყველას მოსწონს, ფანტასტიკურია - სტრეიჯი, მემბრანა, ჰერმეტული ელვაშესაკრავი, ნახევრად კომბინიზონი, თანაც იმდენად ძვირია, რომ გაყიდვიდან ამოიღეს საერთოდ. ასეთი რეკლამის მერე მხოლოდ თხელი თერმოსაცვლით ვარ. ორი საათის მერე გაყინვას ვიწყებ, თან მეყინება ძალიან მნიშვნელოვანი ორგანო, ყველაზე მნიშვნელოვანი! როცა ფეხის ან ხელის თითები გვეყინება, ვამოძრავებთ ხოლმე, ამის მოძრაობა, თან ახლა, ექვსი ათას მეტრზე ბევრად მაღლა, შეუძლებელია. მაგრად ვწვალობ. ბოლოს თითქმის პანიკური შიში მიპყრობს, ვერაფერს ვერ ვიფიქრებ. ასეთ მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვარ. მართალია, შთამომავლობის გაზრდაზე ფიქრი არ მაწუხებს. მაგრამ... ბოლოს თავის გაწირვა ვამჯობინე, ქუდი მოვიშვლიპე და ძლივსძლივობით მოვახერხე ტრუსიკში ჩაფენა, თავზე თხელი შლემი დამრჩა და ქურთუკის კაპიუშონი. ნახევარი საათის მერე გათბობა დავიწყე (საბაზოში ესტონელმა ექიმმა "დამამშვიდა": "яица хранят в холоде!"). ბიჭებსაც ძალიან, ცივათ, ოღონდ ხელებზე. ისევ ფეხზე გახდა უნდათ. ვურჩევ, სისულელეს თავი დაანებონ და იმოძრაონ.

მიჰყვება თოკი თოკს, ამ თოკების დატვირთვა არ შეიძლება, ისეა დაძენძილი, მხოლოდ გზის მაჩვენებლად თუ გამოდგება, ხშირ შემთხვევაში, ხელის შემშლელიცაა, წრიაპებში იბურდება. 6500-ზე ღრუბლებიდან მზემ გამოანათა, მაგრამ არ აქვს ძალა. ისევ იყინება ყველაფერი. მწვერვალამდე სულ ცოტა რჩება. გავდივართ გრძელ კულუარს, შუაში კლდის 5-მეტრიანი მონაკვეთით, მერე ვიწრო ქედი, ისევ 40-მეტრიანი მარტივი კედელი, მერე 7-8 თოკი "სახურავი" კარგი ფირნით, ბოლოს ერთი თოკიც ვიწრო ყინულოვანი ქედი, საიდანაც ბევრი გაფრენილა, და მწვერვალის გუმბათი გეოდეზიური პირამიდით. მე და ლოვა ლერის და ლუკას მსუბუქად ვულოცავთ მეორე შვიდათასიანზე ასვლას და მშვიდობიან დაშვებას ვუსურვებთ, საფუძვლიანად კი 4200-ზე შეიძლება მილოცვა, უხიფათო ადგილას, ხვალ!

ვიდეოკამერით ცოტას ვმუშაობ, ეტყობა, მომწყინდა, მეოთხე ასვლას ვიღებ უკვე. გადავიღეთ ფოტოები საქართველოს დროშით, სამორინე "აჭარა"-ს ლოგოთი. ქვემოთ ქედზე ორი პოლონელი მოჩანს. ჩვენ დაშვებას ვიწყებთ. ყველა კარგად გრძნობს თავს, კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ ბიჭებს, არ ენდონ თოკებს. თანდათან ფუჭდება ამინდი. უკვე მაგრად თოვს, ხელს არ გვიშლის უამინდობა, დაშვებისას ყოველთვის თბილა, თან ქვევით საკუთარ გამოქვაბულში, თბილი საძილეები და საჭმელ-სასმელი გველოდება. ჩემი წყალი გაიყინა მთარაში, უკვე 12 საათია, წვეთი არ ჩამიყლაპავს, შიგადაშიგ გაყინულ შლემს ვღეჭავ, ყელი ძალიან მაქვს გამშრალი, მაგრამ ჯერ ნაპრალები არ გამჩენია, არ მახველებს, ცოტაც და ქვემოთ ვიქნებით. ბოლოს და ბოლოს, მივაღწიე ჩემს ჯოხებთან. თოკები მორჩა. ველოდები ჯერ ლუკას და ლერის, მერე ლოვას. მერე ოთხივე რიგ-რიგობით ვკვალავთ ქედზე და ქედის ბოლოში დაფიქსირებულ თოკზე ვეშვებით, აქედან 20 მ-ია ჩვენს გამოქვაბულებამდე, 11 საათი ზემოთ-ქვემოთ. გარეთ თხილამურის ჯოხები არჭია, სტუმრები გვყავს. მართლაც, დიმა და საშა ამოსულან, გამოქვაბული კიდევ 2 კაცისთვის გაუფართოებიათ და ჩაიც დაგვახვედრეს. კარგად ვივახშმეთ, პროდუქტი ქართულად, ანუ ბლომად გვაქვს: ორნაირი ძეხვი, სულგუნი, ჰოლანდიური ყველი, პაშტეტი, შებოლილი თევზი, ლორი, პური, ორცხობილა, შავი მწარე შოკოლადი, ხიზილალა და ბოლოს ლოვამ პატარა ბოთლით არაყიც დააძრო. გამოქვაბულში კიდევ უფრო დათბა.

გამოქვაბულში ლევან თათარაშვილი შემოვიდა. კუჭავას ჯგუფი ამოსულა, ჩვენ ზემოთ არიან კარვებში, სძინავთ, ხვალ აპირებენ გასვლას. გვიხარია 5800-ზე ქართველის სტუმრობა. მათთვის ეს მეორე და ბოლო მცდელობაა ამ სეზონში ხან-ტენგრიზე ასვლისა. რჩევა-დარიგებები უკვე დაგვიანებულია, სულით და გულით მთელ ჯგუფს წარმატებას ვუსურვებთ.

■ ■ ■

10.08. ზედმეტ პროდუქტს და აღჭურვილობას გამოქვაბულში ვტოვებ, მე ისევ ვგეგმავ ამოსვლას ხანზე, უკვე აკლიმატიზირებულ მოსკოველებთან ერთად.

დაშვება 4200-მდე საკმაოდ რთული აღმოჩნდა, გუშინდელმა უამინდობამ კვალი წაშალა, მხედველობაც 50 მეტრზე ნაკლებია, თოკებში ჩაბმულებს მხოლოდ ზვავის შიში გვაქვს. როგორც იქნა, გამოვდივართ ღრუბლებიდან და კარგად ჩანს გზა 4200-მდე. აქ, პატარა მყინვარულ ნაკადულთან, კიდევ ერთხელ ვულოცავთ ერთმანეთს ასვლას და ცივი წყლით ვიჭყიპებით.

საბაზომდე 2 საათის გზა რჩება - ლუდი, კარგი სადილი, რუსული აბანო. ამაზე მეტს ამ ეტაპზე ვერაფერს მოვიფიქრებთ.

■ ■ ■

11.08. დასრულდა ჩემი გეგმის მეორე ეტაპი, ლენინის პიკზე, ჩემთვის საკარჯიშო ასვლის შემდეგ ხან-ტენგრიზე ასვლა ახალგაზრდებთან და ლოვასთან ერთად. ლოვა კარგა ხანია სიმაღლეზე არ ყოფილა, ფიზიკურად კიდევ რამდენიმე წელი არ გაუჭირდება, მაგრამ ყოველ გაცდენილ სეზონს მძიმედ განიცდის, მისი მთამსვლელური სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის აუცილებელია ყოველწლიური ასვლები, მე ვეცდები, მოდუნების საშუალება არ მივცე, ჯერ მხოლოდ 65 წლისაა, თუმცა წელს პამირზე და ტიან-შანზე შეხვედრილი უფროსი თაობის მეგობრები ილინსკი, მისლოვსკი, შატაევი, მიხაილოვი, ვალიევი გვირჩევენ აქტიური ალპინიზმის ჩამოშორებას, მე მგონი, უბრალოდ, შურთ. ლოვა დაბერებული, სახლში მჯდომი ვერ წარმომიდგენია, სანამ ცოცხალია, სულ მზად იქნება თოკზე დასაკიდებლად და მთაში წასასვლელად! ამ სეზონზე ვერ მოვახერხეთ წესიერად ვარჯიში, მთელი გაზაფხული სახელმწიფო არქივის სახურავზე ვეგდეთ, პეპსი-კოლას რეკლამას ვაყენებდით. ვსვამდეთ მაინც! 30 ტონამდე რკინა ავიტანეთ კონსტრუქციის შესადუღებლად. ეს სასიმაღლო სამუშაო იყო ჩვენი ვარჯიში! ლოვა ბუზღუნებდა: "сидим на крыше, как мартовские кошки!"

დღეს ლოვა, ლერი და ლუკა კარაკოლში მიფრინავენ, იქიდან ბიშკეკი, ბაქო და თბილისი. მე და აფი ვრჩებით.

გეგმის მესამე ნაწილი პაშკოვთან ერთად ხანზე ასვლა იყო, მაგრამ სლავამ იმდენი რამ ნახა ბოლო სამ-ოთხ დღეში, რომ სასწრაფო საქმეები მოიმიზეზა და გუშინ გაფრინდა. ასე დავკარგე პოტენციური სპონსორი. დამერღვა გრაფიკი.

აფი გამარჯვების პიკზე აპირებს წასვლას, სამწუხაროდ, მე დიმას უნდა დაველოდო, შარშანდელი ვალი მაქვს დიმასთან გასასწორებელი, შარშან მე და დიმა ვერ ავედით "პობედაზე" ჩემ გამო, მე მეგობარს უნდა მივშველებოდი, დიმამაც შეცვალა თავისი გეგმები და არ დამტოვა, მე გამომყვა. დავრჩით "პობედის" გარეშე, მაგრამ მაინც კმაყოფილები შესრულებული სამუშაოთი.

ასე რომ, დიმას ველოდები, მას ხომ შვილი ჰყავს ხანზე დაღუპული, ამიტომ პირველ რიგში ხანზე უნდა ავიდეს. ალბათ, მეც გავყვები, ბანაკში ხომ არ ვიჯდები ერთი კვირა, თან დიმას დავაზღვევ, თანაც მეათე ასვლა იქნება ხან-ტენგრიზე.

მეზობელ ბანაკში ერთი ტრაპიზონელი თურქი ექიმია, ჰაკანი, ჩემი ძველი ნაცნობი. ორი წლის წინ ჩემს პარალელურად ცდილობდა "პობედაზე" ასვლას რუს გიდთან ერთად. უხარია ჩვენთან შეხვედრა, ქართველებთან, ბებია მყავდა ლაზიო. არარატზე გვეპატიჟება, თვითონ შემოდგომაზე მყინვარწვერზე აპირებს ჩამოსვლას. წელს ჩემი გიდობა უნდოდა "პობედაზე", მერე აფი კინაღამ დაითანხმა.

■ ■ ■

12.08. კუჭავას ჯგუფი გაფრინდა. სამწუხაროდ, მწვერვალზე ვერ ავიდნენ, დაახლოებით 6700-დან მობრუნდნენ, რაც მთავარია, ყველა ჯანმრთელია.

■ ■ ■

13.08. 5-კაციანი ჯგუფი გადის გამარჯვების პიკისკენ, აფი გერმანელთანაა წყვილში, ჰაკანის წაყვანა ალმა-ატელმა ორმა გიდმა იკისრა. ფანტასტიკური ამინდია. ხვალ გავდივარ ხანისაკენ. დიმა და საშა დღეს გადიან, 6400-დან აპირებენ შტურმს. მე 5800-დან და მწვერვალზე ერთ დღეს ავალთ, ალბათ.

■ ■ ■

16.08. 5800 მ, გამოქვაბული. ამ დილას უნდა გავსულიყავი მწვერვალისაკენ, 4 საათზე გამოვძვერი გამოქვაბულიდან, ქარი, ღრუბელი, თოვლი არ მომეწონა, ისევ შევძვერი საძილეში. ჩემთან ერთად ბარნაულელი ბიჭები არიან, "მასკალებმა" გუშინ 6400-ზე გაათიეს ღამე, პროდუქტი, გაზი არ აქვთ საკმარისი, იძულებული იყვნენ დღეს გასულიყვნენ, ყველა რადიოკავშირზე ვისმენ, როგორ იყინებიან, მაგრამ მობრუნებას არ აპირებენ. დილის კავშირზე აფის მწვერვალზე ასვლას ვიგებ. დღეს 5300-მდე უნდა დაეშვან.

8.00. საღამოს კავშირი. "მასკალები" მწვერვალზე ავიდნენ და ახლა 6400-ზე კარავში არიან. ხვალ, 6 საათზე დაშვებას დაიწყებენ, კარავს ბარნაულელებს დაუტოვებენ 6400-ზე. "პობედა" ჰაკანის დაღუპვას გადმოსცემს, დაშვებისას ჩაბმული არ ჰყავდათ, 6700-ზე მოწყდა, სხეული ჯერ არ უპოვიათ. ალმა-ატელებს ხმაზე ეტყობათ, არც აპირებენ ძებნას, ალბათ, არც აქვს აზრი. მე-13 კაცია ამ სეზონზე ამ რაიონში. ძალიან მხიარული, დიდი, მოუხეშავი, გულკეთილი ტიპი იყო საწყალი. შარშანწინაც მაგ ადგილას მოცურდა, ოღონდ გრეკოვს ჰყავდა ჩაბმული და ადვილად გადარჩა.

■ ■ ■

17.08. 6.30-ზე გავედი. ამინდს არა უშავდა, მხოლოდ ღრმა თოვლის კვალვა მომინია, 6200-ზე "მასკალები" მხვდებიან, ვულოცავ და ვემშვიდობები. 6400-ზე დიმას დატოვებულ კარავში შევძვერი, ფეხები გავითბე, ჩავთვლიმე. ჩემ უკან ორი ნოვოსიბირსკელი და ერთი უნგრელი მოდის, იქნებ გადამისწრონ მეთქი. 2 თოკის მერე ისევ მე დამელოდნენ, სხვა გზა არ იყო, ისევ მე ვკვალე, მალე ჩამომრჩენ, ქარი და თოვლი შლიდა ჩემს კვალს და ბევრს ვერაფრით ვეხმარებოდი. ისევ მარტო დავრჩი. ხანზე რამდენჯერმე ვარ მარტო ნამყოფი, სასიამოვნო გრძნობაა, მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ ეგოისტივით, შენთვის საჭირო ტემპით დადიხარ, სრულად ხარ მობილიზებული, ეჯიბრები მხოლოდ საკუთარ თავს, ბევრი დრო გრჩება ფიქრისთვის. მარტო ასვლისას კარგად იგრძნობა საკუთარი თავის სიპატარავე, უმნიშვნელობა, უსუსურობა, ბარში დატოვებული ყველა საფიქრალისა და პრობლემის უბრალოება. დიდია სურვილი ლოცვისა და ღვთის კალთის ქვეშ ყოფნის.

მწვერვალზე მდგომ პირამიდას ვეხები და ქვევით ვეშვები, მეათე ასვლიდან. მხვდება ნოვოსიბირსკელი, გატანჯული თავის ტკივილით. ვასმევ გამაყუჩებელს, მერე ასპირინს. ვთხოვ 5800-ზე თუ დაეშვება, შემატყობინოს. უფრო ქვემოთ მეორე ციმბირელი - ანდრეი შამრო მხვდება, ისიც ვერ არის კარგად. მე მგონი, ვერ მოასწრებს დღის სინათლეზე 5800-მდე დაშვებას. კულუარის თავზე კი ბარნაულელები არიან, ესენი 6400 აპირებენ დარჩენას.

სადღაც 6100-ზე უკან მობრუნებულ უნგრელს ვეწევი, კარგი გადაწყვეტილება მიუღია, გადარჩა "ხალოდნის".

მოკლედ, ახლა 21 საათია, ვსვი ბევრი ჩაი, შედედებული რძით, ვჭამე გაყინული სოსისი მაიონეზით, თევზის კონსერვი და პური. გამოქვაბულში ციმბირელი შემოდის. მწვერვალიდან ჩამოსულა. თხოვნა შემისრულა, რომ არ მენერვიულა, დაბრუნება შემატყობინა. ღამისთვის გამზადებულ ცხელ ჩაიან მათარას ვაწვდი და მერე საჭმელს ვთავაზობ. ისევ მარტო ვრჩები გამოქვაბულში, "მასკალები" 5300-ზე დაშვებულან, ბარნაულელებმა, იმედია, მოასწრეს 6400-ზე მწვერვალიდან დაშვება.

■ ■ ■

18.08. მეზარება საძილედან გამოსვლა, მაგრამ ვალდებული ვარ, დავეშვა, თან რაც შეიძლება მალე. მიჭირს "გორლოვინას" მარტო გავლა, თან ისევ საკვალია თოვლი. ზურგჩანთა საკმაოდ მძიმე გამოდის, მემატება ცარიელი ბალონები, ნაგავი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ორშაბათი 15.11

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი "როგორ უნდა გახდე პრინცი" (ბი-ბი-სი) **00.00** მბ. ფილმი "ამერიკელი სამურაი" (12) (დევიდ ბრედლი) **02.00** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **13.10** გადაცემა: კიოსკი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაშები. **16.25** მიდი, პატარა. მხ. ფილმი. რეჟისორი ალენ გესსიერი. 2002. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაშები. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა: თვალსაზრისი. **02.50** აფრიკის სტადიონრბზე. **04.10** პრინცესა მარია. ტელესერიალი.

პირველი არხი

ორშაბათი **07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ვინ შეკაზმავს ცხენს" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ცხელი ზაფხული" **13.00** კონცერტი -"ბუბა კიკაბიძე" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **15.20** დოკ. ფილმი "ცრუ" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. ფილმი "დიზაინი" **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "თავგადასავლები კარიბის ზღვაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "ცხელი ზაფხული" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ინდოჩინეთის თოვლი" (გ)

11.00 ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "გათენდება ხვალინდელი დღე თუ არა" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ყვითელი ოჯახის საიდუმლო" (გ) (დენი პოტალიდე)

მეორე არხი

19.00 საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "დანაშაული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** ლერერის შოუ **21.40** ანშლაგი -"მარადი ქმარი" **22.50** მხ. ფილმი "ცეცხლთან თამაში" (გ) 1-ლი ს.

18.00 მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-8 ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "აუზი" (18)

იმედი

07.00 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.30** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "განდიდების მანია" (გ) (ლუი დე ფიუნესი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.15, 03.00** იმედის მელოდიები **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** სერიალი "კექესი დიდ ქალაქში" მე-4 ს. **23.10** საქმე ტ **23.40** "არჩევანი თქვენ" **00.55** სპ. პროგრამა "გოლი" **01.25** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 მუსიკა **09.20** სათავგადასავლო ფილმი "თეთრი მგლები" 1-ლი ს. **10.40** ისტორიული ფილმი "ელ სიდი" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ფილმის გაგრძელება **13.30** დოკ. ფილმი **14.45** კრიმინალური კომედია "ცხრა იარები" **16.20** მულტფილმი **17.45** ფრაგმენტები ნ. მემანიშვილის კონცერტიდან 1-ლი ნაწ. **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** თრილერი "ლაკი" 1-ლი ნ. **20.15** მუსიკა **21.00** კომედია "ჯარლინა" **22.30** დოკ. ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** მისტიკა "წინასწარმეტყველება"

1 OPT

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Харрисон Форд в супербоевике **"ИНДИАНА ДЖОНС И ХРАМ СУДЬБЫ"**. **11.30** Смехопанорама **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.20** Андрей Ростоцкий в фильме **"ВНИМАНИЕ! ВСЕМ ПОСТАМ..."** **15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". **19.00** Сериал **"КЛОН"**. **20.00** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА"**. **22.40** Фильм Майкла Мура "Боулинг для Колумбины". **01.00** Чак Норрис в боевике **"ПРОПАВШИЕ НА ПОЛЕ БОЯ"** **02.40** Что? Где? Когда? **03.50** Сериал **"УБОЙНЫЙ ОТДЕЛ"**.

НТВ

06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **11.00** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2"**. **13.35** Сериал **"ТАКСИСТКА"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"СЫЩИКИ-3: БЕНЕФИС"**. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ"**. **20.50** сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2: БАНКИРЫ ПРЕДПОЧИТАЮТ УМЕРЕТЬ"**. Часть 1-я. **22.00** "Страна и мир". **22.40** "Школа злословия". Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**. **01.15** Особо опасен! **01.40** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**. **02.30** Совершенно секретно. **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: леопарды и гиены". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА"**. **04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

სამშაბათი 16.11

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ამერიკელი სამურაი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "არამზადას სიკვდილი" (15) (ალენ დელონი) **02.25** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **12.15 15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაშები. **16.30** გადაცემა: აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაშები. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. გადაცემა: თავს ყველას ვერ მოაწონებ. **24.30** გადაცემა: კროსვორდი. **02.50** არაბული მუსიკის კორიფეები. დოკ. ფილმი. **04.20** მონასტრის ტელესერიალი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ინდოჩინეთის თოვლი" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ცხელი ზაფხული" **13.00** "მატარებელი" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ლერერის შოუ **15.20** "ანშლაგი" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** ისტორიანი **17.00** კ. მახარაძის სახ. ტურნირი მინი-ფეხბურთში **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "ცხოველთა სტრატეგია" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" 1-ლი ს. **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) 1-ლი ს.

14.00 ქართული მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **00.30** ქართული მუსიკა

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ყვითელი ოჯახის საიდუმლო" (გ) (ტერენს ჰილი)

მეორე არხი

19.00 საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "დანაშაული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** ლერერის შოუ **21.40** ანშლაგი -"ბოლო ქმარი" **22.50** მხ. ფილმი "ცეცხლთან თამაში" (გ) 1-ლი ს.

18.00 მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-9 ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "მოსწავლე" (15)

იმედი

07.00 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 04.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 04.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ორშაბათიც გათენდება" (გ) (ვ. ტიხონოვი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.15, 04.30** იმედის მელოდიები **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.40** სერიალი "კექესი დიდ ქალაქში" მე-5 ს. **23.00** "პირველები" **23.40** მხ. ფილმი "ჯგუფი "დორზი" (15) (ვ. კილმერი) **02.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.55** "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

აჭარა

09.00 საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავგადასავლო ფილმი "თეთრი მგლები" მე-2 ს. **10.45** ისტორიული ფილმი "ტიტუსი-რომის მმართველი" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ფილმის გაგრძელება **13.20** დოკ. ფილმი **14.45** კომედია "წინდაუხედავი კავშირები" **16.15** მულტფილმი **17.45** ფოლკლორის საღამო **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** თრილერი "ლაკი" მე-2 ნ. **20.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "უძილობა" **22.00** დოკ. ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** მელოდრამა "დღე და ღამე"

1 OPT

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА"**. **10.30, 19.00** Сериал **"КЛОН"**. **11.20** "Шутка за шуткой". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.30** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **13.40** Алексей Булдаков в детективе **"ТИХОЕ СЛЕДСТВИЕ"** **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ"**. **17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Пан или пропал" **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **21.00** Время. **22.40** Док. фильм "Эвтаназия, или право на смерть". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** "Звезды эфира". Тарапунька и Штепсель. **00.40** Сотворение мира. "Микромир". **01.10** Джулия Робертс в триллере **"КОМАТОЗНИКИ"**. **03.20** Что? Где? Когда? **04.40** Кен Стотт в триллере **"МЕССИЯ"**

НТВ

06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Криминальная Россия. **10.50** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **11.50** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ"**. **13.35** Джесси Коллинз в сериале **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА"**. **14.35** сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"СЫЩИКИ-3: ПО ТРАМВАЙНОМУ БИЛЕТУ"**. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ"**. **20.50** сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2: БАНКИРЫ ПРЕДПОЧИТАЮТ УМЕРЕТЬ"**. Часть 2-я. **22.00** "Страна и мир" **22.40** "Короткие встречи". Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Стив Мартин в комедии **"ЛОС-АНЖЕЛЕССКАЯ ИСТОРИЯ"** **02.15** Бильярд. **03.10** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: лесной призрак". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА"**. **04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

ოთხშაბათი 17.11

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ჩვენი უცხოელები და უცხო ჩვენიანებში" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ხალხის პირისპირ **00.00** მხ. ფილმი "ცოტა რამ გოგონების შესახებ" (15) (ჯულიეტ ლუისი) **02.05** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **12.15** გადაცემა: ჩვენ ყველაფერი ვცადეთ. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაშები. **16.30** პიერი და ჟანი. მხ. ფილმი. რეჟისორი დანიელ ჟანო. 2004. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაშები. **20.25** მირეი ჟოსპენ-დანდიე. დოკ.ფილმი. **21.30** დ. დიზაინი. **24.25** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. **04.20** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) 1-ლი ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.05** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ენა" **15.20** "საღამოს საუბრები" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** სერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **17.25** დოკ. სერიალი "ამერიკის ბიოგრაფია" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "ცხოველთა სტრატეგია" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** "მიამბეთ თქვენზე" **00.00** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) მე-2ს.

15.00 ქართული მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** ქართული მუსიკა

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "შურისძიება" (გ) (ტომ როტი)

მეორე არხი

19.00 საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "დანაშაული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე"-კვიპროსი **21.50** "მიამბეთ თქვენზე" **22.35** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" (გ)

18.00 მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-10 ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "ქალი კამელიებით" (12)

იმედი

07.00 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 03.35** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "პრაქტიკანტი ქალი" (გ) (დ. სუეინი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 02.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.15, 03.15** იმედის მელოდიები **17.25** პოლიციის აკადემია **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **21.00** ფეხბურთი. საქართველოს ნაკ. - დანიის ნაკ. (პ. რეპ.) **23.40** უცნობი საქართველო **00.10** მხ. ფილმი "ჩემი მტრის მტერი" (გ) (ტ. ბერენჯერი) **01.40** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 საინფ. დაიცესტი **09.20** კომედია "სახლი თავდაძირა" **11.05** ისტორიული ფილმი "კანარის პრინცესა" **11.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ფილმის გაგრძელება **12.35** მხ. ფილმი "განზრახული მკვლელობა" **16.15** მულტფილმი **17.45** ფრაგმენტები ლევან შენგელაის კონცერტიდან **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** კომედია "ნაციონალური პოლიტიკის თავისებურებანი" **20.10** მუსიკა **21.00** ფანტასტიკა "ნემეზიდის ვარსკვლავური გზა" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** მხ. ფილმი "ზღვა"

1 OPT

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА"**. **10.30, 18.10** Сериал **"КЛОН"**. **11.30** Док. детектив. "Исчезновение "Изауры". Дело 1998 г. **1**-я с. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ"**. **17.00** "Пять вечеров". Среда. **18.10** Сериал **"КЛОН"**. **19.00** Футбол. Отбор. чемпионата мира. **Сб. России - сб. Эстонии**. **21.00, 23.30** Время. **22.40** "Человек и закон" **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Теория невероятности. "Управление сознанием". **00.40** Сканер. "Выйти замуж за миллионера". **01.10** Мэтт Дэймон в фильме **"НЕУКРОТИМЫЕ СЕРДЦА"** **03.20** Что? Где? Когда? **04.40** Триллер **"МЕССИЯ"**. **2**-я с.

НТВ

17 06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **10.50** "Женский взгляд" **11.20** "Растительная жизнь" **11.50** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ"**. **13.35** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА"**. **14.35** сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"СЫЩИКИ-3: НЕ СТРЕЛЯЙТЕ В ПИАНИСТА"**. Часть 1-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ"**. **20.50** Дмитрий Харатьян в фильме **"УБЕЙ МЕНЯ! НУ, ПОЖАЛУЙСТА"** **1**-я с. **22.00** "Страна и мир". **22.40** "Стресс". Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сара Мишель Геллар в триллере **"Я ЗНАЮ, ЧТО ВЫ СДЕЛАЛИ ПРОШЛЫМ ЛЕТОМ"** **02.25** Бильярд. **03.10** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: Итури - сердце Африки". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА"**. **04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

ხუთშაბათი 18.11

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ცოტა რამ გოგონების შესახებ" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი "ყველაზე მდიდრული სახლები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ქალბატონი "ო". მთ. რ-ში: მანტე ნაირი (18)ყ **02.10** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.30(შვეიცარია), 02.55(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ზანგების მუსიკის დიდი ისტორია. დოკ.ფილმი. **08.30** ტელედილა. **08.30** ტელეტურნიზმი. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **12.15** გადაცემა: ჩვენ ყველაფერი ვცადეთ. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაშები. **16.30** პიერი და ჟანი. მხ. ფილმი. რეჟისორი დანიელ ჟანო. 2004. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაშები. **20.25** მირეი ჟოსპენ-დანდიე. **21.45** ციხე-სიმაგრეების ისტორია. დოკ.ფილმი. **23.00** ხოშიმინის ნაკვალევზე. დოკ. ფილმი. 04.20ერთად გატარებული რამდენიმე დღე. ტელესერიალი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **10.05** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) მე-2ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "წმინდა ელენეს კუნძული" **15.20** დოკ. ფილმი "ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** "მრავალჟამიერ" **17.00** სერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **17.30** დოკ. ფილმი "ევროპის ახალი სახე" - კვიპროსი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "ცხოველთა სტრატეგია" **19.00** "განათლების პროექტი საქართველოში" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) მე-3 ს.

15.00 ქართული მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** ქართული მუსიკა

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენ

მნიშვნელოვანი შეტყობინება, დაკავშირებული ნაწარმის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან SONY-ის ფირმის "KV-32HQ100" და "KV-36HQ100" მოდელის ტელევიზორების მფლობელთათვის

წინამდებარე შეტყობინება ეხება 2003 წლის შემოდგომიდან გაყიდვაში მყოფი SONY-ის ფირმის ტელევიზორების ყველა მომხმარებელს:
KV-32HQ100B\KV-32HQ100E\KV-32HQ100K
KV-36HQ100B\KV-36HQ100E\KV-36HQ100K

კომპანიამ SONY თავისი ნაწარმის ხარისხის კონტროლის მუდმივი პროგრამის მსვლელობისას, ზემოაღნიშნულ ტელევიზორებში აღმოაჩინა ელექტრული ხასიათის გაუმართაობა, რომელიც მოითხოვს დათვალიერებას და აღმოფხვრას უფლებამოსილი სერვის-ცენტრის მიერ.

როგორ განვსაზღვროთ მოდელები
ტელევიზორი FD Trinitron WEGA ეკრანით 16:9
პულტი ДУ მოდელი RM 940 (1)
მეხსიერების ბარათის გართვა
Memory Stick მარცხენა მხარეს (2)
ეკრანის გვერდებზე ალუმინის სადგამები (3)

ტელევიზორი სადგამზე

თუმცა კომპანიისათვის SONY უცნობია ტელევიზორის გარე ელემენტებზე ქსელური ძაბვის გაჟონვის რისკის განსაზღვრულ ხარისხთან დაკავშირებული კონკრეტული შემთხვევები, გადაწყვეტილ იქნა ნატარებულიყო ყველა გაყიდული ტელევიზორის პრევენციული დამუშავება.

თუ თქვენ გაქვთ ზემოთ მოყვანილი მოდელებიდან ერთ-ერთი, ნუნ გირჩევთ გამორთოთ ის ქსელიდან და არ ისარგებლოთ უფლებამოსილი სერვის-ცენტრის მიერ შესაბამისი დამუშავების ნატარებამდე. გთხოვთ, პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მოყვანილ ტელეფონზე. გვაცნობოთ თქვენი ტელევიზორის მოდელის დასახელება, რომელიც მითითებულია ექსპლუატაციის ინსტრუქციაზე, საგარანტიო ტალონზე ან საგაჭრო ნუკზე. მოდელის დასახელება მითითებულია აგრეთვე თქვენი ტელევიზორის კორპუსის უკანა ნაწილზე. მაგრამ, ტელევიზორის მძიმე წონის გამო არ გირჩევთ გადაადგილოთ ის დამოუკიდებლად. თუ თქვენ გაქვთ ზემოთ მოყვანილი მოდელებიდან ერთ-ერთი, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე კიევში: **(044) 490-63-09,** ორშაბათიდან კვირის ჩათვლით, 9-დან 20 საათამდე ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **CIC.Ukraine@sony.ua**. ჩვენ ჩავიწერთ თქვენს საკონტაქტო ინფორმაციას და ორგანიზებას გავუკეთებთ სერვის-ცენტრის მიერ თქვენი ტელევიზორის მომსახურებას. თქვენი ტელევიზორის დამუშავების პროცედურა უფასოდ ჩატარდება თქვენივე სახლში, ის მარტივია და დიდ დროს არ წაგართმევთ.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეს ინფორმაცია ეხება მხოლოდ შემდეგ მოდელებს: SONY KV-32HQ100 და KV-36HQ100. SONY-ის ტელევიზორების სხვა მოდელები არ საჭიროებს დამუშავებას. ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის და მადლობას თანამშრომლობისათვის.

კომპანია Sony Overseas SA
წარმომადგენლობა
უკრაინა, 04070
ქ. კიევი, სპასკაიას ქ. №30

ბიზნესის მენეჯერი
უმაღლესი კვალიფიკაციით, ეძებს საინტერესო სამსახურს, მაღალი ანაზღაურებით.

ტელ: 899 778 080
ელ. ფოსტა: kozya53@mail.ru

ლონდონი პითროუ ბრუნდება

პირდაპირი რეისი კვირაში ორჯერ ლონდონის პითროუს აეროპორტში

2004 წლის 1 ნოემბრიდან აღდგება ბრიტანეთის ავიახაზების პირდაპირი რეისები ლონდონის მიმართულებით. თბილისიდან ფრენები იწარმოებს ორშაბათს და შაბათს, ბიზნეს და ეკონომ კლასების მომსახურებით. ბილეთების დაჯავშნისა და სხვა ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვეთო ინტერნეტსაიტს **ba.com,** დაგვირეკოთ 940719/20, ან მიმართოთ სამოგზაურო საგენტოებს.

ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED

BRITISH AIRWAYS

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.